...პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№096 (12 166)
26 აპრილი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# 17 ნოემბერს, ჩვენ და ბრაზილია



**ახალქალაქმა ლანჩხუთი დაბლოკა**

რას იტყვის ალმასკომი?

ლანჩხუთი:

**ყველამ იცოდა, ვერ გააუქმებენ!**

ვნებათაღელვა საარჩევნო ხმების გამო 2






არ გამორიცხოთ:

**უმაღლესი ლიგა ისევ იბერება?**

პროფლიგა განმარტავს... 2

ჰიტცფელდი:

**უეფას თასი? არ დავუშვებ!**

**ინტერის მომავალი: ბუფონი, ტონი, დე როსი...**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ისტორიამ გამეორება იცის

**ჩელსი–ლივერპული 1:0**

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ობი მიკელი, ლემპარდი, მაკელელე, ჯ. კოული (85. რაიტ-ფილიპსი), შევჩენკო (76. კალუ), დროგბა.

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, ჩაბი ალონსო (83. პენანტი), მასკერანო, ზენდენი, ბელამი (53. კრაუჩი), კუიტი.

გოლი: 1:0 ჯ. კოული (29)
მაყურებელი: 42 516
არბიტრი: მარკუს მერკი (გერმანია)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ლივერპული
პირველი ჯარიმა: ლივერპული
პირველი კუთხური: ლივერპული
პირველი გაფრთხილება: ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 14 (4) | დარტყმა | 10 (4) |
| 9 | ჯარიმა | 19 |
| 1 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |



გოლი ლივერპულის კარში

...ბრწყინვალე კონტრშეტევა თავისი კომბინაციით. უკვე საჯარიმოსთან, დროგბა გასწვრივ გადაცემას აკეთებს და ჯო კოული უქმად მყოფ "ლივერპულის" დაცვას უსხლტება, რეინაც უძლურია და ასე გადის ერთადერთი გოლი "ჩელსი"-"ლივერპულის" პირველ ნახევარფინალურ მატჩში...

ეს იყო ტიპური პრემიერლიგური ჯახი ჩემპიონთა ლიგის ეგიდით და გამოცდილმა მარკუს მერკმაც ისე იმსაჯა, როგორც წმინდა ინგლისურ ბურთაობას შეშვენის. ანუ, იყო უამრავი ორთაბრძოლა, პრაგმატიზმი და ხშირად მოსაბეზრებელი ერთფეროვნებაც. თუმცა თამაშს თავისი ხიბლი მაინც ჰქონდა: ტრადიციული ატმოსფერო და მომნუსხველი დაძაბულობა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ "ჩელსიმ", ფაქტობრივად, ერთადერთი საგოლე მომენტი გამოიყენა...

პირველი ტაიმი მასპინძელთა კარნახით წარიმართა. "არისტოკრატებს" მოედნის მთელ პერიმეტრზე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. "ლივერპული" კი უსისტემოდ უტევდა, ჯერარდიც უჩვეულოდ ინერტული იყო. და კიდევ ერთი უცნაური მომენტი: "ჩელსის" ფორვარდები (დროგბა და შევჩენკო) ზედმეტად უკან იხევდნენ და ეტყობა, ამანაც გამოიწვია საგოლე მომენტების სასტიკი დეფიციტი...

მეორე ტაიმი ცალსახად "ლივერპულისა" იყო. რაფა ბენიტესმა იგრძნო თავის გუნდის უპირატესობა და უმალ კრაუჩი შეუშვა მოედანზე. გააქტიურდა ჯერარდიც და სწორედ მისი დარტყმული იყო, ჩეხმა თავგანწირული ნახტომით რომ მოიგერია. მერე ერთი მაგარი "სეივი" რეინასაც გამოუვიდა, როცა ლემპარდის ეფექტური გასროლა გააუვნებელყო. პრინციპში, ზოგადი სურათით თუ ვიმსჯელებთ, მატჩი უფრო საყაიმო იყო. მაგრამ აქ მთავარი როლი ითამაშა კლასმა, რითიც "ჩელსი" დღეს "ლივერპულზე" ცოტა მაღლა დგას...

რა თქმა უნდა, "ენფილდზე" სხვა თამაში იქნება. ვიცით, "ჩელსი" ის გუნდია, ვისაც ასეთი სარისკო ანგარიშების შენარჩუნება ძალუძს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟოზე მოურინიოს კრებულს მეტი შანსი აქვს. ჯერჯერობით, ლონდონელებს მხოლოდი იმით შეუძლიათ თავის დამშვიდება, რომ ჩემპიონთა ლიგის ეგიდით "ლივერპულს" პირველი გოლი გაუტანეს (გაიხსენეთ ამ გუნდების ორი წლის წინანდელი საჩემპიონთალიგო ბრძოლები). დაბოლოს, ისიც გავიხსენოთ, როგორ ითამაშეს გუშინდელმა მეტოქეებმა მიმდინარე პრემიერლიგაში. პირველი წრის მატჩი, "სტემფორდ ბრიჯზე", "ჩელსიმ" დროგბას გოლით მოიგო (1:0), "ენფილდზე" კი "ლივერპული" იყო უკეთესი - 2:0. ვნახოთ, რა მოხდება მომავალ სამშაბათს. ისტორიას გამეორება სჩვევია...

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები

# ლანჩხუთმა გადაწყვიტა, თბილისმა არ მიიღო

## საბოლოო სიტყვა ალმასკომზეა

გურიის რეგიონული ფედერაციის გუშინწინდელ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ ბათილად ცნო.

ამის მიზეზი კი გურიის რეგიონული ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტის, ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოქმი გახდა, საიდანაც ირკვევა, რომ ოზურგეთელები, კონკრეტულად კი **იოსებ გაგუა** და **იური ჩხაიძე** არ იყვნენ ინფორმირებული გრფფ-ის ყრილობის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ. ცნობისათვის, იოსებ გაგუა ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე და გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანია, ხოლო იური ჩხაიძე ალასკომის წევრი.

მათი არაინფორმირებულობა კი კი გრფფ-ის წესდების დარღვევაა. ამავე დროს, არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნო იყო ინფორმირებული ამ ყრილობის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ. აქედან გამომდინარე, გრფფ-ის ყრილობა უფლებამოსილი არ იყო რაიმე გადაწყვეტილება მიეღო.

ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ გრფფ-ის ყრილობა არალეგიტიმურად ცნო და მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.

*"ჩვენ წარმოდგენილი ოქმისა და ფაქტების მიხედვით ვიმსჯელეთ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მივიღეთ. გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არაერთი პუნქტი დაირღვა და 24 აპრილს ჩატარებული ყრილობაც იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა. რაღა თქმა უნდა, გაუქმდა ამ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც. ჩვენი წესდების მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნო, ალმასკომის უახლოეს სხდომაზე, გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის უფლებამოსილების დროებით შეჩერების საკითხს დააყენებს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ფედერაციის ალმასკომი მიიღებს, რომელიც 12 მაისსაა დანიშნული.*

*ერთსაც დავამატებდი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყველა სუბიექტს მოვუწოდებთ, დაიცვას საკუთარი და ჩვენი წესდებები, რომელიც ფიფასა და უეფას წესდებებთან შესაბამისობაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხი ყველას მოეთხოვება"*, - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

# უმაღლესში ისევ 16 გუნდი?

## არ არის გამორიცხული

ბოლო ხანებში ქართულ საფეხბურთო სამყაროში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ჩვენი ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კვლავ 16-მა გუნდმა ითამაშოს. კარგად გეხსომებათ, პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა პრიორიტეტად ყოველთვის მონაწილეთა რიცხვის შემცირებასა და კომპაქტური პირველობის ჩატარებას მიიჩნევდა, თუმცა გუშინ „ლელოსთან" საუბარში პფლ-ის პრეზიდენტმა და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** გუნდების რაოდენობის გაზრდა არ გამორიცხა.

*„გადაჭრით ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, ჩვენი ვარაუდით, უმაღლეს ლიგაში მომავალ სეზონშიც 14-მა გუნდმა უნდა იასპარეზოს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, კვლავ 16 მონაწილეზე გადავიდეთ. გააჩნია, რამდენი კლუბი დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. ორივე სისტემას თავისი პლუს-მინუსები აქვს, ასე რომ, წინ სერიოზული სჯა-ბაასი გველის. ყველა დეტალი უნდა გავითვალისწინოთ, რათა ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღოთ"*, - ამბობს რამიშვილი.



დიმიტრი რამიშვილი

მან იქვე დასძინა, რომ უმაღლესი ლიგის ფორმატის თაობაზე პროფლიგისა და ფედერაციის წარმომადგენლები ერთობლივად იმსჯელებენ.

რამიშვილმა კატეგორიულად უარყო მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ უმაღლესი ლიგის ფორმატის სავარაუდო შეცვლა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებთანაა კავშირში: *„საარჩევნო ხმის უფლება უმაღლეს ლიგაში ამჟამად მოთამაშე 14 კლუბს აქვს, არჩევნები 13 მაისსაა, ამ დროისთვის კი მიმდინარე სეზონი დასრულებული არ იქნება. ასე რომ, თუ უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა, ხმის უფლების მქონე კლუბების რაოდენობა არჩევნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაიზრდება და არა წინასაარჩევნოდ"*.

როგორც ხედავთ, 16-გუნდიან ჩემპიონატზე დაბრუნება სავსებით რეალურია, გასარკვევი ისაა, ასეთ შემთხვევაში, ვის მიენიჭება უპირატესობა ორი ახალი ადგილის დაკომპლექტებისას. პირველი ლიგის ორ გამარჯვებულს („მგლებსა" და „მესხეთს") უმაღლესის საგზური ულაპარაკოდ მიენიჭებათ, მაისის ბოლო რიცხვებში დაგეგმილი ფლეი ოფიც აუცილებლად ჩატარდება.

უპირველეს ქართულ დივიზიონში თამაშის პრეტენზიას აუცილებლად გამოთქვამს ამ სეზონის ორი უარესი გუნდი („დილა" და „კახეთი). ამათ გარდა, თუ ზაფხულისთვის წელში გამართულნი იქნებიან, უმაღლესში დაშვებას „ცხინვალი" და „კოლხეთი" მოითხოვენ. არგუმენტი მათაც აქვთ – შარშანდელი ჩემპიონატის შედეგებით, ზედა ლიგაში დარჩენის უფლება მოიპოვეს, იქ ასპარეზობა კი დუხჭირი ყოფის გამო ვერ შეძლეს.

ერთი სიტყვით, ზაფხულში საინტერესო ამბებს უნდა ველოდოთ. ეროვნული პირველობის სტრუქტურა ყოველ წელიწადს იცვლება და საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, გამონაკლისი არც 2007 წელი გამოდგეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დურმიშხან ჩხაიძე

# ყველა გაფრთხილებული იყო, უფლებამოსილებას ვერ შეგვიჩერებენ!



ამირან კაჭახიძე და გიორგი ნემსაძე ლანჩხუთში

"ლელოს" გუშინდელ ნომერში დეტალურად ვწერდით, წინა დღით ლანჩხუთში ჩატარებული გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის შესახებ. ოზურგეთის 4-კაციანი წარმომადგენლობის პროტესტის მიუხედავად, რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ისევ დურმიშხან ჩხაიძე აირჩიეს. გუშინწინდელ ყრილობას უმალ გამოეხმაურა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. კერძოდ, სამდივნოს განცხადებით, მათთან შევიდა გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტის, ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომის ოქმი. *"ამ ოქმიდან ირკვევა, რომ როგორც სუბიექტი - ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაცია, ასევე გურიის რეგიონული ფედერაციის გენერალური მდივანი იოსებ გაგუა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იური ჩხაიძე არ იყვნენ ინფორმირებულნი გრფფ-ის ყრილობის ჩატარებისა და დღის წესრიგთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება გრფფ-ის წესდებას"* - ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში. იქვე სფფ-ის სამდივნო მიანიშნებს, რომ არც ისინი იყვნენ ინფორმირებულები, რის გამოც ყრილობა უფლებამოსილი არ იყო მიეღო რაიმე გადაწყვეტილება, ანუ სფფ არ ცნობს გუშინწინდელ გადაწყვეტილებებს და გრფფ-ს საქმიანობის დროებით შეჩერებასაც არ გამორიცხავს.

"ლელო" კომენტარისთვის გურიის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ დურმიშხან ჩხაიძეს დაუკავშირდა:

**- ბატონო დურმიშხან, სფფ-ის სამდივნომ განცხადება გაავრცელა და ყრილობის გადაწყვეტილებას არ ცნობს. გაფრთხილებულები იყვნენ თუ არა გენმდივანი და სუბიექტები?**

- რა თქმა უნდა, გაფრთხილებულები იყვნენ!

**- წერილობით თუ ტელეფონით?**

- ტელეფონით და ეს სრულიად საკმარისია. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ისინი ინფორმირებულები იყვნენ. პირადად იოსებ გაგუას მე ვესაუბრე და მისგან მივიღე ჩამონათვალი იმ დელეგატებისა, რომლებიც ყრილობაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ისინი მოვიდნენ ყრილობაზე და თუ ინფორმირებული არავინ იყო, ან დელეგატები ან სფფ-ის წარმომადგენლები ყრილობაზე როგორ მოხვდნენ?

**- რას აპირებთ? სფფ არ გამორიცხავს, რომ რეგიონულ ფედერაციას უფლებამოსილება შეუჩეროს...**

- ეს გამორიცხულია, ამას გარკვევა უნდა, ჰაერზე ასეთი საუბარი არ შეიძლება. თუ დარღვევა გვაქვს, კი ბატონო, შეგვიჩერონ, მაგრამ წესები არ დაგვირღვევია. გუშინ მოსული არ ვარ, ვერ ვერკვეოდე ვერაფერში. რატომ ჩავატარებდი ყრილობას უკანონოდ, როცა ამის არანაირი საჭიროება არ იყო? ასი ყრილობა რომ ჩატარდეს, გურია გიორგი ნემსაძეს აირჩევს. ასე არ შეიძლება ხმების დაბლოკვა. არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობს, უფლებამოსილება შეგვიჩერონ. ყველამ იცის, რომ გურიის ხმა ნემსაძეს ეკუთვნის!

**- თუ მაინც მოხდა დარღვევები, გურიას ხმა არ ექნება თუ ყრილობა თავიდან ჩატარდება?**

- წესით, დარღვევის დროს თავიდან უნდა ჩატარდეს, თუმცა ამის საჭიროება არ არსებობს.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ყრილობა თავიდან ჩატარდა, დურმიშხან ჩხაიძის მხარდამჭერები უმრავლესობას შეადგენენ და გამორიცხულია, ახალი ყრილობა სხვა შედეგით დასრულდეს. შესაძლოა, სფფ-მ გრფფ-ს უფლებამოსილება შეუჩეროს და საქმე ისე გაიწელოს, არჩევნების წინა დღეს გადაწყდეს მასში გურულების მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

# ვისია სამეგრელოს ხმა?

## ოფიციალურად ნეიტრალიტეტი, კულუარებში ნემსაძეს ამბობენ

დღითი დღე აქტუალური ხდება, თუ როგორ გადანაწილდება სუბიექტების ხმები ფეხბურთის ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში? ნოდარ ახალკაცმა მხარდამჭერები პრესკონფერენციაზე გაახმიანა. გიორგი ნემსაძე დაკონკრეტებას ერიდება და აცხადებს, რომ "წინასწარი მოთელვა ჩაატარა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო ბრძოლაში".

"ლელოს" ინფორმაციით, გურიიდან ნემსაძე სამეგრელოში უნდა ნასულიყო. ჩვენთან საუბარში მან მხოლოდ ის თქვა, რომ ყველა რეგიონს . იმის გასარკვევად, იმყოფებოდა თუ არა ნემსაძე სამეგრელოში და ვის ეკუთვნის იქაური ხმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სერგო კვარაცხელიას დავუკავშირდით:

**- თქვენთან რეგიონული ფედერაციის არჩევნები როდის ტარდება?**

- ჩვენთან არჩევნები მომავალ წელს უწევს.

**- გიორგი ნემსაძე ხომ არ იმყოფებოდა რეგიონში ან უახლოეს დღეებში ხომ არ იგეგმება მისი ვიზიტი?**

- ვერაფერს გეტყვით, ამის შესახებ ინფორმირებული არ ვარ. ნამდვილად არ ჩამოსულა და როდის ჩამოვა, ვერ გეტყვით.

**- ვის აძლევს ხმას სამეგრელოს ფედერაცია?**

- ჩვენ ავირჩიეთ დელეგატები, რის შესახებ ინფორმაცია უკვე მივაწოდეთ სფფ-ს. ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ და ალმასკომის გადაწყვეტილებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია არცერთ კანდიდატს არ წარადგენს. დელეგატები სამეგრელოს პოზიციას უშუალოდ 13 მაისს დააფიქსირებენ, საარჩევნო ურნაში ბიულეტენის ჩაგდების დროს.

**- ანუ თქვენ ჯერ ყველა კანდიდატს დაელოდებით და მათი პროგრამების გაცნობის შემდეგ მიიღებთ გადაწყვეტილებას?**

- დიახ.

მართალია, ბატონი სერგო ირწმუნება, რომ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ და 13 მაისამდე მათი ფავორიტის გახმაურებას მაინც არ აპირებენ, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, სამეგრელოს ხმა გიორგი ნემსაძისა უნდა იყოს.

**მამუკა ქანთარია**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# ბრაზილიას 17 ნოემბერს ვეთამაშებით?

## საკითხი 80 პროცენტით გადაწყვეტილია



მუშაობა ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებთან თბილისში ამხანაგური მატჩების ორგანიზებასთან დაკავშირებით, კვლავაც მიდის. ამაზე სამხრეთ ამერიკაში მყოფი **ნიკო პატარქალიშვილი** მუშაობს. ამ დღეებში პატარქალიშვილი ბრაზილიის კონფედერაციის მიწვევით რიო დე ჟანეიროში იმყოფებოდა.

*"რიო დე ჟანეიროში ბრაზილიის კონფედერაციის მიწვევით გახლდით და არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გავმართე. ბრაზილიის ნაკრების ამხანაგური მატჩების ორგანიზების ექსკლუზიურ უფლებას კომპანია "საპორტინგ სპორტი" ფლობს. ამ კომპანიის პრეზიდენტს, ფიფას ლიცენზირებულ აგენტ პედრო კაბრალთან და მის მოადგილე ბერნარდო არანტესთან არაერთი შეხვედრა მქონდა. ასევე ვესაუბრე ბრაზილიის კონფედერაციის დირექტორ ლუიშ გუსტავო ვიეირა დე კასტროსა და კონფედერაციაში ნაკრები გუნდების დირექტორ რიკარდო ფარიასს.*

*მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარა და შედეგიც სახეზეა, ფეხბურთის ფედერაციაში დღეს ფაქსი გაიგზავნა, სადაც ყველა ამ მხარის თანხმობაა დაფიქსირებული 17 ნოემბერს საქართველო-ბრაზილიის ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე"*, - გვითხრა გუშინ დაკავშირებისას ნიკო პატარქალიშვილმა.

მისი თქმით "საპორტინგ სპორტის" პრეზიდენტ. **პედრო კაბრალი** ორჯერ ყოფილა საქართველოში და ქვეყანა და ხალხიც მოსწონებია. ბრაზილიის კონფედერაციის დირექტორმა **ლუიშ გუსტავო ვიეირა დე კასტროსთან** საუბარში 1965 წელს, "მარაკანაზე" გამართული ამხანაგური მატჩი გაიხსენეს საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის. ლუიშ გუსტავო აღფრთოვანებულა, როცა გაუგია, რომ იმ მატჩის მონაწილე **სლავა მეტრეველი** არა რუსი, არამედ ქართველი იყო. პატარქალიშვილის თქმით, შესაძლოა ბრაზილიის დელეგაციას თბილისში ფიფას საპატიო პრეზიდენტი **ჟოაო ავելანჟიც** კი ჩამოჰყვეს.

ნიკო პატარქალიშვილის შემდეგ, ფედერაციის პოზიციითაც დავინტერესდით და გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით. *"დიახ, ბრაზილიიდან მართლაც მივიღეთ ფაქსი. ისინი თანახმანი არიან, 17 ნოემბერს, საქართველოს ნაკრებთან, თბილისში, ამხანაგური მატჩი გამართონ. თანახმანი არიან ჩვენ მიერ შეთავაზებულ პირობებზე. ერთი სიტყვით ძირეულ და მნიშვნელოვან საკითხებში შეთანხმება მიღწეულია. მხოლოდ რამდენიმე პუნქტილა დარჩა და მათზეც მალე შევთანხმდებით.*

*ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-ბრაზილიის ეროვნული ნაკრებების მატჩის 17 ნოემბერს გამართვა 80 პროცენტით გადაწყვეტილია"*, - გვითხრა უჩა უგულავამ.

რაც შეეხება არგენტინასთან ამხანაგურ თამაშს, უგულავას თქმით, არგენტინელებთან პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ყველაფერი მალე გაცხადდება.

**დავით ცაბაძე**



გიგი უგულავა და ნოდარ ახალკაცი

# სკოლბურთი 2010-მდე

გუშინ, თბილისის მერიაში, ქალაქის მერმა **გიგი უგულავამ** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** მემორანდუმს მოაწერეს ხელი. გადაწყდა, რომ 2010 წლის ივლისამდე სკოლბურთის პროექტს მერია და სფფ ერთობლივად განახორციელებენ.

*„დედაქალაქის მერიის ინიციატივა უდავოდ მისასალმებელია. სკოლბურთი პირველად შარშან ჩატარდა და პოპულარობა მალევე მოიპოვა. დარწმუნებული ვარ, მომავალი ტურნირები კიდევ უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავს"*, - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.

*„ასეთ კარგ პროექტებს მერია მხარს ყოველთვის დაუჭერს. სასიხარულოა, რომ სკოლები ერთმანეთს სპორტულ ასპარეზობებში ეჯიბრებიან და არა ჩხუბში. წლევანდელ სკოლბურთში ხუთასამდე სკოლაა ჩაბმული, სამომავლოდ ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება"*, - თქვა გიგი უგულავამ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# თემური ფინალშია



კვიპროსში 24-ე ტურის მატჩები გაიმართა. რადგან ჩემპიონის ვინაობა ცნობილია (აპოელი) მთავარი ყურადღება ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლისკენაა მიპყრობილი. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" 50 ქულით მესამეა და "ომონიას" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ ორი ტურია დარჩენილი. თემურის გუნდმა "ნეა სალამინა" 4:1 დაამარცხა. ქეცბაია მეორე წრიდან აღარ თამაშობს და მხოლოდ სამწვრთნელო საქმიანობითაა დაკავებული. ამ ტურში ქართველთა გუნდების დაპირისპირება შედგა, **ლევან ქებაძის** "ახნასმა" 2:0 დაამარცხა **კლიმენტი ნიტაიშვილის** აეკ-ი. ქებაძემ 74-ე წუთამდე ითამაშა. კლიმენტი ნიტაიშვილი 65-ე წუთზე შევიდა მოედანზე, თუმცა გუნდს ვერაფრით დაეხმარა. აეკ 33 ქულით მეხუთე ადგილზეა, "ახნასი" 31 ქულით - მეექვსე.

გუშინ თემურ ქეცბაიას "ანორთოსისი" კვიპროსის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში კლიმენტი ნიტაიშვილის აეკ-ს მასპინძლობდა. მატჩი 1:1 დასრულდა, ნიტაიშვილს არ უთამაშია. პირველი მატჩი "ანორთოსისმა" 2:1 მოიგო და ფინალის საგზურიც დაიბევა. ფინალში, რომელიც 12 მაისს გაიმართება "ანორთოსისი" ჩემპიონატში უშუალო კონკურენტ "ომონიას" გაეჯიბრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

17-წლამდელთა ნაკრები. უცხოური ტურნირი

# საქართველომ მოგებით დაიწყო

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სლოვენიაშია საერთაშორისო ტურნირ "ევროპა უნიტა". მეტოქეებად სლოვენიისა და იტალიის 17-წლამდელთა ნაკრებები და ადგილობრივი, ნოვა გორიცას რეგიონის ჭაბუკთა ნაკრებები გვყავს. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი, გუშინ, სწორედ ამ უკანასკნელს დაუპირისპირდა და 2:0 მოიგო.

მატჩები ორი 30 წუთიანი ტაიმისგან შედგება. ჩვენი ნაკრების თამაშის პარალელურად იტალიისა და სლოვენიის ჭაბუკთა ნაკრებები ეთამაშნენ ერთმანეთს. გამარჯვება იტალიელებს დარჩათ – 3:1.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი გუნდისა და ნოვა გორიცას თამაში, რომელიც ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა, ცანკერის კრებულის სრული უპირატესობით წარიმართა. როგორც ირკვევა, ქართველებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ და რეალიზების ხარისხი უკეთესი რომ ყოფილიყო, მეტოქეს უფრო დიდი ანგარიშითაც დავამარცხებდით. შეხვედრას ადგილობრივი მსაჯები ემსახურებოდნენ და ფედერაციის პრესცენტრის ცნობით, მათი ქმედება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ამის დასტურად მატჩის ბოლოს **ბექა ქარდავას** გაძევებაც გამოდგება, რომელიც მთავარმა არბიტრმა ორჯერ სრულიად უწყინარ სიტუაციაში გააფრთხილა.

რაც შეეხება გოლებს, პირველი ნახევარი უგოლოდ მიილია. შესვენებაზე ცანკერმა შეცვლებით გააძლიერა ნაკრების შემტევი პოტენციალი, ამან კი შედეგიც მალე გამოიღო. მე-40 წუთზე **ოთარ მეუნარგიამ** სოლო-რეიდი მოაწყო და მეკარეს შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა ეფექტური გოლი. ათ წუთში კი **ლუკა გუგუჩიამ** საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

ნოვა გორიცას წინააღმდეგ ჩვენმა ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა.

**საქართველო: ნიორაძე, ჭანკვეტაძე, ახალბედაშვილი, რიგვავა, გორდეზიანი (31. მელიქიშვილი), ფილია (31. მამულაძე), ბაგალიშვილი (31. ძალამიძე), გუგუჩია, ვაშაკიძე (31. მეუნარგია), შეყილაძე (47. ქარდავა).**

დღეს, ტურნირის მეორე ტურში საქართველო სლოვენიას, ხოლო იტალია ნოვა გორიცას ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

ფედერაცია და რეგიონები

# პრეზიდენტი ისევ ანჯაფარიძეა

გუშინ, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მესამე კონფერენცია და პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. პრეზიდენტობის კანდიდატი წესით ორი უნდა ყოფილიყო - მოქმედი პრეზიდენტი **მურად ანჯაფარიძე** და სოხუმის ფედერაციის თავკაცი **სერგო ფიფია**. ანჯაფარიძის კანდიდატურა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ და საფეხბურთო კლუბმა "გაგრამ" წამოაყენეს, ფიფიასი კი სოხუმის ფეხბურთის ფედერაციამ. თუმცა სერგო ფიფიამ საკუთარი კანდიდატურა კონფერენციის წინა დღეს 24 აპრილს მოხსნა. მონაწილეობა კონფერენციაში ხმის უფლების მქონე 15-ვე დელეგატმა მიიღო.

ყრილობას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ვიცე-პრეზიდენტებთან **რევაზ არველაძესა** და **გრიგოლ ცაავასთან** ერთად დაესწრო.

არჩევნებზე 15 ბიულეტენიდან ბათილი არცერთი გახდარა და ყველა ხმა მურად ანჯაფარიძემ მიიღო.

*"ყრილობამ საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. წესდების ყველა პუნქტი დაცული იყო. მურად ანჯაფარიძეს წლების განმავლობაში ძალზედ ბევრი აქვს გაკეთებული აფხაზეთის ფეხბურთისთვის. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ აქ, დევნილობაში ყოფნის პერიოდშიც შესაძლებელია აფხაზეთის საფეხბურთო რესურსის სწორედ წარმართვა და გამოყენება"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა აფფ-ის პასუხისმგებელმა მდივანმა **დიმიტრი ჭანტურიამ**.

ყრილობაზე აფფ-ის ალმასკომიც აირჩიეს შემდგომი შემადგენლობით: **ალექსანდრე აპლაკოვი, ვლადიმერ ბარქაია, გია გვაზავა, მერაბ დგებუაძე, ადიკ დურსუნიში, მურთაზ კორსანტია, კოტე კუჭუხიძე, სერგო ფიფია, ბესო ჩიხრაძე, გიგლა ძანძავა და მურად ანჯაფარიძე.**

ბოლოს კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეულ პრეზიდენტ მურად ანჯაფარიძეს გავესაუბრეთ...

- ამ კონფერენციისთვის სერიოზულად ვემზადებოდით. მალე ალმასკომი ახალი ხელმძღვანელობით შეიკრიბება და მუშაობის ახალ მიმართულებებს დავგეგმავთ, რალა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად. მინდა ვისურვო, რომ 13 მაისს ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ სწორი არჩევანი გააკეთოს ჩვენი ფეხბურთის სასიკეთოდ.

**- როგორც გავიგე, აფფ ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებთან აპირებს შეხვედრას...**

- დიახ, ჩვენ უკვე შეთანხმებული ვართ გიორგი ნემსაძესთან და მას 28 აპრილს შევხვდებით. ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა მამუკა კვარაცხელიამ და თუ ის წარდგენილი იქნება ფედერაციის რომელიმე სუბიექტის მიერ, ბუნებრივია მასაც გავესაუბრებით. ჩვენ ყველა იმ კანდიდატს შევხვდებით, რომელიც არჩევნებში ჩაერთვება. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ნოდარ ახალკაცი და საკუთარი პროგრამა გაგვაცნო. ალბათ, საკუთარ პროგრამას წარადგენს გიორგი ნემსაძეც და ყველა ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

**- მაინც ვისი იქნება აფხაზეთის ხმა?**

- პრეზიდენტობის კანდიდატებს ყველას მოვუსმენთ, ყველაფერს ავწონ-დავწონით, გადავწყვეტთ ჩვენგან თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას 13 მაისის ყრილობაზე და ვის დავუჭერთ მხარს. საბოლოოდ, ჩვენს პოზიციას 1 ან 2 მაისს დავაფიქსირებთ.

**დავით ცაბაძე**



მურად ანჯაფარიძე

პოპულარიზაცია

# აქცია, რეაქცია!

## ანუ როგორ ჩაერთო საფეხბურთო ჰოლივუდი ქართულ მოძრაობაში

ბოლო ორი კვირაა, ტელეეკრანებიდან არ ქრება ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის გამიზნული კლიპები, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები - მალდინი, გატუზო, კაკა, პირლო, ინძაგი, ალთინთოპი, კურანი გულშემატკივრებს მოუწოდებენ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს დაესწრონ.

სასიამოვნო სიურპრიზია და რა თქმა უნდა, გასაოცარიც. თუმცა ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის უცნობია, თუ ვინ ჩაიფიქრა ამ ორიგინალური გზით სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა. ჩანაფიქრი "ყაზბეგის" მარკეტინგის სამსახურის უფროსს გიორგი თოფაძეს და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანს ეკუთვნით.

### გიორგი თოფაძე:

- კლიპების ევროპაში გადაღების იდეა მაშინვე გაგვიჩნდა, როდესაც პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან ეროვნული თასის სპონსორობაზე ხელშეკრულება გავაფორმეთ.

ხშირად მესმის ნაკრების, ზოგადად ქართული ფეხბურთის კრიტიკა. ამ დროს მიმაჩნია, რომ ჩვენ, გულშემატკივრებსაც გარკვეული წვლილი მიგვიძღვის ჩვენი ფეხბურთის ჩავარდნაში. კრიტიკა და გინება ყველას შეუძლია, საქართველოს ჩემპიონატი უკეთესი რომ გახდეს, ჩვენ თავად რას ვაკეთებთ?

"ყაზბეგს" სურს, ჩვენი ჩემპიონატი მაღალი დონის გახდეს და ეს აქციაც... იცით, სიტყვა "აქციაც" არ მინდა ვიხმარო, სურვილი იყო დავხმარებოდით ქართულ ფეხბურთს და ევროპაში წასვლა გადავწყვიტეთ. ერთი რამ აშკარაა - ქართველ და ევროპელ გულშემატკივრებში იმხელა განსხვავებაა, როგორიც ცხოვრების დონეში. აი, ამ განსხვავების შემცირება გვსურდა. ამ ბიჭებს ჯერ პირობები უნდა შევუქმნათ, ნორმალურ მოედნებზე ვათამაშოთ და მერე შევაფასოთ, რა შეუძლიათ. თორემ ასეთ პირობებში მარადონაც ვერ გაიზრდება.

კლიპებს ვერ გადავიღებდით, საქართველოს ნაკრების წევრები რომ არ დაგვხმარებოდნენ. რა სალაპარაკოა, "მილანი" ყველაზე დიდი გუნდია, ნანახს შორის. ამის გათვალისწინებით, ძალიან გამაკვირვა ფეხბურთელების კეთილგანწყობამ. კახა კალაძე შევიდა გასახდელში, ყველას მოკლედ აუხსნა ვითარება და მეტი თხოვნა არ დასჭირვებია. თან ვის? კაკას შეუძლია ერთ ინტერვიუში უზარმაზარი თანხა აიღოს.

გამოვიდნენ გასახდელიდან, სადაც ჟურნალისტები და გულშემატკივრები იყვნენ და იკითხეს, ქართველები რომლები ხართო?

იმავენაირად დაგვეხმარა კობიაშვილი და "შალკეში" ძალიან კარგად მიგვიღეს - კურანიმ, ალთინთოპმა. ბოსნიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ბაირამოვიჩი ლევანის ძმაკაცი აღმოჩნდა, თუ გინდათ, თბილისშიც ჩამოვალთ და კობის ხათრით დაგეხმარებითო.

"ფრაიბურგის" მწვრთნელი ფინკეთან გადაგვყვა. ყველა ქართველს ჩემს მეგობრად ვთვლი, თქვენს ენაზე საუბარი რომ მესმის, მსიამოვნებსო. ძალიან კარგი იყო ამ ყველაფრის მოსმენა. კიდევ გვითხრა, ჩემს ხელში ბევრ ქართველს უთამაშიაო და ყველა ერთმანეთზე უკეთესად დაახასიათა. ეს კომპლიმენტს არ ჰგავდა, გულით საუბრობდა. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ უნიჭიერესი ბიჭები გვყავს, საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია და ა.შ.

**- ყველაზე რთული და იოლი რესპონდენტები რომლები აღმოჩნდნენ?**

- მე ისედაც ბრაზილიისა და კაკას გულშემატკივარი ვარ. ამ ჩანაწერის შემდეგ მივხვდი, რომ იგი დიდი ფეხბურთელობის გარდა, ძალიან კარგი ადამიანიც ყოფილა. უბრალო, თბილი, კეთილგანწყობილი. თვითონ გვთხოვა, თუ გინდათ კიდევ გავიმეორებ ფრაზას, პრობლემა არ არისო, ჩვენს მოშორებაზე კი არ იყო.

გატუზოზეც იმავეს ვიტყვი. შეიძლება, მოედანზე მრისხანე სახე აქვს, ცხოვრებაში კი უბრალო, გულიანი ბიჭია.

**- რომელიმესთან ხვეწნა-მუდარა დაგჭირდათ?**

- არავისთან! ჩვენს ლეგიონერებს იმხელა წონა აღმოაჩნდათ, პატარა გასაუბრების შემდეგ ყველა იოლად დაითანხმეს. რაც მთავარია - დაესწარით საქართველოს ჩემპიონატს - ლამის ყველამ ქართულად გვითხრა. ერთადერთი ინძაგიმ იუარა, ქართული საიდან უნდა ვიცოდე, აჯობებს, იტალიურად ვთქვა ფრაზა, უკეთესად გამოვაო.

**- ამ აქციის მიზანი გულშემატკივართა სტადიონზე მოზიდვაა?**

- რა თქმა უნდა. ჩვენს ნაკრებს და გუნდებს შედეგს თუ ვთხოვთ, სტადიონზე არ უნდა მივიდეთ? ცალმხრივი არც სიყვარული ვარგა... ფეხბურთელი გვთხოვს მივიდეთ და ვუგულშემატკივროთ. ტრიბუნების შევსება შედეგებთან პირდაპირპროპორციულია.

სხვათა შორის, კაკას ვკითხე, შეადარე ერთმანეთს ცარიელი და სავსე ტრიბუნების წინაშე გატანილი გოლებიმეთქი და გაოცებულმა მიპასუხა - მე ცარიელ სტადიონზე ცხოვრებაში არ მითამაშიაო!

მალდინიმ გულთან მიიტანა ჩვენი პრობლემები. მიხვდა, რა გასაჭირიც გვქონდა. ეს გააკეთეს უცხოელებმა, რომლებსაც შეეძლოთ უარის თქმა და ვერც გავამტყუნებდით. ჩვენ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები თუ ვართ, მათი თანადგომის შემდეგ მაინც უნდა მივხვდეთ - თუკი უცხოელებმა მიიტანეს გულთან ახლოს ჩვენი სატკივარი, ჩვენ ხელს რა გვიშლის? სავსე ტრიბუნები მოთამაშეებზე დოპინგივით მოქმედებს, აანთებს და ისე ათამაშებს, საკუთარი თავისგანაც რომ არ ელიან. ჩვენი ჩემპიონატის მტერი არა მარტო უფულობა და ცუდი მოედნებია, ცარიელი ტრიბუნები არანაკლები პრობლემაა.



გიორგი თოფაძე, კაკა და პაატა ბურჯალიანი

### პაატა ბურჯალიანი:

- ფრაიბურგში სალამოს იტალიურ რესტორანში ვივახშმეთ, რომლის მეპატრონე იაშვილის დიდი მეგობარი აღმოჩნდა. ხუმარა ტიპი იყო და თურმე, საქართველოზე ბევრი რამ იცოდა. თუმცა ის ვერ გავიგე - ყველა ქართველს რატომღაც, ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებდა. სასაცილო ადამიანი ჩანს.

ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიწყო "ფრაიბურგის" მწვრთნელმა და ქართველები ისე დაახასიათა, თითქოს საკუთარ შვილებზე საუბრობდა. ჩვენს ნაკრებზე ისაუბრა, ფეხბურთელებზე და შეიძლება, ქართველებს არ გვჯერა საკუთარი ნაკრების ისე, როგორც ფინკეს.

ჩვენი აქციის მთავარი მიზანი კარგად მოგეხსენებათ - მაყურებელი სტადიონებზე უნდა მოვიზიდოთ. გატუზოს ვკითხეთ ამაზე და საინტერესო პასუხი გაგვცა - მაყურებლის გარეშე ფეხბურთი მკვდარიაო. კალაძე კი აქო და ადიდა. მეამაყება, ასეთი ძმაკაცი რომ მყავსო.

"მილანის" ბაზა ხომ საფეხბურთო ჰოლივუდია - თითქმის ყველა გამვლელი ვარსკვლავია. მათი უმრავლესობა ძალიან თბილი პიროვნება აღმოჩნდა. მაგალითად, მალდინი - მოკრძალებული, გაწონასწორებული ადამიანია. რამდენი ვარსკვლავის გვერდით უთამაშია და კალაძე მაგრად შეაქო, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორი უწოდა.

კაკა ჯერ კიდევ ბავშვია. ბაზაზე 12 წლის ძმამ მიაკითხა და გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, მის ძმას ინტერვიუს რომ ვართმევდით.

დამამახსოვრდა შეხვედრა "აიაქსის" ფანთან. "აიაქსი"-"ალკმაარის" შემდეგ ამსტერდამელთა საკლუბო ბარში შოთა არველაძეს ველოდებოდით. ამ დროს "აიაქსის" ფანი მოგვიჯდა და რომ გაიგო, ვინც ვიყავით, შოთაზე დაგველაპარაკა. თურმე, ამსტერდამელები გუნდიდან წასულ ფეხბურთელს დასანახად ვერ იტანენ. შოთა კი ის იშვიათი გამონაკლისია, ვიზეც დღემდე სიყვარულით ლაპარაკობენ. მიზეზი ისევ შოთას ღირსეული საქციელია. თურმე წლეულს თუ შარშან "აიაქსს" ბურთი რომ გაუტანა, ემოციის გამოხატვას მოერიდა და იმ ფანმა მითხრა - ყველა მივხვდით, ჩვენს გალიზიანებას მოერიდაო. მერე ისიც გვითხრა მისი ძმა საფეხბურთო სკოლის მენეჯერი არ არისო?!.

ჰოლანდიაში ტრიბუნაზე ვიჯექი და ვფიქრობდი, ეს არანორმალური გულშემატკივრობა ჩვენთან რომ იყოს, სულ სხვა ჩემპიონატი გვექნება-თქო. ეს იყო სპექტაკლი, რომელშიც 22 ათასი მაყურებელი მონაწილეობდა.

ლიგისა და "ყაზბეგის" წამოწყების მიზანი გულშემატკივრის სტადიონზე მობრუნებაა. ამ საქმეში ორგანიზაცია ბევრს ნიშნავს, არის სხვა ნიუანსებიც და თუკი ამის გათვალისწინებას მოვახერხებთ, მაშინ ტრიბუნებიც შეივსება.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი თოფაძე, რონალდო და პაატა ბურჯალიანი

მოყვარულთა ნაკრები

# ბაქოში მარცხით დავიწყეთ

ბაქოში მიმდინარე ევროპის თასის გათამაშებაზე, მოყვარულთა რეგიონულ ნაკრებებს შორის, საქართველოს ნაკრები პირველივე მატჩში დამარცხდა. ტურნირის გახსნის დღეს ჩვენი მეტოქე შვეიცარიის ნაკრები იყო. საწყის წუთებში უპირატესობას შვეიცარიელები ფლობდნენ, თუმცა **ელგუჯა გუგუშვილის** შეგირდებმა ნელ-ნელა მოახერხეს თამაშის გამოსწორება და ტაიმის ბოლოსკენ უპირატესობასაც დაეუფლნენ.

ჩვენების შეტევებით დაიწყო მეორე ტაიმიც, მაგრამ ერთმა შეცდომამ მატჩის ბედი გადაწყვიტა. მეკარისა და მცველის შეუთანხმებელი მოქმედებით, ბურთი მცველს ხელზე მოხვდა და ჩვენს კარში დანიშნული პენალტით შვეიცარიელებმა მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანეს.

მარცხის მიუხედავად, ჯგუფიდან გასვლის შანსი ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. ჯგუფური ეტაპის დასაძლევად მომდევნო შეხვედრების მოგებაა საჭირო.

**მერაბ ბრძოლიძე**
ბაქოდან



ნაკრების მწვრთნელი ელგუჯა გუგუშვილი


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფინკე წავა, იაშვილიც...



ფრაიბურგის ფანებს ფინკეს გუნდში დარჩენას თხოვენ

**ბუნდესლიგაში** გადასასვლელად მებრძოლმა „ფრაიბურგმა" წინა ტურში გაუთვალისწინებელი დანაკარგი განიცადა – შინ „კარლ ცაისთან" 1:3 დამარცხდა და სანუკვარი მიზნის მიღწევის შანსები საგრძნობლად შემცირა.

გუნდის თამაშით ფრაიბურგელ გულშემატკივართა უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა. განსაკუთრებით ის ქომაგები განრისხდნენ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ **ფოლკერ ფინკემ** „ფრაიბურგში" საკუთარი თავი ამოწურა. მათ ობსტრუქციას უხამსი ჟესტებით უპასუხეს **როდა ანტარმა** და **იუსუფ მოჰამადმა**. ისინი, „ფრაიბურგის" სხვა ფეხბურთელთა მსგავსად, ფინკეს დარჩენას ითხოვენ, მაგრამ კარგად ესმით, რომ კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას არ შეცვლის და მომავალი სეზონიდან მათი მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** იქნება. ფინკეს თანამდებობის შენარჩუნების მიზერული შანსი პირველ ბუნდესლიგაში გადასვლის შემთხვევაში გაუჩნდება, „კარლ ცაისთან" განცდილი მარცხი კი ამის ალბათობას მკვეთრად ამცირებს.

ფინკეს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა **ალექსანდრე იაშვილმაც**, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში კიდევ ერთხელ დაადასტურა, სეზონის ბოლოს „ფრაიბურგიდან" აუცილებლად წავალო. ქართველმა ფორვარდმა ისიც დაამატა, ამდენი წელიწადი აქ მხოლოდ ფინკეს გამო გავჩერდიო. იაშვილის ახალი სავარაუდოდ, კლუბების შესახებ „ლელო" ამ ცოტა ხნის წინათ წერდა.

„ფრაიბურგის" თაობაზე საინტერესო კიდევ ისაა, რომ კლუბის გულშემატკივრები ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. მათ ნაწილს, როგორც უკვე ვთქვით, ფინკეს წასვლა სურს, დანარჩენები კი „ფრაიბურგის" სტაყიან დამრიგებელს მხარს ერთგულად უჭერენ. როგორც სურათზე ხედავთ, ამჟამინდელი მწვრთნელი ქომაგთა დიდ ნაწილში კვლავაც უდიდესი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს. ფინკეს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის „კარლ ცაისთან" მატჩის შემდეგ შეხლა-შემოხლაც კი მოხდა.

მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი. „ფრაიბურგი" 30 შეხვედრის შემდეგ, 51 ქულით მეხუთე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება მესამეადგილოსან „დუისბურგს". „ფიურტსა" და „კაიზერსლაუტერნს", შესაბამისად, 51 და 50 ქულა აქვთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**


პაატა ჯინჭარაძე

# ნულოვანი ფრეები

რუსეთის პირველ დივიზიონში მეექვსე ტურის მატჩები გაიმართა, ბრიანსკის "დინამომ" "სიბირს" უმასპინძლა და დაუზავდა - 0:0. მატჩს სიცივეში (+1 გრადუსი) 5 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. **პაატა ჯინჭარაძემ** 90 წუთი ითამაშა. ქართველი ნახევარმცველის გუნდი ჩემპიონატში დაუმარცხებელია, "დინამო" 12 ქულით მესამე ადგილზეა. ვლადიკავკაზში ჩრდილოკავკასიური დერბი გაიმართა, "ალანია" 0:0 დაუზავდა მახაჭყალის "ანჟის. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავა** კი **ომარ თეთრაძემ** 44-ე წუთზე შეცვალა. არზიანი გააფრთხილეს. მატჩის შემდეგ თეთრაძემ განაცხადა, რომ ხოჯავას გოლის გატანა შეეძლო. რაც შეეხება **მუავანაძეს**, მასზე ბოლო ცნობები თავად "ანჟის" თავკაცს არ აქვს. "ანჟის" 11 ქულა აქვს და ცხრილში მეექვსეა. თავიანთ კლუბებში, ჯერჯერობით, არ ჩანან: კახა მჟავანაძე (ანჟი), **გედევან დარასელია** (ტორპედო) და **ლევან მიქაძე** (ბალტიკა).

## პირველი ლიგა

გადადებული მატჩები

**ვიტ ჯორჯია 2–მერცხალი** 6:1

**რაჭა–ნ. დინამო** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 27 | 20 | 2 | 5 | 46-18 | 62 |
| 2. მესხეთი | 26 | 18 | 4 | 4 | 49-14 | 58 |
| 3. მალაროელი | 28 | 13 | 7 | 8 | 40-29 | 46 |
| 4. ვიტ ჯორ. 2 | 28 | 13 | 6 | 9 | 48-25 | 45 |
| 5. ოლიმპი | 28 | 13 | 6 | 9 | 46-30 | 45 |
| 6. მეშაქრე | 28 | 12 | 9 | 7 | 32-25 | 45 |
| 7. გაგრა | 28 | 13 | 5 | 10 | 39-33 | 44 |
| 8. ამერი 2 | 28 | 11 | 10 | 7 | 44-33 | 43 |
| 9. სამტრედია | 28 | 11 | 8 | 9 | 27-33 | 41 |
| 10. ნ. დინამო | 27 | 12 | 4 | 11 | 40-39 | 40 |
| 11. მეშახტე | 27 | 10 | 5 | 12 | 37-34 | 36 |
| 12. დინამო 2 | 28 | 9 | 9 | 10 | 46-29 | 36 |
| 13. ზესტაფ. 2 | 27 | 8 | 10 | 9 | 25-26 | 34 |
| 14. რაჭა | 27 | 7 | 9 | 11 | 26-39 | 30 |
| 15. ჩიხურა 2 | 28 | 8 | 4 | 16 | 25-49 | 28 |
| 16. სპარტაკი | 27 | 7 | 3 | 16 | 17-39 | 24 |
| 17. გურია | 28 | 6 | 6 | 16 | 27-58 | 24 |
| 18. მერცხალი | 27 | 2 | 4 | 21 | 19-77 | 10 |

## რეგიონული ლიგა

| აღმოსავლეთი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 19 | 13 | 5 | 1 | 51-22 | 44 |
| ცხუმი | 18 | 12 | 3 | 3 | 34-12 | 39 |
| სამგორი (გრ) | 19 | 11 | 3 | 5 | 55-28 | 36 |
| სიონი 2 (ბლ) | 19 | 9 | 8 | 2 | 32-19 | 35 |
| ალგეთი (მრ) | 19 | 11 | 1 | 7 | 26-23 | 34 |
| გარეჯი (სგ) | 19 | 8 | 5 | 6 | 30-25 | 29 |
| ჯერეთი (ლგ) | 19 | 8 | 4 | 7 | 32-23 | 28 |
| თბილისი (თბ) | 19 | 8 | 2 | 9 | 41-40 | 26 |
| ხრამი (ნახ) | 19 | 5 | 7 | 7 | 26-32 | 22 |
| ოჩამჩირე | 20 | 5 | 5 | 10 | 27-37 | 20 |
| არაგველები | 14 | 4 | 4 | 6 | 24-29 | 16 |
| რუსთავი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-29 | 16 |
| ნ. დინამო 2 | 18 | 3 | 5 | 10 | 21-41 | 14 |
| ფორვარდი | 17 | 3 | 2 | 12 | 18-50 | 11 |
| დურუჯი (ყვ) | 14 | 2 | 2 | 10 | 16-39 | 8 |

| ცენტრალური | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 18 | 15 | 2 | 1 | 55-9 | 47 |
| ზოოვეტი | 16 | 12 | 2 | 2 | 45-16 | 38 |
| ბორჯომი 2 | 18 | 12 | 1 | 5 | 41-24 | 37 |
| მერანი 2 | 17 | 10 | 4 | 3 | 37-23 | 34 |
| ცხინვალი | 19 | 10 | 3 | 6 | 33-26 | 33 |
| მაუდი | 17 | 7 | 2 | 8 | 33-41 | 23 |
| არაგვი (დუშ) | 17 | 6 | 5 | 6 | 26-31 | 23 |
| ამირანი | 16 | 5 | 4 | 7 | 28-23 | 19 |
| მესხეთი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 27-31 | 19 |
| თ.ს. აკადემია | 18 | 4 | 5 | 9 | 18-36 | 17 |
| 35 ს.ს. | 19 | 4 | 4 | 11 | 28-43 | 16 |
| ლიახვი (თამ) | 18 | 3 | 5 | 10 | 20-39 | 14 |
| ვარძია (ასპ) | 19 | 1 | 1 | 17 | 8-57 | 4 |
| მოიხსნა | 0 | 0 | 0 | 0 | - | 0 |

| იმერეთი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტ. (ქ) | 16 | 15 | 1 | 0 | 38-6 | 46 |
| მარტვე (ძთ) | 15 | 9 | 4 | 2 | 25-16 | 31 |
| სამტრედია | 16 | 9 | 3 | 4 | 31-19 | 30 |
| დინამო 2 (ბთ) | 16 | 7 | 7 | 2 | 22-8 | 28 |
| მალაროელი 2 | 16 | 7 | 2 | 7 | 23-27 | 23 |
| ტორპედო 2 | 15 | 6 | 4 | 5 | 29-23 | 22 |
| სულორი (ვან) | 16 | 6 | 2 | 8 | 19-28 | 20 |
| შუქურა (ძბ) | 15 | 5 | 2 | 8 | 14-24 | 17 |
| იმერეთი (ხნ) | 16 | 5 | 0 | 11 | 26-32 | 15 |
| მარგვეთი (ზს) | 16 | 3 | 6 | 7 | 23-26 | 15 |
| კახაბერი (ხელვ) | 15 | 3 | 1 | 11 | 13-31 | 10 |
| დინამო (ძთ) | 16 | 2 | 2 | 12 | 9-32 | 8 |

| სამეგრელო | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხბ) | 22 | 15 | 2 | 5 | 41-19 | 47 |
| კოლხა (ფთ) | 22 | 13 | 4 | 5 | 50-23 | 43 |
| სქური (წლ) | 22 | 12 | 6 | 4 | 49-26 | 42 |
| მგლები 2 (ზგ) | 22 | 10 | 7 | 5 | 40-22 | 37 |
| გაგრა (წყ) | 22 | 8 | 5 | 9 | 30-41 | 29 |
| მერანი (მარტ) | 22 | 9 | 1 | 12 | 35-46 | 28 |
| დინამო (ზგ) | 22 | 6 | 3 | 13 | 39-55 | 21 |
| სამეგრელო (ჩხ) | 22 | 0 | 2 | 20 | 19-71 | 2 |

# ლომიძემ გაიტანა და თასის ფინალშიც გავიდა

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში 29-ე ტურის თამაშები გაიმართა. **მამუკა ლომიძის "ზიმბრუ" ლადო ახალაიას** "დაჩიას" მასპინძლობდა. ამ მატჩში სპორტულმა დირექტორმა **ალექსანდრ კურტიანუმ** გამოიყვანა "ზიმბრუ" სათამაშოდ, რადგან მთავარი მწვრთნელი **ტაბანოვი** თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მეორე და მეოთხე ადგილოსანთა მატჩი ცალკარა აღმოჩნდა, მასპინძლები კლასში ერთობ აღემატებოდნენ სტუმრებს. კიშინიოვური დერბი 4:0 მორჩა, თითქმის ყველა გოლი "ზიმბრუს" ფეხბურთელებმა თავით გაიტანეს. მათ შორის მამუკა ლომიძემაც, რომელმაც კუთხურიდან **ციგირლაშის** ჩაწოდებას მიუსწრო, მატჩის 66-ე წუთზე ქართველმა მცველმა ანგარიში 3:0 გახადა. ეს მამუკას პირველი გოლია სეზონში. მატჩის ბოლო წუთებზე "დაჩიამ" პრესტიჟის გოლის გატანა მოინდომა, თუმცა მათმა ქართველმა ახალწვეულმა ყველაზე ხელსაყრელი შანსი ქარს გაატანა, მატჩის მეოთხე დამატებულ წუთზე ლადო ახალაიამ პენალტის ნიშნულიდან მასპინძელთა კარის ხარიხა შეაზანზარა.

ჩემპიონატის ლიდერი ტირასპოლის "შერიფი" ბენდერის "დინამოს" ესტუმრა და 3:0 მოუგო. აუტსაიდერებთან მატჩში არ უთამაშია გუნდის კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილს**. ამავე ტურში "ტირასპოლი" "ნისტრუს" დაუზავდა - 1:1. მასპინძელთა მცველი **ვალტერ ხორგუაშვილი** თამაშში 63-ე წუთზე ჩაერთო.

ამის მერე მოლდოვის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. "შერიფი"-"ზიმბრუს" პირველი მატჩი კიშინიოვში "ზიმბრუს" გამარჯვებით დასრულდა - 2:1. ტირასპოლელთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საპასუხო მატჩზე დასწრება უფასო იყო და სტადიონზეც 8 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, თუმცა ამ მხარდაჭერამ "შერიფს" ვერ უშველა, 1:1 და ფინალში "ზიმბრუ" გავიდა. მამუკა ლომიძემ "ზიმბრუს" რიგებში შეუცვლელად ითამაშა. "შერიფის" სასტარტოში კი ვაჟა თარხნიშვილი გამოჩნდა. 67-ე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ, თუმცა ორ წუთში თარხნიშვილმა ზუსტად შეასრულა პენალტი და ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მანამდე მასპინძელთა ქართველმა კაპიტანმა მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიილო. მეორე ნახევარფინალურ წყვილში "ტირასპოლი" 1:2 დამარცხდა "ნისტრუსთან", პირველი მატჩიც "ნისტრუმ" მოიგო (1:0) და ფინალშიც ეს გუნდი გავიდა. "ტირასპოლელი" ვალტერ ხორგუაშვილი სათადარიგო იყო. ის 68-ე წუთზე შევიდა **ზისლისის** ნაცვლად, მე-80 წუთზე ხორგუაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო. მოლდოვის თასის ფინალი 9 მაისს კიშინიოვში "ზიმბრუს" ბაზაზე გაიმართება, რადგან ამ დღეებში რესპუბლიკური სტადიონი რეკონსტრუქციისთვის დაიკეტა.

ერთი დეტალიც, "დაჩიაში" ლადო ახალაია მას მერე მივიდა, რაც კლუბიდან 28 წლის **სერგეი პოტრიმბა** წავიდა. პოტრიმბა ესპანეთშია, ოღონდ სათამაშოდ კი არა - შავ მუშად. "დაჩიაში" არაოფიციალური მონაცემებით ფეხბურთელების ხელფასი "დაჩიაში" 200-500 დოლარია თვეში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მამუკა ლომიძე


ბურთით ჯაბა კანკავა

# კანკავა: დამსახურებულად გავიმარჯვეთ

ყველასთვის მოულოდნელად, უკრაინის ჩემპიონატის გასულ ტურში დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" დონეცკის „შახტიორს" სტუმრად 3:2 სძლია და მეტოქეს საჩემპიონო შანსები მკვეთრად შეუმცირა.

ბუნებრივია, შეხვედრის შემდეგ „დნეპრის" ფეხბურთელები სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყვნენ. *„არავის სჯეროდა, რომ „შახტიორის" დამარცხება შეგვეძლო, მაგრამ შედეგს ყველა ხედავს. სენსაცია შედგა, ჩვენმა უდიდესმა შრომამ და თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო, დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. მთელმა გუნდმა უმაღლეს დონეზე ითამაშა, მწვრთნელებმა და ბიჭებმა გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გაიღეს. ვფიქრობ, გულშემატკივრები „დნეპრის" ძალაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ",* - თქვა **ჯაბა კანკავამ** უკრაინულ პრესასთან საუბარში.

ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველის თამაში მედიამ დადებითად შეაფასა, მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ კანკავა მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჭაბუკთა ლიგა

**1990 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| ბათუმი–მერანი | 0:2 |
| ამერი–ზესტაფონი | 3:0 |
| ბორჯომი–კახეთი | 3:3 |
| ტორპედო–ცხინვალი | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია–ჩიხურა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო | 21 | 17 | 1 | 3 | 58-11 | 52 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 5 | 3 | 55-12 | 47 |
| 3 ჩიხურა | 21 | 14 | 4 | 3 | 59-18 | 46 |
| 4 ოლიმპი | 20 | 14 | 3 | 3 | 55-12 | 45 |
| 5 ამერი | 21 | 13 | 5 | 3 | 46-14 | 44 |
| 6 ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 32-19 | 40 |
| 7 მერანი | 22 | 10 | 3 | 9 | 32-38 | 33 |
| 8 ზესტაფონი | 22 | 9 | 5 | 8 | 31-28 | 32 |
| 9 სიონი | 20 | 8 | 2 | 10 | 30-35 | 26 |
| 10 დილა | 21 | 6 | 4 | 11 | 22-41 | 22 |
| 11 ლოკომოტივი | 21 | 6 | 3 | 12 | 38-36 | 21 |
| 12 ბათუმი | 21 | 5 | 4 | 12 | 18-43 | 19 |
| 13 კახეთი | 21 | 3 | 3 | 15 | 18-55 | 12 |
| 14 ბორჯომი | 22 | 2 | 3 | 17 | 16-76 | 9 |
| 15 ცხინვალი | 21 | 0 | 2 | 19 | 8-80 | 2 |

**1991 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| ტორპედო–ცხინვალი | 3:0 |
| ამერი–ზესტაფონი | 2:0 |
| ბათუმი–მერანი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია–ჩიხურა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო | 21 | 18 | 1 | 2 | 49-11 | 55 |
| 2 ბათუმი | 21 | 16 | 2 | 3 | 40-14 | 50 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 5 | 3 | 37-11 | 47 |
| 4 ოლიმპი | 20 | 13 | 5 | 2 | 62-20 | 44 |
| 5 მერანი | 22 | 12 | 3 | 7 | 38-27 | 39 |
| 6 ამერი | 21 | 10 | 1 | 10 | 27-22 | 31 |
| 7 დილა | 21 | 9 | 4 | 8 | 32-29 | 31 |
| 8 ტორპედო | 22 | 9 | 3 | 10 | 31-32 | 30 |
| 9 ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 30-25 | 28 |
| 10 კახეთი | 20 | 6 | 5 | 9 | 25-30 | 23 |
| 11 ლოკომოტივი | 21 | 4 | 9 | 8 | 21-34 | 21 |
| 12 ზესტაფონი | 22 | 6 | 2 | 14 | 32-53 | 20 |
| 13 ჩიხურა | 21 | 6 | 1 | 14 | 29-46 | 19 |
| 14 სიონი | 20 | 4 | 0 | 16 | 14-48 | 12 |
| 15 ცხინვალი | 21 | 0 | 1 | 20 | 10-75 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# სან სიროზე გამოჩნდება...



რუნის დარტყმა და 3:2

**მანჩესტერი–მილანი 3:2**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში, ბრაუნი, ჰაინცე, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, რუნი, გიგზი.

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (46. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო (53. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (82. გურკუფი).

**გოლები:** 1:0 კრისტიანო რონალდო (5), 1:1 კაკა (22), 1:2 კაკა (37), 2:2 რუნი (59), 3:2 რუნი (90)

**მაყურებელი:** 73 820

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

"წითელი ეშმაკები" "შავ-წითლებზე" უფრო ეშმაკები აღმოჩნდნენ: პირველებმა გაიტანეს **რონალდოს** თავურით, მერე **კაკას** ორჯერ გაატანინეს და სტუმარს მოგების ილუზია შეუქმნეს, მაგრამ მეორე ტაიმში **რუნის** ორი ეშმაკური და მწარე დარტყმით საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს, 3:2 – ჩემპიონთა ლიგის ექვს საშინაო შეხვედრაში "მანჩესტერმა" მეექვსედ მოიგო. ასე წაგება "მილანისთვის" მწარე იყო, მაგრამ დამსახურებული, რადგან ფეხბურთში იმარჯვებს ის, ვინც ორივე ტაიმს თამაშობს. "მილანს" ეშმაკობა არ ეყო, ეგონა, რომ პირველ ტაიმში გაკეთებული ეყოფოდა და მწარედ შეცდა: შესვენების შემდეგ ფერგიუსონის ფეხბურთელებმა იტალიელები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და მეორე ტაიმი ცალკარას დაამსგავსეს. შეხვედრა კი დიდად თვალსასეირო გამოვიდა თავისი ინტენსივობით, თამაშის ხარისხითა და საგოლე მომენტების რაოდენობით. სტუმრებისთვის ყველაზე მძიმედ გადასატანი სწორედ ის იყო, რომ მეხუთე და გადამწყვეტი გოლი დამატებულ დროში გავიდა. კაკას ბრწყინვალებით ანთებული "მილანი" **დიდას** შეცდომებმა, **ჯილარდინოს** პასიურობამ და **მალდინისა** და განსაკუთრებით **გატუზოს** ტრავმებმა დაალალატეს.

"მილანსა" და "რომას" შორის თავიდან განსხვავება ის იყო, რომ "ოლდ ტრეფორდზე" "მილანმა" პირველი გოლი მე-5 წუთზე გაუშვა, "რომას" ნგრევა კი მე-11 წუთზე დაიწყო, მაგრამ თუკი პირველი 45 წუთის შემდეგ მაშინ 4:0 იყო, ამჯერად მილანელები კაკას დუბლით სრულიად დამსახურებულად იგებდნენ. არაფერი იყო ამაში შემთხვევითი, რადგან მხოლოდ დიდ გუნდს შეუძლია "ოლდ ტრეფორდზე" დებიუტში გაშვებულ გოლზე ასე რეაგირება. შემთხვევითობა უფრო "იუნაიტედის" პირველ გოლს შეიძლება უწოდო: მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, დიდა წინ გამოვიდა, მაგრამ შუა გზაზე გაჩერდა და კრისტიანო რონალდოს თავით გამოტყორცნილ ბურთს ორჯერ შეეხო, თუმცა ორივეჯერ ამაოდ, 1:0. ამ მომენტში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ფერგიუსონმა ყველა სვლა გამოიცნო. წინა შეხვედრასთან შედარებით სქოთმა 4-2-3-1 ტაქტიკა უცვლელად დატოვა, მაგრამ შემსრულებლები შეცვალა: **ევრა** მარცხენა ფლანგზე დაბრუნდა, **ჰაინცემ** კი შუაში გადაინაცვლა დაშავებული **რიო ფერდინანდის** შესაცვლელად, **სმიტი** სკამზე დარჩა, მის ადგილას ახლა რუნი იდგა, რომელსაც ზურგს რონალდო-**სქოულზი-გიგზის** ტრიო უმაგრებდა. ამგვარად, ორ საყრდენს **ქერიკისა** და **ფლეტჩერს** კაკასა და **ამბროზინის** ჩაკეტვა დაევალათ, სქოულზი კი პირდაპირ **პირლოს** პრესინგზე გადავიდა. მასპინძლების თავბრუდამხვევმა დასაწყისმა და ზედ გოლმა "მილანი" გვარიანად შეაშინა. დაბნეული იტალიელები თამაშის დალაგებას ვერ ახერხებდნენ და რონალდოს საცირკო ნომრების უნებლიე მაყურებლებლად იქცნენ. პორტუგალიელმა მარცხნივ დაიწყო, მალე მარჯვნივ გადავიდა და **ოდოს** ტანჯვას შეუდგა: ყოველ ჯერზე, როცა თავისებურად აუჩქარებდა, მილანელების დაცვაში დიდი სიცარიელეები ჩნდებოდა და ყოველ ჯერზე, როცა კარისკენ დაარტყამდა, გულშემატკივარი გოლის მოლოდინში წამით დუმდებოდა. მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრებია, სადაც დიდი ფეხბურთელი იცნობა. "მანჩესტერის" ვარსკვლავის შემდეგ, ახლა უკვე "მილანის" ვარსკვლავის, კაკას ჯერი დადგა. სწორედ მან მოიგო პირველი ტაიმი ორი მონსტრის ომში, მოიგო ორი ისეთი გოლით, რომელსაც უსასრულოდ შეგიძლია უყურო და დატკბე. პირველი, მისი მაისურის ნომერივით, 22-ე წუთს დაემთხვა: ადგილზე გაჩერებულმა ბრაზილიელმა თანაგუნდელისგან მიღებული ბურთი ერთი შეხებით შეიგდო საჯარიმოში, ორ მცველს შორის გაძვრა და კარიდან გამოსულ **ვან დერ სარს** მახვილი კუთხიდან დაბალი დარტყმით გაუტანა, 1:1. ახლა რონალდომ სცადა თავისივე შექმნილი მომენტის დაგვირგვინება, მაგრამ მზაკვრული დარტყმა დიდამ მოუგერია. ორ წუთში სწორედ დიდამ დაიწყო ის მზაკვრული კონტრშეტევა, რომელიც მეორე გოლით დასრულდა: ბრაზილიელმა მეკარემ კაკას მანჩესტერელების ნახევარზე გადააწოდა, რიკი ჯერ ფლეტჩერს გაუსწორდა, მერე თავით ისე შეიგდო ბურთი ჰაინცესა და ევრას შორის, რომ ეს ორი ერთმანეთს შეაჯახა, თვითონ კი მეკარის პირისპირ გავიდა და კიდევ ერთი დაბალი დარტყმით გაიტანა, 1:2. აქედან ტაიმის ბოლომდე "მილანი" მოედნის სრული ბატონ-პატრონი იყო: სუპერნესტას წინ გატუზო და ამბროზინი ბურთს არავის ანებებდნენ, დანარჩენზე კი **ზეედორფი** და კაკა ზრუნავდნენ, აი ჯილარდინო კი, ძნელად გასახსენებელია, სად იყო.

პირველი იძულებითი ცვლილების გაკეთება **ანჩელოტის** შესვენებაზე მოუხდა: **ბონერა** დაშავებული **მალდინის** ნაცვლად. 8 წუთის განახლებული იყო შეხვედრა, როცა "მილანმა" გატუზო (კოჭის ტრავმის გამო) დაკარგა და მასთან ერთად ცენტრიც დაიკარგა, რადგან **ბროკის** გამოსვლის შემდეგ, სტუმრების ნახევარდაცვამ წვალება დაიწყო, მოედნის შუაგულში ქერიკი და ფლეტჩერი გაბატონდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გაკაპიტნებული ამბროზინი თავს არ ზოგავდა. "მანჩესტერი" არ ბრწყინავდა, მაგრამ მაინც დაჟინებით უტევდა და მე-60 წუთზე შედეგსაც მიაღწია: სქოულზმა გონივრულად გადაავლო ბურთი მილანელების დაცვას და გარლვევაზე გაიყვანა რუნი, რომელიც ნესტას უკნიდან გაეპარა და ერთი შეხებით გაიტანა. "მანჩესტერმა" შეტევები გაამწვავა, "მილანის" პასუხი კი პირლოს უწყინარი ჯარიმა იყო – სტუმრების ერთადერთი დარტყმა მეორე ტაიმში, რომელიც კარის მიმართულებით წავიდა. ანჩელოტიმ შეატყო, საქმე კარგად რომ არ მიდიოდა და უგზოუკვლოდ დაკარგული ჯილარდინო 82-ე წუთზე **გურკუფით** შეცვალა. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი 2:2-ის შესანარჩუნებლად. შეხვედრის დასრულებას ერთი წუთიღა აკლდა და ფრე თითქოს მიღწეული ჩანდა, როცა ასეთი დონის თამაშებში გამოუცდელმა ბროკიმ ცენტრში ბურთი გიგზს ჩააბარა, უელსელმა მეოთხედი მოედანი თვალისდახამხამებაში გადაკვეთა და რუნის გადააწოდა, ამან კი დიდას შეცდომით ისარგებლა და ძლიერი დარტყმით ახლო კუთხეში გაიტანა, 3:2. წინა დღით ფერგიუსონმა თქვა, 1:0-ც გვეყოფაო, მაგრამ შეიძლება, ამ ანგარიშით უფრო გახარებული იყოს, რადგან ასე მოგებას ზოგჯერ უფრო მეტი ფასი აქვს.

მანჩესტერი vs მილანი. გამოხმაურება

# ფერგის სისწრაფის იმედი აქვს

## დაბოღმილი კაკას მუქარა: სან სიროზე ნახავთ...



კაკა, 1:1

ორშაბათს, როცა "მილანი" "ოლდ ტრეფორდზე" სავარჯიშოდ მივიდა, გუნდს თან ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანიც** ახლდა. სანამ მინდორზე ფეხს შედგამდა, გალიანი დაიხარა და ბალახს აკოცა. ძნელი ასახსნელი არ არის ვიცე-პრეზიდენტის ეს რიტუალი: ამ ბალახზე მოიგო "მილანმა" უკანასკნელად ჩემპიონთა ლიგა, როცა 2005 წლის ფინალში "იუვენტუსი" 11-მეტრიანების სერიაში დაამარცხა. თუმცა მხოლოდ ეს არ არის: იმავე წელს, მერვედფინალში "როსონერიმ" "მანჩესტერ იუნაიტედს" აქ 1:0 მოუგო. მაგრამ ამჯერად "ოლდ ტრეფორდი" ნაკლებად სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. თამაშის შემდეგ გალიანი ნახევრად ოპტიმისტურ და ნახევრად პესიმისტურ განწყობაზე იყო: *"50 პროცენტი გვაქვს იმის შანსი, რომ ფინალში გავიდეთ. იქნებ ბედისწერაა, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში გოლს დამატებით დროში ვუშვებთ, ასე მოხდა "სან სიროზე" "ბაიერნთან", ასე მოხდა დღესაც... ვფიქრობ, მილანში "მანჩესტერი" ასეთი აგრესიული ველარ იქნება, "სან სიროზე" გამარჯვება ნამდვილად შეგვიძლია."*

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **ალექს ფერგიუსონი** უზომოდ გახარებული იყო, ჯერ კიდევ არ განელებოდა ის ემოცია, რომელიც დამატებით დროში რუნის გოლმა მოუტანა: *"მილანში თამაში იოლი არასდროსაა, მაგრამ მათაც კარგად იციან, რომ იოლი არც მათთვის იქნება. უეინის ბოლო გოლი ბრწყინვალე შანსს გვაძლევს. "მილანმა" იცის, რომ ძალიან რთული შეხვედრა ელის. ფანტასტიკურ სიტუაციაში ვართ, ჩვენს გუნდს ისეთ სისწრაფეებზე შეუძლია თამაში, რომ დარწმუნებული ვარ, გოლს იქაც გავიტანთ. რთული შეხვედრა გველის, მაგრამ მე მას მოუთმენლად ველოდები. დღეს ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით. როცა "მილანის" დონის გუნდთან 1:2-ს აგებ, თამაშის შემოტრიალება ძალიან ძნელია, მაგრამ შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, სისწრაფისთვის მოემატებინათ, რადგან ეს დიდ ეფექტს მოიტანდა. რამდენიმე უხეში შეცდომა დავუშვით, მაგრამ მეორე ტაიმში ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ და ყველას დავუმტკიცეთ, რომ გზის გაგრძელება და ამ ტურნირის მოგება შეგვიძლია. პირველ ნახევარში მცველებმა უყურადღებობა გამოიჩინეს, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისში გატანილმა გოლმა დიდი სტიმული მოგვცა. აქ უკვე ცხადი იყო, რომ ამ შეხვედრას ჩვენ მოვიგებდით, მხოლოდ ერთი კარგი დამაგვირგვინებელი დარტყმა იყო საჭირო."*

მატჩის მომგები **უეინ რუნი** ნამატჩევს ამას ამბობდა: *"გამარჯვების გოლი სასწაული იყო. არ დავნებდით, ბრძოლა ბოლომდე გავაგრძელეთ. ვიცოდით, რომ ამ შეხვედრას თუ მოვიგებდით, ძალიან გაგვიადვილდებოდა საქმე საპასუხო თამაშის წინ. გოლის ბოლო წუთზე გატანა ენითაუწერელი სიხარული იყო. იტალია ცნობილია ძლიერი დაცვით, ამიტომ 1:2-ის შემდეგ მოგება ორმაგად დიდი მიღწევაა. მილანში რთული თამაში გველის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იქაც კარგ შედეგს მივაღწევთ."*

მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერგიუსონი და კალაძე მატჩის შემდეგ

მე-6 გვერდიდან

დალონებულმა **კარლო ანჩელოტიმ** თამაშს ასეთი შეფასება მისცა: *„ერთი გულუბრყვილო შეცდომის გამო ცენტრში ბურთი დავკარგეთ და ახლა ყველანი გულგატეხილები ვართ. პირველი ტაიმი ჩვენი იყო, 2:2 უდავოდ უფრო სამართლიანი ანგარიში იქნებოდა. მალდინისა და გატუზოს გასვლამ პრობლემები შეგვიქმნა, მათ შორის ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც და ბოლო წუთებში ძალიან გაგვიჭირდა. მეორე ტაიმის რაღაც მომენტში თამაშზე უარი ვთქვით, მიზეზი ნაწილობრივ დაღლილობა იყო, ნაწილობრივ ის, რომ ინგლისელები ძალიან გვაჭერდნენ. მეორე ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს შიში შევნიშნე, არადა ასეთი თამაშები ბოლომდე უნდა ითამაშო. გურკუფი იმიტომ შემოვიყვანე, რომ ბურთის დაჭერა კარგად იცის, მაგრამ ამჯერად ამ სვლამ არ გაამართლა. სამწუხაროდ, სერჟინიო განაცხადში არ იყო, რადგან ფორმაში ჯერ ისევ არ არის. იმედია, განმეორებით შეხვედრაში მეყოლება... „მანჩესტერი“ საკუთარ მოედანზე ყოველთვის ასე თამაშობს, ჩვენ ერთი საათის განმავლობაში არაჩვეულებრივად ვითამაშეთ, ინგლისელებს ერთი კონტრშეტევის საშულებაც არ მივეცით და რონალდოც საიმედოდ ამოვკეტეთ. მაგრამ რუნი დღეს მომაკვდინებელი იყო. მესამე გოლზე დიდა შეიძლება, შეცდა, როცა ახლო კუთხე არ ჩაკეტა, მაგრამ მანამდე სასწაულებრივი ბურთები მოიგერია. ახლა უკვე მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობ. თუკი ერთი საათის მანძილზე „მანჩესტერს“ „ოლდ ტრეფორდზე“ ვაჯობეთ, სრული საფუძველი მაქვს, მჯეროდეს, რომ იმავეს გაკეთებას „სან სიროზეც“ შევძლებთ. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტები ინგლისელები არიან. თუმცა ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში ვიყავით „ბაიერნთან“ განმეორებითი მატჩის წინ და თუ გნებავთ, შარშან „ბარსელონასთან“ პირველი ნახევარფინალის შემდეგ. ინძაგი? იმედი მაქვს, რომ ამ დღეებში სრულფასოვნად ვარჯიშს შეძლებს და კონდიციას აღიდგენს, მაგრამ ინძაგისთან ერთად თუ ინძაგის გარეშე, „სან სიროზე“ მე დიდ „მილანს“ ველი.“*

კაკა. რუნიმ ორჯერ გაიტანა და თამაში მოიგო, კრისტიანო რონალდომ ბევრი ლამაზი რამე გააკეთა, მაგრამ თუ საქმე ერთი ფეხბურთელის გამორჩევაზე მიდგა, აქ კაკას მაინც ბადალი არ ჰყავდა. მართალია, მისმა დუბლმა „მილანს“ ვერ უშველა, მაგრამ ერთი ცხადია: კრისტიანო რონალდოსა და კაკას დუელში პირველი რაუნდი ბრაზილიელმა მოიგო. მისდამი მიძღვნილ სტატიაში „გაძეტა დელო სპორტი“ მეორე დღეს ასე წერდა: „ამდენი წვალება, ამდენი სირბილი, ამდენი ოფლისღვრა, ამდენი დრიბლინგი, ამდენი დარტყმა და ბოლოს რა გრჩება? ამდენი სიბრაზე. დიდი, ძალიან დიდი სიბრაზე. არა, რა თქმა უნდა, საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ როცა „ოლდ ტრეფორდზე“ ორი გოლი გაგაქვს და გასახდელში წაგებული გადიხარ, გამოდის, რომ იმ დღეს ბედისწერა შენი მეგობარი არ იყო. ეს ყველაფერი შეემთხვა სამშაბათს რიკი კაკას. თანაგუნდელები და მეტოქეები კომპლიმენტებით ავსებდნენ, ყველა ეფერებოდა და თავზე ხელს უსვამდა, მაგრამ ვერაფერი დაუტკბობს იმ ღამეს, რომელიც სულ სხვანაირი შეიძლებოდა ყოფილიყო და, იმისთვის, რაც მან გააკეთა, უნდა ყოფილიყო კიდეც სულ სხვანაირი.

*„ეს ანგარიში ყველას ბოლმად გვაწევს – თქვა ნამატჩევს ბრაზილიელმა – მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „სან სიროზე“ ჩვენს ტიფოზებთან ერთად, „მილანს“ კიდევ დიდი შანსი აქვს, ფინალში გასასვლელად. სამწუხაროდ, ასე წაგება მწარეა, ძალიან მწარე: ფრედ დასრულება შეგვეძლო, ის კი არა, მოგებაც შეიძლებოდა. ვერც ვხვდები რა მოხდა, მეორე ტაიმში რატომღაც თამაშს თავი დავანებეთ, ბურთი ძალიან იშვიათად მომდიოდა. მაგრამ ამის დრო ახლა აღარ არის, გამარჯვება შეგვიძლია, ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. შესაძლოა, რაღაცა შესასწორებელი და გასაუმჯობესებელი იყოს, მაგრამ მერე ნახავთ, „მილანს“ რისი გაკეთებაც შეუძლია.“*

**გოგა ახალაძე**

ვარსკვლავი

# ბურთის მბრძანებელი

## კრისტიანო რონალდო დიდების დარბაზს უახლოვდება

ადამიანის ასეთი ღრიალი „ფელტინს არენა აუფ შალკეს“ მომსახურე პერსონალს არასდროს მოუსმენია - გასახდელის კარი ლამის გამოინგრა. ეს **უეინ რუნი** მოაბოტებს, რომელსაც სახე და მთლიანად თავი სიბრაზისგან წითელი აქვს – კაცი, როგორც ხარი. პერსონალი გაცლას ამჯობინებს, იციან, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მაგრამ რუნის მიზანი მარტო ერთი კაცია – პორტუგალიელი **კრისტიანო რონალდო**. რამდენიმე წუთის წინ, სანამ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი (პორტუგალიასა და ინგლისს შორის) დასრულდებოდა, კრისტიანომ მსაჯს რუნის გაძევება მოსთხოვა. მიზეზი: ინგლისელმა **რიკარდო კარვალიოს** წინააღმდეგ დაუჯერებელი სისასტიკე ჩაიდინა. რუნი და რონალდო „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთად თამაშობენ და ინგლისელი აღშფოთებულია, ჩემს გაძევებას როგორ ითხოვდაო. რონალდოს შეეშალა და უეინი ამას ვერ აპატიებს!

გელზენკირხენის სტადიონის კატაკომბებში ხარივით კაცი როგორღაც შეაჩერეს, მაგრამ ვერბალურად მისი შეჩერება და დაწყნარება შეუძლებელი აღმოჩნდა: *„როცა შევხვდები, ორ ნაწილად გავხლეჩ!“* – უთხრა რუნიმ გამოცემა „სანს“. „მირორი“ კი წერდა: *„ეს კაცი ჩვენს ქვეყანაში აღარ უნდა შემოვუშვათ!“* ცხადია, კრისტიანო რონალდო იყო ნაგულისხმევი.

თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პორტუგალიელს ამის გამო არასდროს უდარდია. იმ დღიდანვე დაიწყო სპეკულაციები იმის შესახებ, რომ მადრიდის „რეალში“ გადავიდოდა და, რაც მთავარია, „სამეფო გუნდში“ გადასვლის სურვილს თვითონაც დღენიადაგ გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის საბუკმეკერო კანტორებმა კრისტიანოს მანჩესტერში დარჩენას უდიდესი კოეფიციენტები დაადეს, დღეს ეს ფეხბურთელი მაინც „ოლდ ტრეფორდზეა“.

სულ სხვა სცენა, 2007 წლის აპრილი: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი საპასუხო მატჩში „რომა“ მიწასთან გაასწორა (7:1) და ეს მატჩი კრისტიანო რონალდოს გალაკონცერტი გახლდათ. უეინ რუნი, ამჯერად მშვიდი და უწყინარი, როგორც კრავი, თავის პორტუგალიელ თანაგუნდელზე ამბობს: *„თამაშებს მარტო იგებს, ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია,“* – და არ ახსოვს ივლისის ის დღე, როცა, შესაძლებლობის ქონის შემთხვევაში, კრისტიანოს კედელზე მიალურსმავდა.

რუნი ერთადერთი არაა, ვინც ასეთი განცხადება გააკეთა. საკმარისია ვთქვათ, რომ უენის ამ მოსაზრებას მანკუნიანელთა თავკაცი **სერ ალექს ფერგიუსონი** და „ჩელსის“ კაპიტანი **ჯონ ტერი** ეთანხმებიან, რომ ცხადი გახდება, რუნი ერთადერთი არ არის, ვინც კრისტიანოს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს უწოდებს. მაინც რა მოხდა ამ სეზონში ისეთი, რამაც „მანჩესტერის“ მე-7 ნომერი პრემიერლიგის გიგანტად და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად გადააქცია? რატომ გაუფორმეს „წითელი ეშმაკების“ ბოსებმა მას ახალი, ზღაპრული კონტრაქტი 2012 წლამდე, რომლისთვისაც პორტუგალიელი ყოველწლიურად 8 მილიონი ევროს ჩაიჯიბავს? ამით ხომ ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდა საკუთარ კლუბში? იმიტომ, რომ ამ უზადო ტექნიკოსისა და დრიბლიორის, ბურთის მბრძანებელი და ეგოცენტრული ყმაწვილისგან, გუნდზე მოთამაშე, ამავდროულად ბომბარდირი და ეფექტური ფეხბურთელი გამოიძერწა, რომელიც ბურთს ორივე ფეხით შესანიშნავად ფლობს და ნებისმიერ მცველს ერთი-ერთზე შიშის ზარს სცემს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე კრისტიანო ჩინებული ინდივიდუალისტი იყო, მუნდიალის შემდეგ კი ნელ-ნელა გუნდის მოთამაშედ ჩამოყალიბდა და ბევრი რამ ისწავლა.

მაგრამ არის კი კრისტიანო მომწიფებული იმისათვის, რომ დიდების დარბაზში შეაბიჯოს, დარბაზში, რომელსაც **ფრანც ბეკენბაუერის, პელეს, ალფრედო დი სტეფანოს, იოჰან კრუიფისა** და **დიეგო მარადონას** პორტრეტები ამშვენებს? ბევრის აზრით, ამ დარბაზში შესვლამდე მან თავისი უმთავრესი ნაკლი უნდა დაამარცხოს – შეეშვას იმას, რაც ხელს უშლის, იყოს ყველასათვის მისაბაძი მაგალითი, როგორც ადამიანი – გვერდზე გადადოს სიამაყე, დროსტარებანი, ექსცენტრულობა და იმის ნაცვლად, რომ სამი ფეხბურთელის მოტყუების შემდეგ, მეოთხეს გაბითურებაც სცადოს, პასი მისცეს რომელიმე თანაგუნდელს. თუკი ფერგიუსონი მას უკვე უწოდებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ამას წინათ თქვა, კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საუკეთესოო. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ **რონალდინიოზე** ჯერჯერობით თითქმის აღარავინ საუბრობს, ახლა ყველა კრისტიანო რონალდოს მისჩერებია. მაგრამ თუკი მუნდიალის შემდეგ დაწყებულ გზას ასეთივე ტემპში გააგრძელებს, სულ მალე კრისტიანოს ფეხბურთის ბუმბერაზების გვერდით დაყენება გადაჭარბებული ნამდვილად აღარ იქნება. თუ დიდების დარბაზში მაინც ვერ შეაბიჯა, ეს არ იქნება იმის ბრალი, რომ ტალანტი არ ჰქონდა. სპორტული სისუსტე? სისულელეა! ხელის შემშლელი ფაქტორი, შესაძლოა, ის იყოს, რომ პორტუგალიის ნაკრები არც გასული მუნდიალის ტოპფავორიტი იყო და, ალბათ, არც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მოგების უმთავრესი კანდიდატი იქნება. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თავის დროზე მუნდიალი ვერც კრუიფმა და დი სტეფანომ მოიგეს.

ნათელია ისიც, რომ პორტუგალიაში მას უკვე აყენებენ ლეგენდარული **ეუსებიოსა** და **ლუიშ ფიგუს** გვერდით. როცა გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ კრისტიანომ „მანჩესტერთან“ კონტრაქტი გააგრძელა, პორტუგალიაში საინფორმაციო გადაცემების ნომერი პირველი თემა არა მსოფლიო პოლიტიკის სიახლეები, არამედ სწორედ რონალდოს ახალი ხელშეკრულება გახლდათ. ის, რომ კრისტიანო არსებობს, განსაკუთრებით კუნძულ მადეირაზე ეამაყებათ, იქ, სადაც მისი მშობლიური მიწაა. არადა, ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, ანუ, ყველაფერი წინ აქვს.

*„სიგიჟემდე მინდა, რომ ინგლისის ჩემპიონი გავხდე და ჩემპიონთა ლიგა მოვიგო,“* – ამბობს რონალდო და ცხადია, რომ ეს პირველი მიზნებია და თუ ეს ორი სურვილი შეუსრულდა, ძალიან დიდი შანსია, რომ 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდეს, რაც დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად არ იქნება მოულოდნელობა.

**გოტფრიდ ლენცი**

ფრაზები

### რას ამბობენ მასზე?

#### ბეკენბაუერი: ადრე ცირკის ფეხბურთელად ვთვლიდი

ფრანც ბეკენბაუერი: ***„ადრე ის ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ცირკის ფეხბურთელი იყო, დღესდღეობით კი ევროპის ყველაზე შესამჩნევი მოთამაშეა.“***

სერ ბობი ჩარლტონი (მანჩესტერის ლეგენდა): ***„ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ გენიალურ მოთამაშედ ჩამოყალიბდებოდა. ჩვენ ამას არ ველოდით! ბურთთან ერთად ისეთ რაღაცებს აკეთებს, რაც არასდროს მინახავს!“***

პატრის ევრა (მანჩესტერი): ***„მცველები მასთან ორთაბრძოლას გაურბიან ხოლმე. კრისტიანოს მხარდამხარ თამაში უდიდესი სიამოვნებაა.“***

პოლ სტალტერი (ტოტენჰემი): ***„კრისტიანო რონალდოს შეჩერება უბრალოდ შეუძლებელია!“***

მიკელ არტეტა (ევერტონი): ***„კრისტიანო დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. არასდროს მინახავს მოთამაშე, რომელსაც ასე დიდხანს შეუძლია ფორმის შენარჩუნება, როგორც მას.“***

ჰაქან შუქური (გალათასარაი): ***„ყველაზე მეტად სწორედ თამაშის ასეთი მანერა მხიბლავს და უბედური ვარ იმის გამო, რომ ასეთი ნიჭით დაჯილდოვებული არ ვიყავი. ფეხბურთი მხოლოდ კრისტიანო რონალდოს დარი მოთამაშეების გამოა ლამაზი და სანახაობრივი.“***

ლუიშ ფიგუ: ***„ფანტასტიკური შესაძლებლობების პატრონია. ადრე თუ გვიან, კრისტიანო აუცილებლად გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.“***



ეს წუთია კრისტიანომ ანგარიში გახსნა

უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# ვალვერდე: ვერდერი ფავორიტი არ არის!

## სევილიამ იცის, როგორ გააგდოს ოსასუნა...


ბრემენელთა შტაბი, კლაუს ალოფსი და თომას შააფი

### ესპანიოლი-ვერდერი

„ესპანიოლისა" და „ვერდერის" დაპირისპირებაში ექსპერტთა უმრავლესობა ფავორიტად ბრემენულ კლუბს რაცხავს. მაგრამ თუ იმ გუნდებს გადავხედავთ, რომლებიც კატალონიელებმა ნახევარფინალამდე დაიფრინეს, მივხვდებით, რომ „ვერდერს" ნამდვილად არ ელის იოლი მატჩები. **ერნესტო ვალვერდეს** გუნდმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ყველა თამაში მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა, რაც ამ გუნდის გარდა მხოლოდ „ტოტენჰემმა" მოახერხა.

1/16 ფინალში კატალონიელთა მეტოქე იტალიური „ლივორნო" გახლდათ, რომელსაც „ესპანიოლმა" სტუმრად, ცარიელი ტრიბუნების ფონზე 2:1 მოუგო, შინ კი 2:0 სძლია. მერვედფინალში ვალვერდეს გუნდის მეტოქე ჰაიფის „მაკაბი" იყო – ისრაელში გამართული მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა, საკუთარ „მონჟუიკზე" კი „ესპანიოლმა" 4:0 იმარჯვა და მეოთედფინალში გავიდა, სადაც ლისაბონის „ბენფიკას" გადაეყარა. პორტუგალიურ გრანდთან კატალონიელებს უმძიმესი ბრძოლა გადახდათ – ბარსელონაში 3:2 იმარჯვეს, ლისაბონში კი რის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს 0:0-ს, რის შედეგადაც ნახევარფინალში არიან. „ვერდერმა" უეფას თასზე, როგორც იცით, ჩემპიონთა ლიგიდან გადაინაცვლა. **თომას შააფის** შეგირდებმა 1/16 ფინალიდან ამსტერდამის „აიაქსი" დაიფრინეს (3:0, 1:3), მერვედფინალში ვიგოს „სელტას" გაუსწორდნენ (1:0, 2:0), მეოთხედფინალიდან კი **შოთა არველაძის** „ალკმაარი" გააგდეს (0:0, 4:1).

ამრიგად, დღეს ერთმანეთის წინააღმდეგ წარსდგებიან გუნდები, რომლებსაც გოლების გატანა ეხერხებათ – „ვერდერი" ბუნდესლიგის ყველაზე გოლუხვი გუნდია, „ესპანიოლმა" კი უეფას თასზე გაიტანა ყველაზე მეტი გოლი. „ვერდერს" საკადრო პრობლემები შეუმცირდა: გასულ უქმეებზე ბრემენულ კლუბს **დანიელ იენსენი** და **ფრანკ ბაუმანი** დაუბრუნდნენ. დღევანდელი მატჩისთვის კი მარცხენა მცველი **კრისტიან შულციც** გამოჯანმრთელდა, რაც შააფისთვის დიდი შეღავათია. როგორც იცით, ტრავმირებულია **პიერ ვომე**. მის ნაცვლად დაცვის მარცხენა ფლანგზე **პატრიკ ოვომოიელა** თამაშობდა ხოლმე. ვომესთან ერთად, ლაზარეთში იმყოფებიან **ტიმ ბოროვსკი** და **პერ მერტეზაკერიც**.

თუკი „მუსიკოსები" ესპანიოლის ბარიერს გადალახავენ, ახლოს იქნებიან მიზანთან, რომელსაც კლუბის ისტორიაში ევროტურნირის მეორედ მოგება ჰქვია. „ვერდერმა" ზუსტად 15 წლის წინ, 1992-ში მოიგო თასების მფლობელთა თასი, რაც ბრემენელთა პირველი და უკანასკნელი ევროტიტულია. *„ცხადია, ყველას გვახსენდება 1992 წელი, როცა თასების თასის ფინალში „მონაკოს" 2:0 მოვუგეთ, მაგრამ მაშინდელ ტრიუმფზე არ უნდა ვიფიქროთ, რადგან ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს,"* – აცხადებს შააფი, რომელიც მაშინ „ვერდერის" ღირსებას იცავდა, გუნდის მწვრთნელი კი **ოტო რეჰაგელი** იყო.

*„ჩვენთვის 0:0-იც კარგი შედეგი იქნება, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ მინიმუმ ერთი გოლი გავიტანოთ, საპასუხო კი არ გავუშვათ,"* – აცხადებს **ტორსტენ ფრინგსი**, თუ ბრემენელები მართლაც მოახერხებენ გოლის გატანას, ეს „ვერდერის" მე-300 გოლი იქნება ევროტურნირებზე. შააფი კი უფრო დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას. თუნდაც იმიტომ, რომ „ესპანიოლმა" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში 27 გოლის გატანა შეძლო და ამ მხრივ საუკეთესო შედეგი აქვს. თანაც, კატალონიელთა ღირსებას ტურნირის ბომბარდირი **ვალტერ პანდიანი** იცავს.

გარდა იმისა, რომ „ესპანიოლმა" ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, კატალონიელებს უეფას თასის ყველაზე უხეში გუნდის სახელიც აქვთ. მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი გაფრთხილება ან გაძევება სწორედ ვალვერდეს შეგირდებმა დაიმსახურეს. შორს რომ არ წავიდეთ, ლისაბონში, „ბენფიკასთან" ჩატარებულ მატჩში „ესპანიოლის" 5 მოთამაშე გააფრთხილეს. დღეს დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ **პაბლო ხავიერ საბალეტა, ფრანსისკო ჩიკა** და **ლუის გარსია**.

„ვერდერის" უკანასკნელი წაგება 17 თებერვლით თარიღდება, როცა „მუსიკოსები" „ჰამბურგთან" 0:2 დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, ერნესტო ვალვერდეს სჯერა, რომ მისი გუნდი უეფას თასის უმთავრესი ფავორიტის დამარცხებას მოახერხებს და განმეორებითი მატჩის წინ ჰანდიკაპს შეიქმნის. ვალვერდე: *„ვიცი, რომ „ვერდერის" სახით ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფინალში გასვლის შანსები 50/50-ზეა."*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ესპანიოლი:** ირაისოსი, საბალეტა, ტორეხონი, ხარკე, დავიდ გარსია, რუფეტე, მოისეს ურტადო, დე ლა პენია, რიერა, რაულ ტამუდო, პანდიანი.

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, პასანენი, ნალდო, ოვომოიელა (ან შულცი), ფრინგსი, ვრანიეში, ბაუმანი, დიეგო, კლოზე, ჰანტი.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგი (ნორვეგია).


ერნესტო ვალვერდე

### ოსასუნა-სევილია

მეორე ნახევარფინალში წმინდა ესპანური დუელია – პამპლონაში „ოსასუნა" უეფას თასის მოქმედ გამარჯვებულ „სევილიას" მასპინძლობს. იმ დროს, როცა ანდალუსიელები ცდილობენ, გახდნენ მეორე გუნდი, რომელიც უეფას თასს ზედიზედ ორჯერ დაეუფლება, „ოსასუნა" პირველადაა ევროტურნირის ნახევარფინალში. თუნდაც ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ წყვილში ფავორიტი სწორედ **ხუანდე რამოსის** გუნდია. პრიმერადივიზიონში ეს გუნდები სულ 56-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან 22 მატჩი „სევილიამ" მოიგო, 20 „ოსასუნამ", 14 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ესპანეთის მიმდინარე პირველობაზე ამ გუნდებმა უკვე ორჯერ ითამაშეს: 5 ნოემბერს „სევილიამ" საკუთარ კედლებში 2:0 იმარჯვა (გოლები: **კანუტი, ადრიანო**), 1 აპრილს პამპლონაში გამართული თამაში კი 0:0 დასრულდა.

„ოსასუნამ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე D ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და 1/16 ფინალიდან მოყოლებული შემდეგი გუნდები დაამარცხა: „ბორდო" (0:0, 1:0 დ.დ.), „რეინჯერსი" (1:0, 1:1) და „ლევერკუზენი" (1:0, 3:0). ჯგუფურ ეტაპზე „სევილიამაც" მეორე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც ჯერ ბუქარესტის „სტიაუა" დაიფრინა (1:0, 2:0), მერე დონეცკის „შახტარი" (2:2, 3:2 დ.დ.) და ბოლოს „ტოტენჰემი" (2:1, 2:2).

„სევილია" პრიმერადივიზიონში ლიდერ „ბარსას" მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება და ცალით ფეხით სამეფო თასის ფინალშია გასული (რამოსის ბიჭებმა ნახევარფინალის პირველ დაპირისპირებაში „დეპორტივოს" 3:0 მოუგეს). ამრიგად, ანდალუსიელები სამ ფრონტზე იბრძვიან, მაგრამ მწვრთნელი ამბობს, რომ „სევილია" არცერთ ტურნირს არ ანიჭებს უპირატესობას: *„ეს, ჩემი აზრით, უაზრობა იქნებოდა. ჩვენ უბრალოდ ყველა თამაშის მოგებას ვცდილობთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. ახლა უეფას თასზე ვიწყებთ ფიქრს, რადგან მომდევნო თამაში „ოსასუნასთან" გვაქვს, მერე კი ისევ ესპანეთის ჩემპიონატზე გადავერთვებით,"* – განაცხადა ხუანდე რამოსმა „ბილბაოსთან" მოგებული მატჩის (4:1) შემდეგ.

*„ბევრი ფიქრობს, რომ თუ ერთ ტიტულს მოვიგებთ, კმაყოფილები ვიქნებით. არავითარ შემთხვევაში! პირადად მე მინდა, რომ სამივე ტიტულს დავეუფლოთ და ვინც ფიქრობს, რომ ეს არარეალურია, ცდება. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და თუ ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება, ეს მისი პრობლემაა,"* – ეს კი ანდალუსიელთა დანიელი ნახევარმცველის, **კრისტიან პოულსენის** სიტყვებია.

„ოსასუნის" ერთადერთი დანაკლისი ნახევარმცველ **იავად ნეკუნამის** არყოფნაა, „სევილიას" კი **რენატო** არ ეყოლება, რომელიც „ბილბაოსთან" მატჩში დაშავდა. სამაგიეროდ, ანდალუსიელებს მეკარე **ანდრეს პალოპი** და **ადრიანო კორეია** უბრუნდებიან.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოსასუნა:** რიკარდო, ისკუერდო, კრუჩაგა, კუელარი, კორალესი, ხუანფრანი, რაულ გარსია, პუნალი, დავიდ ლოპესი, სოლდადო, მილოშევიჩი.

**სევილია:** პალოპი (ან კობენო), დანიელ ალვეში, ხავი ნავარო, ესკუდე, კასტედო, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარესკა, პუერტა, ლუიშ ფაბიანო, კანუტი.

**მსაჯი:** ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია).

### ჯარიმა მანჩესტერსა და რომას

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა "რომასა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" ჯარიმები გამოუწერა. იტალიელები 75 ათას შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდიან, ინგლისელები - 35 ათასით შეითხელებენ ჯიბეს. მიზეზი ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალისას მომხდარი ინციდენტებია. უეფამ დაასკვნა, რომ რომაული მატჩისას ორივე გუნდის ქომაგები ისროდნენ პეტარდებს, ხოლო მანჩესტერული მატჩის წინ "ოლდ ტრეფორდის" მისადგომებთან ფანებს შორის მცირე შეტაკებები მოხდა. საინტერესოა, რომ უეფას განცხადებაში ნახსენებიც კი არ არის შეტაკება მანჩესტერელ გულშემატკივრებსა და რომაელ პოლიციელებს შორის "სტადიო ოლიმპიკოზე". "მენიუს" ხელმძღვანელობამ იტალიელი სამართალდამცველები გადამეტებული ძალის გამოყენებასა და ინგლისელი ფანების მიტყეპვაში დაადანაშაულა.

### ესიენი სიმთვრალეს უარყოფს

**მიკაელ ესიენი** უარყოფს ინფორმაციას, თითქოს პოლიციამ ავტომობილის საჭესთან ნასვამი დააკავა. ტაბლოიდების მტკიცებით, ორშაბათს გამთენიისას, განელი ნახევარმცველი ერთ-ერთი ღამის კლუბიდან შეზარხოშებული გამოვიდა. მან შავი ფერის რეინჯროვერი დაძრა, თუმცა იქვე პოლიციის მარწუხებში ამოჰყო თავი. "ნიუს ოფ ზე უორლდში" ეწერა, რომ მისი სიმთვრალე ამოსასუნქთი ტესტით დაადგინეს.

პოლიციამ დაკავებულის ვინაობა, რა თქმა უნდა, არ გაამხილა. განცხადებაში მითითებული იყო, რომ 24 წლის მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს, თუმცა გირაოს გადახდისთანავე გაუშვეს შინ. სასამართლო ივლისის დასაწყისში შედგება და განაჩენსაც მაშინ გამოუტანენ. ასე რომ ივლისის დასაწყისში ზუსტად გვეცოდინება, შესცოდა თუ არა ესიენმა. დისკვალიფიკაციის გამო მიკაელს "ლივერპულთან" წუხანდელი მატჩი გაუცდა.

### ფაბრეგასი: ესპანეთში რვა წლის შემდეგ

**სესკ ფაბრეგასი** ესპანეთში დაბრუნებაზე ფიქრობს. ახალგაზრდა ნახევარმცველს "არსენალთან" უპრეცედენტოდ ხანგრძლივი, რვაწლიანი კონტრაქტი აკავშირებს: *"როცა შეთანხმება ამოიწურება, სიამოვნებით წავალ შინ. ისე კი ჩემი მომავალი არსენ ვენგერის მომავალთანაა დაკავშირებული... რეალი? მე არავინ დამკავშირებია, მაგრამ შარშან ზაფხულს ჩემს აგენტს, შეიძლება, დაურეკეს კიდეც."* ერთ თვეში ფაბრეგასს 20 წელი შეუსრულდება.

### მილანური ტრანსფერები

"მილანი" "ლაციოს" მეკარე **მატეო სერენის** ტრანსფერზე ფიქრობს. ამ უკანასკნელმა რომაელებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა. "როსონერიში" გადასვლის შემთხვევაში მას **დიდას** დუბლიორობა ელის. სპეკულაციების მიუხედავად, ბრაზილიელი მომავალ სეზონსაც "მილანში" გაატარებს. სერენი ერთადერთი ლაციოელი არ არის, რომელმაც **კარლო ანჩელოტის** ყურადღება მიიპყრო. მას **გილერმო სტენდარდო** და **გაბი მუდინგაიც** სურს. სტენდარდო მცველია. თუ **ბილი კოსტაკურტა** და **პაოლო მალდინი** კარიერას დაასრულებენ, ის შავ-წითლებს დიახაც დასჭირდებათ. მუდინგაის კი **ჯენარო გატუზოს** დუბლიორად მოიაზრებენ.

ამასობაში, "ტორინოს" პრეზიდენტმა **ურბანო კაირომ** "მილანს" რამდენიმე ფეხბურთელის იჯარით დათმობა სთხოვა. "ბროწეულებს" **დარიო სიმიჩი, სერჟინიო** და **კრისტიან ბროკი** სურთ. მათი უმთავრესი სამიზნე ფრანგი **იოან გურკუფია**.


რობერტო მანჩინი და დეიან სტანკოვიჩი

მოსალოდნელი ტრანსფერები

## მანჩინის სამი სურვილი: ბუფონი, დე როსი, ტონი...

### იუვეს პასუხი: 40 მილიონით ბუფონის ნახევარს თუ იყიდიან...

გრძელდება საგა **ჯანლუიჯი ბუფონის** მომავალთან დაკავშირებით. წავა, თუ არ წავა? და თუ წავა, სად, "ინტერში", "მილანში" თუ უცხოეთში? მსოფლიოს ჩემპიონის თაობაზე გუშინ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გავრცელდა.

იტალიის ცინცხალი ჩემპიონი **რობერტო მანჩინი** მილანის ერთ-ერთი ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიწვიეს. სტუდენტებთან საუბარში "ინტერის" მწვრთნელმა სასურველი ფეხბურთელების გვარები გაამხილა. ვის ყიდვას სთხოვთ ამ ზაფხულს **მორატისო**, ჰკითხეს მანჩოს. მან ასე უპასუხა: *"მე კიდევ უფრო იტალიური "ინტერი" მინდა. ამიტომ პასუხი მარტივია: ბუფონი, დე როსი და ტონი."*

მანჩინის განცხადების შემდეგ, იტალიური პრესაში დაიწერა, ბუფონის შესაძენად 40 მილიონი იქნება საჭირო. ამ ინფორმაციას "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ასე გამოეხმაურა: *"ჯიჯი ბუფონი მარტო მანჩინის ოცნება არაა. გამომდინარე იქედან, რომ "იუვენტუსი" თავის მეკარეს არ ყიდის, ის 40 მილიონი ევრო, რომლის შესახებაც პრესაში ამოვიკითხე, მისი სატრანსფერო უფლებების მხოლოდ 50 პროცენტის შესაძენად თუ იქნება საკმარისი. პირობა მოგცეთ, რომ ბუფონს არ გავუშვებთ? ბუნებით ვარ ისეთი, რომ დაპირებებს არასდროს ვიძლევი."*

ბაიერნი. ინტერვიუ ოტმარ ჰიტცფელდთან

# უეფას თასი? ამას არ დავუშვებ

## გენერალმა რვა ახალი ფეხბურთელი მოითხოვა...



ბაიერნის ბოსებს საფიქრალი არ ელევათ

არის თუ არა "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელობა ყველასათვის საოცნებო და იდეალური სამსახური გერმანულ საფეხბურთო საზოგადოებაში? 1 თებერვალს, როცა რეკორდმაისტერის დამრიგებლად **ოტმარ ჰიტცფელდი** დაინიშნა, ისე ჩანდა, რომ ეს ასეა. მაგრამ გასულ შაბათს, "შტუტგარტთან" წაგების შემდეგ, ჰიტცფელდისთვის რომ შეგეხედათ, მაშინვე იტყოდით, "ბაიერნის" მწვრთნელობას მტერსაც არ ვუსურვებო. "გენერლის" სახეზე უდიდესი იმედგაცრუება და სასოწარკვეთა იყო გამოსახული. გუშინდელ ნომერში **ფრანც ბეკენბაუერის** წერილი შემოგთავაზეთ, სადაც "ბაიერნის" პრეზიდენტი ამბობს, რომ ზაფხულიდან ახალი გუნდის შენებას დაიწყებს. "კიკერთან" ინტერვიუში ჰიტცფელდი აცხადებს, რომ მიუნხენურ გიგანტს 6-7, ან 8 ახალი ფეხბურთელი სჭირდება, რითაც ბეკენბაუერს კვერს უკრავს და ეთანხმება. ოტმარი იმასაც ამბობს, ტრანსფერების შესახებ კონკრეტულად არაფერს ვიტყვიო, თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის წამსვლელთა და სავარაუდო მომსვლელთა სია უკვე ცნობილია.

**ალი ქარიმი** ან ისევ დუბაიში დაბრუნდება, ანაც "ზალცბურგს" მიაშურებს; **ჰასან სალიჰამიჯიჩი** "იუვენტუსში" გადადის; **მეჰმეთ შოლი** კარიერას ამთავრებს; **ოუენ ჰარგრივსს** "მანჩესტერში" გადასვლა უნდა და ამაში "ბაიერნის" ბოსები ხელს აღარ შეუშლიან; **როკე სანტა კრუსსაც** წასვლა აქვს გადაწყვეტილი და კალთებს არც მას დაახევენ, ცნობილია, რომ "სევილია" პარაგვაელი ფორვარდის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს იხდის; ახალ კონტრაქტს ვერ მიიღებს **კლაუდიო პისაროც**. გამოსაცდელი ვადა აქვს მიცემული **დანიელ ვან ბუიტენსაც**, თუმცა მას არ გაუშვებენ, უბრალოდ **ვალერიან ისმაელი** ამოაგდებს ძირითადი შემადგენლობიდან. მოლოდინს ვერ ამართლებს **კრისტიან ლელი** და ასე განსაჯეთ, თვით **ფილიპ ლამიც** აღარ არის შეუცვლელი ფიგურა.

სამი ახალწვეული უკვე ცნობილია: **იან შლაუდრაფი** (23 წლის, "ალემანიიდან"), **ჰამით ალთინთოფი** (24 წლის, "შალკედან") და არგენტინელი **სოსა** (23 წლის, "ინდეპენდიენტედან"). სიაში არიან **მიროსლავ კლოზე, მარსელ იანსენი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი**. **ჰიონესი** და **რუმენიგე**, ბოლოს და ბოლოს, თანახმანი არიან, ჯიბეზე გვარიანად გაიკრან ხელი. ვნახოთ, რა გამოუვათ. ჰიტცფელდი ამბობს, რომ ახალი გუნდის მშენებლობის დაწყება მისთვის დამატებითი მოტივაციაა. ახლა კი გაეცანით ოტმარის ინტერვიუს, რომელიც "კიკერმა" გამოაქვეყნა.

**- ჰერ ჰიტცფელდ, რატომ ითამაშა თქვენმა გუნდმა "შტუტგარტში" ასე საშინლად?**

- პირველ ტაიმში მართლაც საზიზღრად გამოვიყურებოდით. ბიჭები ოდნავადაც არ იყვნენ აგრესიულები, თითქოს სირბილი ეზარებოდათ. ჩემი შეგირდების მიმართ მხოლოდ ერთი პრეტენზია მაქვს: უსიცოცხლოდ ითამაშეს! მაგრამ ეს იმდენად დიდი ნაკლია, რომ ყველაფერს მოიცავს. ბოლო დროს "ბაიერნი" საკუთარ მოედანზე ყოველთვის ძალიან კარგად გამოიყურება, სამაგიეროდ, გასვლით მატჩებში ისევ უნიათოდ ვირჯებით.

**- და რა არის ამის მიზეზი?**

- პრობლემა თავშია. ამბობენ, წლევანდელი "ბაიერნი" დაწყევლილი და უბედურიაო. მე ბედის არ მჯერა. როცა გუნდი გოლს უშვებს, ფეხბურთელებმა ყურები კი არ უნდა ჩამოყარონ, გაათმაგებული ენერგიით უნდა იბრძოლონ. რა შუაშია აქ წყევლა ან ბედი? შტუტგარტში უდიდესი ზეწოლის ქვეშ ვიყავით მოქცეულები და გუნდმა ამ წნეხს ვერ გაუძლო - აი, რაშია პრობლემა. ჩვენ არ გვქონდა გამარჯვებულის მენტალიტეტი და ბიჭებს შიში ეტყობოდათ. ყველაზე მეტად სწორედ ამან შემაძრწუნა. გუნდის ლიდერებმაც კი უამრავი შეცდომები დაუშვეს და ასეთ დროს სხვა რამეზე ან ვინმეზე ლაპარაკი შეიძლება? ორი გოლი გავუშვით, თანაც რა გოლები ?! ორივე ჩვენი ბრალი იყო.

**- კიდევ გჯერათ, რომ "ბაიერნი" სამეულში მოხვდება და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს?**

- დიახ, ამის იმედი ჯერ კიდევ მაქვს. საკმაოდ რეალურია ის, რომ "შტუტგარტს" მაინც გადავასწროთ. 5 ქულა არც ისე ბევრია, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასრულებამდე მხოლოდ 4 ტურია დარჩენილი. ახლა უკვე შვაბები მოექცნენ წნეხის ქვეშ, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ მომდევნო ტურში "შტუტგარტმა" ქულები დაკარგოს - VFB მიონხენგლადბახში ჩადის და ხვდება გუნდს, რომლისთვისაც ის თამაში ლიგაში დარჩენის ბოლო შანსია. დარწმუნებული ვარ, რომ შვაბები ოთხივე შეხვედრას ვერ მოიგებენ. თანაც, აშკარაა, რომ "შტუტგარტს" სუსტ გუნდებთან უფრო უჭირს, ანუ, მაშინ, როცა იძულებულია, შეუტიოს და მოიგოს, თამაში წარმართოს, მეტოქეს ტემპი უკარნახოს. ყველაზე მთავარი კი, რა თქმა უნდა, ის გახლავთ, რომ ჩვენ აუცილებლად ოთხივე მატჩი უნდა მოვიგოთ და 12 ქულა ავიღოთ. წაბორძიკების უფლება აღარ გვაქვს.

**- ორიოდ კვირის წინათ განაცხადეთ, როცა იქნება, "შტუტგარტს" აუცილებლად გადავასწრებთო. გუმანმა გიმტყუნათ...**

- არა მგონია. ამაში მაშინაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც მჯერა, რომ ასე იქნება. რომც არ მჯეროდეს, სხვა გზა მაინც არ მაქვს. "ბაიერნის" მწვრთნელი ვერ იტყვის, სამეულში მოხვედრაზე ხელი მაქვს ჩაქნეულიო. ასეთი რამე რომ ვთქვა, ლანძღვა-გინების ობიექტი გავხდები.

**- ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სამეულში ვერმოხვედრის სიმწარეს რეალურად მხოლოდ თქვენ აღიქვამთ, ფეხბურთელებმა კი ვერა და ვერ გაიგეს, რა მოხდება, თუკი "ბაიერნი" მხოლოდ უეფას თასის საგზურს დასჯერდება. რა უნდა ქნათ?**

- მოთამაშეებმა კარგად იციან, რომ "ბაიერნი" ამბიციური გუნდია და ისიც იციან, რომ ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში ვართ. უამრავი სატრანსფერო სპეკულაციებიც დაღს გვასვამს - ზოგიერთ მოთამაშეს "ბაიერნის" დატოვება სურს. ასეთ დროს ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ გუნდი წელში გადატყდეს. მაგრამ მე ამას არ დავუშვებ!

**- ვინ წავა, ვინ მოვა?**

- ხელმძღვანელებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყდა, რომ სავარაუდო ტრანსფერების შესახებ არაფერს ვიტყვით. ფაქტია, რომ ზაფხულში მინიმუმ 6-7 ან სულაც 8 ახალი ფეხბურთელი უნდა დაგვემატოს. ეს კი, ფაქტობრივად, ნახევარი გუნდია. ხომ ხვდებით, "ბაიერნი" სერიოზული საკადრო ცვლილებებს აპირებს.

გოტფრიდ ლენცი

### მწვრთნელი

### ოტმარი ჯანმრთელობას უჩივის

ოტმარ ჰიტცფელდი ჯანმრთელობას უჩივის. 58 წლის სპეციალისტი "ბაიერნს" თებერვალში, ფელიქს მაგათის დათხოვნის შემდეგ დაუბრუნდა. ის 2004 წლის ზაფხულის შემდეგ უმუშევარი იყო. გენერალი ამბობს, რომ ასე ხანგრძლივად ფეხბურთს ავადმყოფობამ ჩამოაშორა. ჰიტცფელდი განუწყვეტლივ იკლებდა წონაში. რეკორდმაისტერში დაბრუნებას ახალი სტრესები მოჰყვა. პირველად ბოლო 11 წელიწადში "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა ემუქრება. ორ თვეში ჰერ ოტმარმა ორი კილოგრამი დაკარგა. დრო და დრო, ის მუცლის ტკივილებსაც უჩივის ხოლმე: *"წონას დიდი ყურადღება უნდა მივაქციო. ამას გარდა, უნდა გამოვნახო დრო დასვენებისათვის. როცა საქმეში ხარ ჩაფლული, ძალიან ადვილია, ტყეში ხეც კი ვერ შეამჩნიო... დაძაბული დღის შემდეგ, საღამოს რვა საათისათვის, ფეხბურთს მთლიანად ვეთიშები. ვკითხულობ ხოლმე, ან უბრალოდ არაფერს ვაკეთებ, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ "ბაიერნში" მუშაობა ენით აუწერელ სიამოვნებას მანიჭებს. შეიძლება, დრო და დრო, პრობლემა უფრო მეტი იყოს, მაგრამ ამ კლუბში ყოფნა მაინც დიდი პატივია."*



იოჰან კრუიფი მილოცვებს იღებს

იუბილე

# მფრინავ იოჰანს 60 წელი შეუსრულდა

## კრუიფს ყოველთვის უნდა, რომ მართალი იყოს და ყოველთვის მართალია...

გუშინ **იოჰან კრუიფს** 60 წელი შეუსრულდა. ლეგენდამ იუბილე შინ, ამსტერდამში აღნიშნა. კრუიფს ჰოლანდიაში არა მხოლოდ ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად მიიჩნევენ, არამედ კულტურულ ფენომენადაც თვლიან. დიდ იოჰანს მისი საკუთარი ენა გააჩნია და ამ ენას კრუიფულს უწოდებენ. ჰოლანდიური ენის სახელმძღვანელოში, რომელსაც სახელად Onze Taal (ჩვენი ენა) ჰქვია, მას რამდენიმე სტატია აქვს მიძღვნილი. ლინგვისტები **გუუს მიდაგი** და **კეეს ვან დერ ცვანი** წერენ, რომ კრუიფის მეტყველებას ისეთივე მოულოდნელი აჩქარებები, შეყოვნებები და ბრუნვები ახასიათებს, როგორიც კრუიფ-ფეხბურთელს გამოარჩევდა.

იოჰანი 1947 წლის 25 აპრილს დაიბადა. 1971, 1973 და 1974 წლებში ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (მის გარდა, ეს ტიტული სამჯერ მხოლოდ **მიშელ პლატინისა** და **მარკო ვან ბასტენს** აქვთ მოპოვებული). 2000 წელს კი - ევროპის საუკუნის ფეხბურთელად. ის არა მხოლოდ ფეხბურთის ლეგენდაა, არამედ აღიარებული მიმომხილველიც. მისი შეფასებები არავის ტოვებს გულგრილს. სტატიები ხანდახან გამოცანებს ჰგავს, რადგან ავტორის წერის მანერა ცნობიერების ნაკადს უახლოვდება. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომენტარია: *"იტალიელები ვერასოდეს მოგიგებენ, მაგრამ შენ შეიძლება წააგო მათთან."*

1970-იან წლებში კრუიფი იმ რევოლუციის სიმბოლო იყო, რომელსაც ტოტალური ფეხბურთი ერქვა. იოჰანის ჰოლანდიის ნაკრებსა და "აიაქსში" ნებისმიერი ამპლუის ფეხბურთელი ნებისმიერ დავალებას ასრულებდა. კრუიფი "აიაქსში" ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი გახდა, სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, ხოლო ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად 1974 წლის მუნდიალის ფინალში ითამაშა (ნაკრებში 48 მატჩი, 33 გოლი). 1973 წელს ის "აიაქსიდან" "ბარსელონაში" წავიდა. იოჰანს კატალონიაში "ელ სალვადორი" (მესია) შეარქვეს.

კრუიფი მითითებებს მინდორზეც ხშირად იძლეოდა. მან მწვრთნელობას პენსიაში გასვლისთანავე (1984) მოჰკიდა ხელი. მართალია, სამწვრთნელო ლიცენზიის მოსაპოვებლად საფეხურების გავლა იყო საჭირო, მაგრამ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გამონაკლისი დაუშვა და მას უმოკლეს დროში მიანიჭა მწვრთნელის სტატუსი. მან "აიაქსში" ორი სეზონი გაატარა (1986-88), "ბარსელონაში" - რვა (1988-96). "აიაქსში" 1987 წლის თასების თასი მოიპოვა, ხოლო "ბარსელონაში" 1991-94 წლებში ზედიზედ ოთხჯერ დაეუფლა ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს, 1989 წელს თასების თასი აიღო, 1992 წელს - ჩემპიონთა თასი; 1990 წელს ესპანეთის თასი დაისაკუთრა, 1992 წელს - ევროპის სუპერთასი და კიდევ სამჯერ გაიმარჯვა ესპანეთის სუპერთასის გათამაშებაში. საერთო ჯამში, 11 ტიტულით, ის კატალონიელთა ისტორიაში ყველაზე წარმატებული დამრიგებელია.

სამწვრთნელო კარიერის დასრულების შემდეგ, კრუიფმა ჰოლანდიის საზოგადოებრივ ტელევიზიაში გადაინაცვლა. უჩვეულო კომენტარებითა და საოცარი ანალიზის უნარით მისი ავტორიტეტი ღვთაებრივს გაუტოლდა.

კრუიფული ენა მაშინვე აიტაცა ჰოლანდიის სპორტულმა მედიამ. მისი ზოგიერთი გამონათქვამი ხალხურ ფრაზად გადაიქცა. იოჰანის იუბილესთან დაკავშირებით, ჰოლანდიურმა საინფორმაციო სააგენტო ANP-მ საგანგებო გამოკითხვა ჩაატარა. გულშემატკივართა უმრავლესობამ საუკეთესო ფრაზად ეს დაასახელა: *"ყველა არახელსაყრელ გარემოებას აქვს თავისი უპირატესობა"* (ინგლისურ ფრაზაში სიტყვების თამაშია: every disadvantage has its advantage). სხვა კლასიკური გამონათქვამებია: *"თუ ბურთი ჩვენ გვაქვს, ისინი ვერ გაგვიტანენ"*; ან კიდევ: *"მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ გოლს გაგიტანს მეტოქე, თუ შენ მასზე ერთით მეტს შეაგდებ."* ANP-ს გამოკითხვაში მხოლოდ 25 პროცენტმა თქვა, რომ მთლიანად ესმის კრუიფის ანალიზი. 53 პროცენტმა კი აღიარა, რომ ყოველთვის ვერ იგებს მას.

ცნობილი ჰოლანდიელი მიმომხილველების, **მიკ სხოტსისა** და **იან ლუიცენის** წიგნში, "ვინ არის იოჰან კრუიფი", ლეგენდის ყველაზე დიდი ოპონენტია მისი მეუღლე **დენი**. მან ავტორებს უთხრა, რომ რეპორტაჟებიდან დაბრუნებულ იოჰანისათვის არაერთხელ უკითხავს: *"ამიხსენი, გეთაყვა, რა გინდოდა გეთქვა ამა ამ ამ ფრაზით."* ერთხელ ჰოლანდიელთა თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა თქვა: *"იოჰანი მაგიჟებს, იმიტომ, რომ მას ყოველთვის უნდა, რომ მართალი იყოს. ორი თვის შემდეგ კი ნერვები მაწყდება, როცა ვრწმუნდები, რომ ის მართალი იყო."*

### შალკემ ჯოუნსი გაიფორმა

ბილეფელდის „არმინიის" მცველ **ჰაიკო ვესტერმანისა** და „ჰანზას" კარის დარაჯ **მათიას შობერის** შემდეგ, ბუნდესლიგის ლიდერმა „შალკემ" მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაიბევა. ეს გახლავთ ფრანკფურტის „აინტრახტის" საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯოუნსი**. 25 წლის ჯოუნსმა **ლევან კობიაშვილის** გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ის „შალკეში" უფასოდ გადავა, რადგან სეზონის ბოლოს „აინტრახტთან" კონტრაქტის ვადა ეწურება. *„ჯოუნსს ნახევარდაცვაში სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. ის ჰამით ალთინთოფის ღირსეული შემცვლელი იქნება,"* – ეს კი გელზენკირხენელთა დამრიგებლის, **მირკო სლომკას** სიტყვები გახლავთ.

### ჰერტა: ჰიონესს იმპიჩმენტს უწყობენ?

„ჰერტას" უმძიმესი კრიზისი უდგას და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ბერლინულ კლუბის ხელმძღვანელთა შტაბში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. „ბერლინერ ცაითუნგის" მტკიცებით, სამეთვალყურეო საბჭოს რამდენიმე წევრს გენერალური მენეჯერის **დიტერ ჰიონესის** გათავისუფლება სურს. როგორც ირკვევა, ჰიონესის მოწინააღმდეგეებმა იმპიჩმენტისთვის სპეციალური გეგმაც კი შეიმუშავეს. ხსენებული გამოცემა იტყობინება, რომ „ჰერტას" სპორტული დირექტორი **ნიკო კოვაჩი** გახდება, გენერალური მენეჯერი კი-გუნდის ლეგენდარული ბომბარდირი **მიხაელ პრეეტცი**.

### პორტსმუთი ახალ სტადიონზე

"პორტსმუთი" ახალი სტადიონის აშენებას აპირებს. ხელმძღვანელობამ 36-ათასიანი არენის პროექტი წარმოადგინა. კლუბის დღევანდელი სახლი, "ფრეტონ პარკი" მხოლოდ 20 ათას მაყურებელს იტევს. "პორტსმუთი" იქ 1899 წლიდან თამაშობს. **ჰარი რედნაპი** უეფას თასის საგზურს უმიზნებს. "ფრეტონი" კლუბის ამბიციებს აღარ აკმაყოფილებს. ახალი სტადიონი 2011 წლის ზაფხულში უნდა იყოს მზად. ის და სასტუმროების კომპლექსი 600 მილიონი გირვანქა დაჯდება.

ინტერვიუ რაიმონ დომენეკთან

# ზიდანმა უნდა მოინანიოს

## ფრანგების მწვრთნელი ფინალში წაგებულად თავს არ თვლის, თუმცა აღიარებს, რომ იტალია საუკეთესო იყო...

**მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ცხრა თვის შემდეგ "გაძეტა დელო სპორტმა" საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს ინტერვიუ ჩამოართვა. ინტერვიუს შესავალში იტალიელი ჟურნალისტი წერდა: "თითქმის ცხრა თვეა გასული, მაგრამ რაიმონ დომენეკს მუნდიალის ფინალის DVD ისევ არ უნახავს. ფრანგების მწვრთნელისთვის ბერლინური ღამე დღემდე ღია ჭრილობად რჩება, თუმცა ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ ჩვენი ქვეყნით აღტაცებული იყოს და არა მხოლოდ საფეხბურთო თვალსაზრისით. უცნაურია, მაგრამ ასეა".**

**- დავიდ ტრეზეგე ბრალს გდებთ, რომ უპატივცემულოდ ეპყრობით.**

- ნაკრებში კონკურენციაა და ის ფეხბურთელი ხვდება, ვინც უკეთეს ფორმაშია. ეს ავუხსენი კიდეც ტრეზეგეს იმ შეტყობინებაში, რომელიც ავტომოპასუხეზე დავუტოვე. აღარ გადმოურეკავს. სერია B-ში თამაში არ არის იგივე, რაც სერია A-ში თამაში.

**- ტრეზეგე სექტემბერშიც სერია B-ში იყო, მაგრამ მაშინ თქვენთვის ეს პრობლემა არ ყოფილა.**

- იმიტომ, რომ სექტემბრამდე ორი თვით ადრე ყველა უმაღლეს დონეზე გამოდიოდა. სიტუაცია იცვლება ხოლმე. თებერვალში არგენტინასთან ამხანაგური შეხვედრისთვის გამოვიძახე. მისთვის ეს მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ლიტვასთან თამაშისთვის საუკეთესო ფორმაში მყოფი ფეხბურთელები მჭირდებოდა. არ მინდოდა, რომ მისთვის კიდევ ერთხელ ესტკინათ.

**- მის ნაცვლად ჯიბრილ სისე გამოიძახეთ, რომელიც ფორმის პიკზე არ არის.**

- სისე მსოფლიო ჩემპიონატზე მძიმე ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა. ცოტა სენტიმენტალური ადამიანი ვარ და დახმარების ხელი გავუწოდე, ისე, როგორც ტრეზეგეს შემთხვევაში გავაკეთე არგენტინასთან. არ დამვიწყებია მისი ცრემლები ფინალის შემდეგ. ნაკრების კარი მისთვის ღიაა.

**- დეშამი ამბობს, რომ ტელეფონზე უფრო ხშირად დონადონის ესაუბრება, ვიდრე თქვენ.**

- უფრო მეტი იტალიელი ჰყავს გუნდში, ვიდრე ფრანგი. "იუვენტუსთან" არანაირი პრობლემა არ მაქვს. თუ გნებავთ, კაპელოს ჰკითხეთ. გასულ წელს "იუვეს" დირექტორებთან ერთად ვისადილე და სწორედ ტრეზეგეს გამოძახებასთან დაკავშირებით შევუთანხმდი.

**- როგორ გაგონდებათ ბერლინის ღამე ცხრა თვის შემდეგ?**

- ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო. ჭრილობა ისევ ღიაა. მაგრამ ახალი ფურცლიდან დავიწყე.

**- რა გრძნობა გქონდათ, როცა ზიდანი გააძევეს?**

- შეხვედრაში ნამდვილი გარდატეხა ვიეირას მოედნიდან გასვლა იყო.

**- რატომ?**

- დიარამ კარგად ითამაშა, მაგრამ ვიეირას შეეძლო, მეორე ტაიმში გადამწყვეტი როლი ეთამაშა. ის დიდებულ ფორმაში იყო და ბრწყინვალე მუნდიალს ატარებდა. სხვა მხრივ კი, გული დამწყდა იტალელების გამო, ცოტათი შემეცოდნენ.

**- რა გაგებით?**

- იმ გაგებით, რომ მარტო ზიდანსა და მატერაციზე ლაპარაკობდნენ, ისე, რომ არავის გახსენებია მათი დამსახურების აღიარება.

**- "მანჩესტერ იუნაიტედსა" და ევროპის ვარსკვლავებს შორის საქველმოქმედო შეხვედრაში მონაწილეობაზე ზიდანმა უარი იმის გამო თქვა, რომ მატერაციც იყო მიწვეული. ქედმაღლური ჟესტი ხომ არ იყო ზიდანის მხრიდან?**

- მატერაცი ვარსკვლავებს შორის? და კანავარო? დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუკი ზიდანს მატერაცის დანახვა არ უნდა. უკეთესი იქნებოდა, თუკი მართლა მოინანიებდა იმ საქციელს, რომელსაც ნამდვილად არ ვამართლებ, მაგრამ რაღაც კუთხით, შემიძლია, გავიგო. დროა საჭირო. რას იზამ, ასეთია ზიდანი.

**- შეგიძლიათ, თქვათ, რომ იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო?**

- ვიტყოდი, რომ ერთმა გუნდმა მოიგო, მეორეს კი არ წაუგია. ასეა თუ ისე, იმარჯვებს საუკეთესო.

**- ამ "არწაგების" მიუხედავად, თქვენ ისევ ნაკრების მწვრთნელი ხართ. გადარჩით?**

- რაც მწვრთნელობა დავიწყე, თავს ყოველთვის გადარჩენილად ვთვლი. ყოველი შეხვედრა უკანასკნელი შეიძლება იყოს. მიზანიც ისაა, რომ მომდევნო ითამაშო.

**- მართალია, რომ ფეხბურთელებს ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ირჩევთ?**

- ზოდიაქოს ნიშნები გეხმარება, ფეხბურთელების ხასიათები რომ გაიგო. მე ასტროლოგიას ვსწავლობდი, მაგრამ იმ ფეხბურთელებს ვირჩევ, ვინც კარგ ფორმაშია და ნაკრებს გამოადგება.

**- თქვენ თეატრი გიყვართ და მას ფეხბურთს ადარებთ.**

- მწვრთნელი იგივე რეჟისორია, პიესაზე მუშაობს, როლებს ანაწილებს და სანამ დაიწყებს, მღელვარებისგან გული უფანცქალებს. ასეთი განცდა თეატრში უფრო ძლიერია, ვიდრე მოედანზე.



რაიმონ დომენეკი

**- 1994 წელს, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობისას, თეატრში ზიდანი, ტურამი და მაკელელეც წაიყვანეთ.**

- ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი მხოლოდ თავის პროფესიაში არ იყოს ჩაკეტილი.

**- წინასამუნდიალო შეკრებისას კი თქვენი ფეხბურთელები აიძულეთ, რომ მთაზე ამძვრალიყვნენ. ამას რაიმე სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა?**

- დიახ, ეს სიმბოლურად გამოხატავდა მსოფლიოს მწვერვალის დაპყრობას. მეტსაც გეტყვით: როცა იტალიაში "მოჯოპოლის" სკანდალმა იფეთქა, გამომძიებლები დავწყევლე. ვიცოდი, რომ იტალიელ ფეხბურთელებში ეს ისეთ ერთსულოვნებას შეიტანდა, რომელსაც ვერაფერი დაშლიდა და მოერეოდა.

**- თავიდან ეს დიდი სკანდალი გვეგონა, მაგრამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საბოლოოდ რაღაც პატარა, ნახევრად სკანდალი გამოვიდა.**

- ამის განსჯა ჩემი საქმე არაა, მაგრამ ძალიან მძიმედ მეჩვენება ის, რომ რომში ტრიბუნებზე ხშირად ფაშისტურ ჟესტებს ვხედავ. ძალადობის წინააღმდეგ კანონმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს.

**- თუმცა, საფრანგეთში, "პარი სენ ჟერმენის" გულშემატკივრის სიკვდილის შემდეგ, ფეხბურთის თამაში არ შეწყვეტილა.**

- აზრი არა აქვს ყველას დასჯას, როცა პრობლემა მხოლოდ ერთ კლუბშია.

**- დღეს თუ წახვიდოდით დასასვენებლად იტალიაში?**

- რა თქმა უნდა, რომში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მიყვარს თქვენი ქვეყანა, იქაური მენტალობა, ტემპერამენტი, გარემო, ემოციურობა, პოლიტიკა. ის, რაც თქვენთან ხდება, წინ უსწრებს ევროპულ ტენდენციებს.

**- მაგალითად?**

- მაგალითად, ბერლუსკონიზმი ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატებში, რომლებიც მთელი მედიასივრცის დაკავებას ცდილობენ, მიუხედავად იმისა, რომ არც სარკოზი და არც ქალბატონი როიალი (პრეზიდენტობის ორი მთავარი პრეტენდენტი) საკუთარ ტელევიზებს არ ფლობენ.

**- თქვენი მეუღლე სპორტული ჟურნალისტია. ინტერესთა კონფლიქტი ხომ არ არის?**

- პროფესიულ საქმიანობაში არასოდეს დავხმარებივარ. სახლში სხვა თემებზე ვსაუბრობთ.

**- როგორ აფასებთ ტურამის პოლიტიკურ აქტიურობას?**

- არჩევანში თავისუფალია. მწვრთნელის პოზიციიდან შეფასებას არ გავაკეთებ. თუმცა ვისურვებდი, რომ ცარიელი ბიულეტენებიც ითვლებოდეს. ამ შემთხვევაში ლე პენს ხმების 18 პროცენტი არ ექნებოდა. მე ემიგრაციის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მხოლოდ ფეხბურთში.

**- სამირ ნასრი, "მარსელის" 19 წლის ტალანტი, "ინტერს" ძალიან მოსწონს. რა რჩევას მისცემდით ამ ახალგაზრდას (30 მარტს ავსტრიასთან ამხანაგურში დებიუტი ჰქონდა)?**

- ვურჩევდი, რომ დარჩეს იქ, სადაც არის, ორი-სამი წლით მაინც. ნასრი კიდევ უნდა გაიზარდოს, თორემ შეიძლება, კარიერის ბოლომდე იმედისმომცემ ფეხბურთელად დარჩეს.

**- თუმცა ფრანგულ საკლუბო ფეხბურთი კრიზისშია.**

- პირიქით. "რომამ" სპეციალური გეგმა მოამზადა ლიონური შეხვედრისთვის, რაც იმის ნიშანია, რომ უკვე ანგარიშგასაწევ ძალად გვიყურებთ. ფეხბურთელი რომ ვიყო, თქვენს ჩემპიონატში თამაშზე ვიოცნებებდი. იტალიური ფეხბურთი ჩემთვის ეტალონია. თუმცა, ბერლინის ფინალში ლიპიმ ტაქტიკური სქემა (4-4-1-1) ჩემგან გადაიღო.

**- შემდეგი რანდევუ 2008 წლის 29 ივნისს ევროპის ჩემპიონატის ფინალში შედგება?**

- გერმანიას ვამჯობინებდი, იტალიასთან გარკვეული პრობლემები მაქვს. მაგრამ რა დროს რანდევუზე ლაპარაკია, როცა ჯერ ქვეჯგუფიდანაც არ გავსულვართ. ძალიან რთულ ჯგუფში ვართ. ფრთხილად უკრაინასთან!

**გოგა ახალაძე**

ვარსკვლავი

# ალან ბოლი აღარ არის

## ინგლისელთა ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი საკუთარ ბაღში გარდაცვლილი იპოვეს...

ოთხშაბათს ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **ალან ბოლი** გარდაიცვალა. მისი ცხედარი საკუთარ ბაღში იპოვეს. ბოლი ეზოში გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა, რა დროსაც ინფარქტმა იმსხვერპლა. მისტერ ალანი 61 წლისა იყო.

ის ყველაზე ახალგაზრდა გახლდათ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონ გუნდში. 21 წლის ბოლმა გერმანიასთან ფინალური მატჩი (4:2) ძირითადში ჩაატარა (სულ ნაკრებში 72 მატჩი). იმავე წლის აგვისტოში, ბრიტანეთისათვის სარეკორდო, 110 ათას გირვანქად "ბლექპულიდან" "ევერტონში" გადავიდა. ნახევარდაცვაში ბოლის, **ჰოვარდ კენდალისა** და **კოლინ ჰარვის** ლეგენდარულმა ტრიომ გუნდს 1970 წელს ინგლისის ჩემპიონატი მოაგებინა. 18 თვის შემდეგ ბოლი "არსენალს" ორმაგ ფასში მიყიდეს, მაგრამ მისი აბარგება ფანებისათვის შოკისმომგვრელი იყო: ლივერპულური კლუბი ფეხბურთელს 1 მილიონ გირვანქად აფასებდა და ხელშეუხებელ ვარსკვლავად თვლიდა.

1973 წელს, პოლონეთთან მუნდიალის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩში ბოლს წითელი ბარათი აუფრიალეს. ის მეორე ინგლისელი ფეხბურთელი გახდა, რომელიც ნაკრების ოფიციალურ მატჩში გააძევეს. მისტერ ალანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თეთრი ფერის ბუცები მოიზომა. თეთრი სპორტული ფეხსაცმელი მისი სავიზიტო ბარათი გახდა.

ბოლმა "არსენალში" ხუთი სეზონი გაატარა. შემდეგ "საუთჰემპტონში" გადავიდა. რამდენიმე წელი ჩრდილოამერიკის საფეხბურთო ლიგაში ითამაშა ("ფილადელფია ფიუორისა" და "ვანკუვერ ვაითქეფში") და საბოლოოდ კარიერას 1983 წელს, "ბრისტოლში" დაუსვა წერტილი (22-წლიან კარიერაში 180 გოლი შეაგდო). მან სამწვრთნელო ასპარეზზეც მოსინჯა ძალა. სხვადასხვა დროს ბოლი "პორტსმუთს" (ორჯერ), "მანჩესტერ სიტის", "საუთჰემპტონს", "ბლექპულს", "სტოკ სიტისა" და "ექსეტერს" წვრთნიდა. **გიორგი ქინქლაძის** "სიტიში" ტრანსფერის ინიციატორიც ის იყო. 2000 წელს ალან ბოლს ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ბრიტანეთის იმპერიის მედალი უბოძეს. ის მეორე წევრია 1966 წლის ჩემპიონთა გუნდიდან, რომელიც გარდაიცვალა. 1993 წელს სიმსივნით დაიღუპა კაპიტანი **ბობი მური**.

1 ივნისს, როცა "უემბლიზე" ინგლისი ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, მასპინძლები შავ სამკლაურებს გაიკეთებენ. წუთიერი დუმილით დაიწყება "სკანთორპთან" "ბლექპულის" შაბათის მატჩი, აგრეთვე "ევერტონი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" შაბათის შეხვედრა. "ივუდ პარკზე" ბრიტანეთის სახელმწიფო დროშასაც სანახევროდ დაუშვებენ.



ალან ბოლი

ტრანსფერი

# გარსიამ ვალენსია ატლეტიკოზე გაცვალა

## ღამურებმა ტრეზეგე მოიკითხეს...

**რაულ გარსიამ** "ვალენსია" სასტიკად მოატყუა. მესტალიელები და "ოსასუნის" ფეხბურთელი სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ის **კიკე სანჩეს ფლორესის** გუნდში გადავიდოდა. "ღამურები" დარწმუნებულები იყვნენ, რომ კონტრაქტს დათქმულ დღეს გააფორმებდნენ, მაგრამ როგორც გითხარით, რაულ გარსიამ ისინი მოატყუა. ოსასუნელმა ბოლო მომენტში "ატლეტიკოში" გადაბარგება ამჯობინა.

**ხუან ბაუტისტა სოლერი** ძალიან კი განაწყენდა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია და ალტერნატიულ ვარიანტებზე მუშაობას შეუდგა. კლუბის პრეზიდენტმა **ამადეო კარბონის** "აიაქსთან" **ვესლი სნეიდერის** თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება დაავალა. გენერალური დირექტორი სენიორ სოლერის სიტყვებს უყურადღებოდ, რა თქმა უნდა, არ დატოვებს. იტალიელი უახლოეს დღეებში ჰოლანდიას გაემგზავრება. კულუარული ინფორმაციით, ვალენსიელები ტრასფერის გასაჩარხად 15 მილიონ ევროს ამზადებენ. კიკე ფლორესი ბედნიერი დარჩება, თუ დირექტორატი ჰოლანდიელი ნახევარმცველის გადაბირებას შეძლებს. წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ბაუტისტა სოლერს სიფრთხილე შეემატა. პრეზიდენტი სნეიდერის გარდა, **დიდიე ზოკორას** შეძენის შესაძლებლობასაც განიხილავს. აღსანიშნავია, რომ "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ამ ინიციატივას მტკივნეულად არ გამოხმაურებია. ლონდონური კლუბი კამერუნელს სიამოვნებით დათმობს, თუ სასურველ თანხას გადაუხდიან.

"ვალენსია" ნახევარდაცვის გარდა, თავდასხმის გაძლიერებაზეც ფიქრობს. ბევრისთვის ეს გადაწყვეტილება გაუგებარია, რადგან **დავიდ ვილია** და **ფერნანდო მორიენტესი** დაკისრებულ მოვალეობებს ჩინებულად უმკლავდებიან. მიუხედავად ამისა, **ამადეო კარბონის დავიდ ტრეზეგეს** შეძენის იდეა აეკვიატა. მან პრეზიდენტისგან თანხმობა მიიღო. სხვათა შორის, დირექტორატის სხვა წევრებს უფრო მიზანშეწონილად ხულიო კრუსის ყიდვა მიაჩნიათ, მაგრამ კარბონიმ სოლერი დაარწმუნა, რომ "ვალენსიის" ტრადიციებს ფრანგი ფორვარდი უფრო შეესაბამება. "იუვენტუსის" მესვეურებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.




დავიდ ტრეზეგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუმო



კოკაი მაისის ბაშოსთვის ემზადება

კლასიფიკაცია

# კოკაი მეორე მაეგაშირაა

გუშინ ტოკიოში გამოქვეყნდა პროფესიონალ სუმოისტთა ახალი რეიტინგ-ლისტი, რომლის მიხედვითაც ქართველი ფალავანი **ლევან ცაგურია (კოკაი)** ხუთი საფეხურით დაწინაურდა, მაისის სუპერტურნირზე (ნაცუ ბაშო) კოკაი აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირას რანგში იჭიდავებს. მარტის ბაშოზე ქართველმა პირადი რეკორდი გაიმეორა, 10 ორთაბრძოლა მოიგო და თუ იმავეს გაიმეორებს, კომუსუბის ტიტულსაც დაიბრუნებს, რომელიც ნოემბერში დაკარგა. კოკაი ტრადიციულად ბანძუკეს წინ აწონეს, ქართველი 153 კილოს იწონის. კოკაის პროფესიონალურ კარიერაში 248 მოგება და 189 მარცხი აქვს. ელიტაში მისი მოგება-წაგებათა ბალანსი თითქმის თანაბარია 151-149.

დიდი ჩემპიონი, იოკოძუნა კვლავ ერთია - მონღოლი **ასაშორიუ**, თუმცა მაისის ტურნირის შემდეგ მას შეიძლება შეუერთდეს თანამემამულე **ჰაკუჰო**. ოძეკთა რიცხვი და შემადგენლობა უცვლელია, თუმცა ჩიოტაიკაის დაქვეითება ელის, თუ კვლავ უარყოფითი ბალანსით დაასრულებს ბაშოს, ტოჩიაძუმას ასპარეზობა კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. სეკივაკეს ტიტული მიიღო მონღოლმა **ამამ**, ხოლო **ტოიონოშიმა** კომუსუბი გახდა. ელიტაში ორი დებიუტანტია, **სატოიამა** და **რიუო**. ძურიოს დივიზიონში გავარდნენ ოსი **ჰაკუროძანი** და ესტონელი **ბარუტო**.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში კვლავ ორი ქართველი იასპარეზებს. **ლევან გორგაძე** წარმატებულად გამოდის, ამიტომაც მან 41-ე საფეხურიდან 28-ზე აინაცვლა. **თეიმურაზ ჯუღელმა** კი უარყოფითი ბალანსით დაასრულა წინა ბაშო, ასე რომ, ის 35-ე საფეხურიდან 46-ეზე დაეშვა. ნაცუ ბაშო 13-27 მაისს ტოკიოს "რიოგოკუ კოკუგიკანი" (13 ათასი მაყურებელი) უმასპინძლებს.

### აპრილის ბანძუკე

(რეიტინგ-ლისტი მაისის სუპერტურნირისთვის)

| აღმ. | | დას. |
|---|---|---|
| ასაშორიუ | იოკოძუნა | - |
| ჰაკუჰო | ოძეკი | კოტოოშუ |
| კაიო | ოძეკი | ტოჩიაძუმა |
| - | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| კოტომიცუკი | სეკივაკე | ამა |
| ტოიონოშიმა | კომუსუბი | კოტოშოგიკუ |
| ჰომაშო | მაეგაშირა 1 | ტოკიტენკუ |
| კოკაი | მ 2 | ტამანოშიმა |
| კაკიძოე | მ 3 | კისენოსატო |
| ამინიშიკი | მ 4 | ტოჩიოძანი |
| ტაკეკაძე | მ 5 | კაკურიუ |
| ტოკიცუმი | მ 6 | კასუგაო |
| ტაკამისაკარი | მ 7 | ვაკანოსატო |
| კიოკუტენჰო | მ 8 | ასასეკირიუ |
| როჰო | მ 9 | მიაბიამა |
| დეჯიმა | მ 10 | შიმოტორი |
| ოცუკასა | მ 11 | ტოჩინონადა |
| ტამაკასუგა | მ 12 | სატოიამა |
| ფუტენო | მ 13 | ტოჩინოჰანა |
| რიუო | მ 14 | ჰოჩიამა |
| უშიომარუ | მ 15 | ივაკიამა |
| ჰოკუტორიკი | მ 16 | კასუგანიშიკი |

## ჩოგბურთი

### მოგებული ნაგო

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (146) პირველივე წრეში დაასრულა ფრანგულ ქალაქ კან-სურ-მერში ასპარეზობა. ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათასი დოლარია, ჩახნაშვილი მე-7 ნომრად განთესილ უკრაინელ **იულიანა ფედაკს** (122) ხვდებოდა. ქართველი უკრაინელს აქამდე სამჯერ შეხვედრია და სამჯერვე დამარცხებულა (მათ შორის, ბათუმის ტურნირზე), მაკამ ვერც ამჯერად მოახერხა ფედაკთან გამკლავება, თუმცა დიდი ბრძოლა კი გაუმართა - 4:6, 6:1, 6:7. გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი ჩახნაშვილმა 6:8 წააგო. მატჩმა სულ საათსა და რვა წუთს გასტანა, ტაი-ბრეიკში მაკამ მატჩ-პოინტი გაანიავა. ჩახნაშვილი და ფედაკი კან-სურ-მერში კიდევ ერთხელ უნდა შეხვედრილიყვნენ, წყვილთა თანრიგის პირველ წრეში - მაკა ბელარუს **ირინა კურიანოვიჩთან** ერთად ბელარუს **იაკიმოვასა** და ფედაკის წყვილს უნდა შეხვედროდა, რომელიც ტურნირში პირველ ნომრად იყო განთესილი, თუმცა იაკიმოვა და ფედაკი არ გამოცხადდნენ და მაკა და ირინა მეოთხედფინალში უბრძოლველად გავიდნენ.



მაკა ჩახნაშვილი

### წარმატება ჯორჯიაში

წარმატებით გამოდიან ქართველი ჩოგბურთელები ჯორჯიის შტატის ქალაქ სი აილენდში საერთაშორისო ტურნირზე (50 ათასი დოლარი), სამი ჩვენებურიდან მხოლოდ **სოფიო მელიქიშვილმა** ვერ გააღწია ძირითად ბადეში. მისია წარმატებით შეასრულეს **ანა ტატიშვილმა** (392) და **სალომე დევიძემ** (539). საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრეში ანა ტატიშვილი პირველ ნომრად განთესილ ავსტრიელ **ტინა შიხტლს** (281) შეხვდა და იოლად გაუსწორდა - 6:3, 6:2. ანამ ძირითად ბადეში ადგილი ბულგარელი ვეტერანი **სვეტლანა კრივენჩევას** (616) დამარცხებით დაიბევა - 6:2, 6:3. სალომე დევიძემ მეორე წრეში სოლვბენიელ **პეტრა რამპრეს** (580) მოუგო - 6:1, 2:6, 6:1, შემდეგ კი მან ამერიკელ **ლინდსეი ლიუოტერსს** (479) აჯობა - 6:2, 6:2. ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ანა ტატიშვილი მე-8 ნომრად განთესილ **სანდრა ზაჰლავოვას** (140) ხვდება, ხოლო სალომე დევიძე - მე-2 ნომრად განთესილ რუმინელ **ედინა გალოვიცს** (105).

### საქართველო ორმოცდამეოთხეა

გამოქვეყნდა ფედერაციის თასის ახალი რეიტინგ-ლისტი, რომელშიც საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს. **ლალი ზერეკიძის** გუნდმა ახალახან მავრიკის კუნძულებზე ბრწყინვალედ იასპარეზა ფედერაციის თასის ზონალურ ტურნირში და საგაისოდ ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზური მოიპოვა. ჩვენებს 942,50 სარეიტინგო ქულა აქვთ და კლასიფიკაციაში 44-ე პოზიციაზე არიან. ამ ტურნირამდე საქართველოს ნაკრები 52-ე იყო, ასე რომ, ჩვენებმა რვა საფეხურით წაიწიეს წინ. საქართველოს ნაკრები ერთი ადგილით ჩამორჩება პორტუგალიას, რომელმაც ჩვენს გუნდთან ერთად მოიპოვა ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზური.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძე და სხვები...

21-28 ივლისს ბელგრადში გაიმართება ევროპის ახალგაზრდობის IX ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც საქართველოს გუნდი მერვედ გამოვა. ჩვენები სპორტის 8 სახეობაში მიიწვიეს, თუმცა მხოლოდ შვიდში გამოვლენ - კალათბურთელთა ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამ ასაკში საკმაოდ კარგი ნაკრებიც გვყავს, რომელმაც შარშან თანატოლთა ევროპირველობის A ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ისინი ახლაც ტურნირის ფავორიტები იქნებოდნენ, მაგრამ იმ პერიოდში მათ სწორედ A ჯგუფის თამაშები ელით, ამიტომ სათადარიგო გუნდის წაყვანას არჩიეს, საერთოდ არ გამოსულიყვნენ.

ფესტივალის პროგრამაში კვლავაც სპორტის 10 სახეობაა, მაგრამ ჩვენები 6-ში გამოვლენ - ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, მძლეოსნობა, ველოსპორტი და მხატვრული ტანვარჯიში. ფესტივალის ორგანიზატორმა - ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა გაერთიანებამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და საფეხბურთო ტურნირში არ მიგვიწვია. შეგახსენებთ, რომ 2005 წელს იტალიურ ლინიანოში ჩატარებულ ანალოგიურ ფესტივალზე ჩვენმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს. რატომღაც, ორგანიზატორები წინა ჩემპიონობის შემდეგაც ასე მოგვექცნენ, როცა 1997 წელს ლისაბონის ფესტივალზე გამარჯვებული ჩვენი ფეხბურთელები მომდევნო თამაშებში არ მიიწვიეს.

წინასწარი მონაცემებით და ჩვენთვის მოცემული კვოტებით, საქართველოს დელეგაცია ამ ფესტივალის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება. თან, ამ კვოტებში გოგოების წილი ამთავითვეა განსაზღვრული. ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში 2-2 მონაწილე გვეყოლება - თითო-თითო გოგო და ბიჭი. ძიუდოისტთა ტურნირში ბიჭების სრული - 8-კაციანი გუნდი გამოვა, გოგოებზე კი კვოტაა მოცემული, თუმცა შესაძლოა, ჩვენებმა იგი ბოლომდე ვერ აითვისონ. მძლეოსანთა ტურნირში სულ შვიდი მონაწილეა მიწვეული - 4 ბიჭი და 3 გოგო. 2 სპორტსმენით წარვდგებით ველოსპორტში (ცხადია, ბიჭებით), ერთით - მხატვრულ ტანვარჯიშში.

კონკრეტული გუნდების შემადგენლობა ცოტა მოგვიანებით გაირკვევა, თუმცა ახლავეა ცნობილი, ჩოგბურთელ გოგონათა ტურნირში ითამაშებს **ეკა გორგოძე**, რომელიც 16-წლამდელ გოგონათა შორის ევროპაში საუკეთესოა. ცხადია, მისგან მხოლოდ ჩემპიონობას ელიან.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირები

# ჩვენები ლიდერობენ

21 აპრილს არაბთა ემირატების ქალაქ დუბაიში დაიწყო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც დუბაის შეიხი **რაშიდ ბინ ჰამდინ ალ მაქთუმი** მფარველობს. ეს შეჯიბრება მეცხრედ იმართება და მასში ტრადიციულად მრავლად მონაწილეობენ ქართველი მოჭადრაკეები. ამჯერად ექვსმა ჩვენებურმა ისურვა ახლო აღმოსავლეთში წასვლა: **ლევან ფანცულაიამ, მიხეილ მჭედლიშვილმა, თამაზ გელაშვილმა, ზურაბ სტურუამ, მაია ჩიბურდანიძემ და ნინო გურიელმა.**

საყურადღებოა, რომ ტურნირზე მაია ჩიბურდანიძეს ვხედავთ. როგორც ვიცით, მაია წლის განმავლობაში ერთ, მაქსიმუმ ორ ტურნირში თამაშობს და ისიც უმეტესად წრიულ ტურნირებში, სადაც პერსონალურად არის ხოლმე მიწვეული. სასიამოვნოა, რომ ამჯერად "უბრალო" ტურნირზე გაემგზავრა, რაც მის გააქტიურებას უნდა ნიშნავდეს უთუოდ.

დუბაის ღია ჩემპიონატზე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა. საბედნიეროდ, ქართველ მოჭადრაკეთა დღევანდელი ძალა და რეიტინგი ისეთია, რომ უმრავლეს ტურნირებზე ლიდერთა შორის არიან. აქ პირველი ნომერი გაამერიკელებული ესტონელი **იან ელვესტია** - 2643; მეორეა ყაზახი დიდოსტატი **დარმენ სადვაკასოვი** - 2618; **ლევან ფანცულაია** მესამეა - 2616; **მიხეილ მჭედლიშვილი** მეოთხე - 2609; მეხუთეა **თამაზ გელაშვილი** - 2605. **ზურაბ სტურუას** დღეისთვის მაღალი რეიტინგ-მაჩვენებელი არ აქვს - 2513, ამიტომ მისი განთესვის ნომერი მეჩვიდმეტეა. ქალთათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად - 2510 - ჩიბურდანიძეს მეთვრამეტე განთესვა ერგო; ნინო გურიელს კი - 46-ე - მისი რეიტინგი დღეს 2339 ქულას უდრის.

ტურნირზე საპრიზო ფონდი 45 000 დოლარს უდრის, საიდანაც გამარჯვებულს 5 000 ერგება. გათვალისწინებულია პრიზები ქალთა შორის საუკეთესო შედეგისთვის. ამ ნომინაციაში ქართველ ქალბატონებს ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავს: ინდოელი **კონერუ ჰამპი**, რომლის რეიტინგი ძალიან მაღალია - 2575; ყატარის სახელით მოასპარეზე ჩინელ **ჭუ ჩენს** კი 2531 ქულა აქვს და დუბაიში მეორეა ქალთა შორის. სხვა ქალბატონებიც დიდ ძალას წარმოადგენენ: 16 წლის ინდოელი ჰარიკა დრინავალის მაჩვენებელი 2476-ია, იაშე კარავადესი კი - 2343. სულ 15 ქალბატონია ტურნირზე, რომელთაგან პრიზებისთვის 7-8 თუ იბრძოლებს.

დღეისთვის სამი ტურია ჩატარებული და ქართველებს საწუწუნო არაფერი აქვთ: სამ-სამი ქულით თამაზ გელაშვილი და ლევან ფანცულაია ლიდერობენ; მიხეილ მჭედლიშვილსა და ზურაბ სტურუას - 2.5. სამი ქულა კიდევ მხოლოდ ერთ მონაწილეს აქვს - ჯერაც უტიტულო ირანელ **ჯავად ალავის** (2485). ჩიბურდანიძესა და გურიელს ორი ქულა აქვთ. მაიამ ერთი პარტია მოიგო და ორშიც ყაიმით ითამაშა, გურიელმა კი ორჯერ იმარჯვა და ერთხელ მარცხი იწვნია. ქალბატონებში საუკეთესო შედეგი კონერუს და ირანელი **შირან ნავაბას** (2070) აქვთ - 2. მეოთხე ტურში პირველ დაფაზე ქართული დერბია: თამაზ გელაშვილი ლევან ფანცულაიას ხვდება;

ტურნირი შვეიცარული სისტემით, ცხრა ტურად იმართება. ბოლოს შეგახსენებთ, რომ 2003 წელს დუბაის ტურნირის გამარჯვებული **ბაადურ ჯობავა** გახდა.

**ზვიად შათირიშვილი**

### გაგუნაშვილი ესპანეთში

დღეისთვის ნომერ მეოთხე ქართველი მოჭადრაკე **მერაბ გაგუნაშვილი** ესპანეთში, ვილა დე ბენიდოსის ფესტივალში იღებს მონაწილეობას. ქართველი ტურნირის მთავარი ფავორიტია - მისი რეიტინგი (2625) სხვებისას გვარიანად სჯობს - მეორე და მესამე ადგილოსნები - ესპანელ **მანუელ ლოპეს მარტინესს** და სერბ **ალექს სტოიკოვიჩს** 2563 ქულა აქვთ. თუმცა, რეიტინგით პირველობა პირველობის გარანტია არ არის და მართალია სამი ტურის შემდეგ გაგუნაშვილი ლიდერთა შორისაა, მაგრამ ნახევარი ქულა მაინც დაკარგა და 2.5 ქულით მეათე - 22-ე ადგილებს იყოფს. უდანაკარგოდ, ჯერჯერობით, 9 მონაწილე თამაშობს. ეჭვი არაა, მერაბი შემდეგ ტურებში ქულათა მარაგს გაიუმჯობესებს და რეიტინგის სადარ ადგილს დაიჭერს საბოლოო ცხრილში. პირველობისთვის კი ჩიტი ბრდღვნად ღირს - გამარჯვებული 3 000 ევროს მიიღებს, რაც დუბაის ტურნირის მთავარ პრიზს ბევრით არ ჩამოუვარდება. შეჯიბრება 10 ტურად იმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

**თეიმურაზ კაკულია.** დაიბადა 26.04.1947, თბილისი. ჩოგბურთი. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (ერთეულებში - 1976), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1969, შერეულ წყვილებში მარინა ჩუვირინასთან ერთად; 1972-76, წყვილებში ალექსანდრე მეტრეველთან ერთად). სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1972, 75, 76). 11 წელი შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა ათეულში: 1966 (10 ნომერი), 1967 (5), 1968 (8), 1971 (7), 1972 (2), 1973 (2), 1974 (2), 1975 (3), 1976 (2), 1977 (2), 1978 (2). მონაწილეობა მიიღო გრანდ სლემის 16 ტურნირში (32 შეხვედრიდან 15 მოიგო). სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა დევისის თასის 15 მატჩში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. წლების განმავლობაში იყო ლეილა მესხის პირადი მწვრთნელი. გარდაიცვალა 2006 წელს.

**გიორგი კოღუაშვილი.** დაიბადა 26.04.1969, ქუთაისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (90 და 96 კგ). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1993, 94, 97-99) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1995, 96, 2002) და მეორე პრიზიორი (2000). 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ატლანტის (1996, XIII ადგილი), სიდნეის (2000, XII ადგილი) და ათენის (2004, VI ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე, მსოფლიოს თასის მფლობელი (1991) და მესამე პრიზიორი (2003). 1993 წლიდან გამოდის რუსეთის სახელით.

**ოლეგ ლიპარტელიანი.** 26.04.1953, ლენტეხი - 12.07.2003, მცხეთა. რაგბი. გარემარბი, შუამარბი. თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივსა" (1973-83) და ქუთაისის "აიაში" (1984-90). სსრკ სამგზის ჩემპიონი (1987, 88, 89), მეორე (1984) და ორგზის მესამე (1978, 85) პრიზიორი. სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1978, 87, 90), საქართველოს ჩემპიონი (1990). ბოლო წლებში იყო გუნდის კაპიტანი და მოთამაშე-მწვრთნელი. საქართველოს ნაკრების კაპიტანი პირველ მატჩში ზიმბაბვესთან (1989) და გუნდის პირველ უცხოურ ტურნეში (1990). საქართველოს ნაკრებში ითამაშა 3 მატჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

# მეხუთე წრე, ხუთი MVP და შერმადინი

**რეგულარული ჩემპიონატი კვირას დასრულდა კალათბურთელთა და 5 ტურის მონაცემების კომპიუტერში შეყვანა იოლი არ იყო, ამიტომ მიმოხილვა ერთი დღით დაგვიგვიანდა და ოთხშაბათის ნაცვლად დღეს გთავაზობთ.**

კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა მე-17 ჩემპიონატში სიახლე შემოიტანა - ტურნირს მეხუთე წრე დაამატა. მართალია, ზოგის აზრით, ეს წრე სასარგებლო იყო, გუნდებმა ფლეი ოფებისთვის გენერალური რეპეტიცია გაიარეს, მაგრამ არ შეიძლება ფლეი ოფის რეპეტიციად რეგულარულის მატჩების გამოყენება, რადგან თამაშებს პრინციპულობა და სანახაობრიობა აკლდება. სწორედ ამიტომ, მეხუთე წრეში არაერთი დუნე მატჩი ვიხილეთ. ქომაგებსაც უკვირდათ - რატომ არ იბრძვიანო. მაგალითისთვის "ავია"-თსუ-ს შეხვედრისას ერთი ასაკოვანი გულშემატკივრის ფრაზა გამოდგება: *"ავიამშენის" მწვრთნელი ხოშტარიას მოედანზე აღარ უშვებს. არადა, გუნდს სწორედ ის სჭირდება. "ავიატორებს" მოგება არ უნდათ, თუ..."*

"ავიას" შეიძლება გამარჯვება მართლაც უნდოდა, მაგრამ მწვრთნელი, **ვაჟა მხეიძე ირაკლი ხოშტარიას** ფლეი ოფისთვის ინახავდა. ასე რომ, სამომავლოდ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ, გვჭირდება თუ არა მეხუთე წრე.

გვერდით მდებარე ცხრილებში ცვლილებები კი შევა, მაგრამ მხოლოდ "მაკაბისა" და სტუ-ს მოთამაშეთა მონაგარში არაფერი შეიცვლება. ეს გუნდები ფლეი ოფში ვერ მოხვდნენ და მე-16 ჩემპიონატი უკვე დაასრულეს.

გამოდის, რომ მაკაბელი **გიორგი შერმადინის** მონაგარიც საბოლოოა: 17 მატჩში საშუალოდ 37.6 ქულა (ჯამში 639), 14.1 მოხსნა (239), 4.0 პასი (68), 1.1 ჩაჭრა (19), 2.3 დაფარება (39). თუნდაც ეს საშუალოდ 40 წუთში დაფიქსირებულიყოს, მაინც მეტისმეტად ეფექტურია და აპლოდისმენტებს იმსახურებს.

თუმცა, აქ ერთი "მაგრამ" მაინც გვჭირდება - მაგრამ გიორგიმ ასეთი ციფრები "მაკაბის" მაისურით ჩაიწერა, გუნდისა, რომელიც შერმადინის გარეშე აუტსაიდერთა შორისაც აუტსაიდერად იქცა. ვფიქრობთ, თავად გიორგისთვისაც აჯობებდა მარტში რომელიმე საფლეიოფო კლუბში გადასულიყო და ელიტაში ესინჯა ძალები. ზუსტად 4 წლის წინ, **გიორგი ცინცაძეც** ახალგაზრდულ "აკადემიაში" თამაშობდა, შუა სეზონში საჩემპიონო "ბასკოში" გადავიდა, ოქროს მედალიც დაიკიდა და 16 წლისა პირველობის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

...და რაც მთავარია, მომდევნო სეზონი მოსკოვის ცსკა-ში დაიწყო.

სავარაუდოდ, გიორგი შერმადინიც უცხოეთში გააგრძელებს კარიერას, თუმცა, ჯერ ნაოპერაციევი მუხლი აქვს მოსაშუშებელი. მან მუხლის მყესი ამერიკის ქალაქ მემფისში მსოფლიო ნაკრების ვარჯიშზე დაიზიანა.

გასულ კვირას ტური ტურს მიჰყვა, ამიტომ საუკეთესოების მკითხველისთვის ცალ-ცალკე წარდგენა ვერ მოხერხდა. მეხუთე წრის ხუთ MVP-ს დღეს მოკლედ წარმოგიდგენთ.

21-ე ტურში "აზოტმა" თსუ-ს 99:77 აჯობა და ყველაზე მარგი მოთამაშე რუსთაველი **რამაზ გოგობერიშვილი** იყო - 24 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

22-ე ტურში თსუ-მ სტუ-სთან თავი დაზოგა და ჟურნალისტთა უმეტესობამ ამ მატჩიდან ტურის MVP-ს დასახელებაზე უარი თქვა. საბოლოოდ, სხვებზე მეტი ხმა "ავიატორმა" **ირაკლი ბერიშვილმა** მიიღო - 31 წუთში 17 ქულა, 8 პასი,4 მოხსნა, 5 ჩაჭრა.

23-ე ტურში თბილისის "დინამომ" ღირსეულ ბრძოლაში სძლია თსუ-ს (88:83). გამარჯვებულთა შორის მეფარე **დავით გვიმრაძე** გამოირჩა - 27 წუთში 15 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა.

24-ე ტურს ორი MVP ჰყავდა - **ლაშა გამყრელიძე** (13 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), რომლის "აზოტმა" "ავიამშენი" დაამარცხა და **გიგი ბარბაქაძე**. გიგიმ "დინამოსთან" პრინციპულ მატჩში დაგვანახა, რომ მომავალში მისი იმედი შესაბამის ასაკობრივ ნაკრებში უნდა გვქონდეს - 25 ქულა, 4 პასი, 3 ჩაჭრა, 6 მოხსნა, 1 დაფარება.

25-ე ტურში თსუ-მ "ავიამშენთან" იყოჩაღა (108:95). რეგულარულის ბოლო MVP სტუდენტი **შიო ხეცურიანი** გახდა - 25 ქულა, 6 პასი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

| ნახევარფინალები |
|---|
| 5 მაისი, |
| რუსთავი |
| 13:00 აზოტი-დინამო |
| თბილისი |
| 16:00 თბილავიამშენი |
| 6 მაისი |
| რუსთავი |
| 13:00 აზოტი-დინამო |
| თბილისი |
| 16:00 თბილავიამშენი |
| 8 მაისი |
| თბილისი |
| 14:00 დინამო-აზოტი |
| 16:00 თსუ-თბილავიამშენი |
| 9 მაისი (თუ საჭირო გახდა) |
| თბილისი |
| 14:00 დინამო-აზოტი |
| 16:00 თსუ-თბილავიამშენი |
| 11 მაისი (თუ საჭირო გახდა) |
| რუსთავი |
| 13:00 აზოტი-დინამო |
| თბილისი |
| 16:00 თბილავიამშენი-თსუ |

| საქართველოს XVI ჩემპიონატი | |
|---|---|
| **XXI ტური** | |
| მაკაბი-სტუ | 65:83 |
| დინამო-ავიამშენი | 88:101 |
| თსუ-აზოტი | 77:99 |
| **XXII ტური** | |
| აზოტი-დინამო | 83:64 |
| თსუ-სტუ | 87:99 |
| ავიამშენი-მაკაბი | 109:69 |
| **XXIII ტური** | |
| მაკაბი-აზოტი | 66:96 |
| სტუ-ავიამშენი | 73:85 |
| დინამო-თსუ | 86:83 |
| **XXIV ტური** | |
| თსუ-მაკაბი | 113:80 |
| სტუ-დინამო | 111:107 |
| ავიამშენი-აზოტი | 82:108 |
| **XXV ტური** | |
| აზოტი-სტუ | 115:84 |
| დინამო-მაკაბი | 97:84 |
| ავიამშენი-თსუ | 95:108 |



გიორგი შერმადინი






## ქველმოქმედება

გუშინ კალათბურთის ფედერაციისა და სუპერმარკეტ "ნუცუბიძის 19-ის" ინიციატივით, საქველმოქმედო აქცია მოეწყო. მასში მონაწილე კალათბურთელები, **ზვიად ბაბიაშვილი, შიო ხეცურიანი, ლაშა გამყრელიძე** და **ნოდარ ბერაია** ავლაბარში მდებარე "მომავლის სახლს" ეწვივნენ. მათ უდედმამო ბავშვებს საჩუქრებთან ერთად 28 აპრილს დაგეგმილი ვარსკვლავთა მატჩის მოსაწვევები გადასცეს. ბოლო აკორდი კი სპორტსმენთა და ბავშვთა შორის გაჩაღებული კალათბურთი იყო.

| საუკეთესო მაჩვენებლები | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 60 | გიორგი შერმადინი | დინამო-მაკაბი | 111:113 |
| **მოხსნა** | | | |
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 86:84 |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |
| **დაფარება** | | | |
| 6 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

### ქულა

| | | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 639 | 37.6 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 24 | 528 | 22.0 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 425 | 20.2 |
| 4 | დავით გვიმრაძე | დინამო | 20 | 342 | 17.1 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 25 | 405 | 16.2 |
| 6 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 25 | 366 | 14.6 |
| 7 | შიო ხეცურიანი | თსუ | 21 | 306 | 14.6 |
| 8 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 23 | 335 | 14.6 |
| 9 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 338 | 13.5 |
| 10 | კოტე ტულუში | აზოტი | 22 | 296 | 13.5 |
| 11 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 22 | 295 | 13.4 |
| 12 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 23 | 306 | 13.3 |
| 13 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 24 | 304 | 12.7 |
| 14 | გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 11 | 139 | 12.6 |
| 15 | ლუკა შანიძე | თსუ | 25 | 315 | 12.6 |
| 16 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 24 | 292 | 12.2 |
| 17 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 21 | 253 | 12.0 |
| 18 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 23 | 274 | 11.9 |
| 19 | ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 20 | 237 | 11.9 |
| 20 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 24 | 277 | 11.5 |
| 21 | გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 25 | 286 | 11.4 |
| 22 | ირ. გულისაშვილი | დინამო | 24 | 273 | 11.4 |
| 23 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 284 | 11.4 |
| 24 | დავით მაისურაძე | სტუ | 21 | 234 | 11.1 |

### მოხსნა

| | | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 239 | 14.1 |
| 2 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 25 | 224 | 9.0 |
| 3 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 24 | 207 | 8.6 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 23 | 181 | 7.9 |
| 5 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 171 | 6.8 |
| 6 | დავით მაისურაძე | სტუ | 21 | 139 | 6.6 |
| 7 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 24 | 158 | 6.6 |
| 8 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 24 | 135 | 5.6 |
| 9 | დავით გვიმრაძე | დინამო | 20 | 107 | 5.4 |
| 10 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 19 | 98 | 5.2 |
| 11 | ირაკლი ჯგერენაია | მაკაბი | 9 | 46 | 5.1 |
| 12 | კოტე ტულუში | აზოტი | 22 | 112 | 5.1 |
| 13 | ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 21 | 103 | 4.9 |

### პასი

| | | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოიან მალოშევიჩი | აზოტი | 6 | 39 | 6.5 |
| 2 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 147 | 5.9 |
| 3 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 23 | 123 | 5.3 |
| 4 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 21 | 111 | 5.3 |
| 5 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 115 | 4.6 |
| 6 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 22 | 93 | 4.2 |
| 7 | კოტე ტულუში | აზოტი | 22 | 93 | 4.2 |
| 8 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 23 | 94 | 4.1 |
| 9 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 68 | 4.0 |
| 10 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 22 | 85 | 3.9 |
| 11 | შიო ხეცურიანი | თსუ | 21 | 80 | 3.8 |
| 12 | ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 74 | 3.5 |
| 13 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 25 | 84 | 3.4 |
| 14 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 22 | 73 | 3.3 |
| 15 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 24 | 78 | 3.3 |

### ჩაჭრა

| | | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 24 | 62 | 2.6 |
| 2 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 61 | 2.4 |
| 3 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 21 | 47 | 2.2 |
| 4 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 24 | 50 | 2.1 |
| 5 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 25 | 51 | 2.0 |
| 6 | კოტე ტულუში | აზოტი | 22 | 44 | 2.0 |
| 7 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 49 | 2.0 |
| 8 | ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 39 | 1.9 |
| 9 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 22 | 40 | 1.8 |
| 10 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 22 | 36 | 1.6 |

### დაფარება

| | | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 39 | 2.3 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 23 | 26 | 1.1 |
| 3 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 19 | 18 | 0.9 |
| 4 | დავით გვიმრაძე | დინამო | 20 | 11 | 0.6 |
| 5 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 25 | 13 | 0.5 |
| 6 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 24 | 12 | 0.5 |
| 7 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 24 | 12 | 0.5 |
| 8 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 24 | 12 | 0.5 |
| 9 | გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 11 | 5 | 0.5 |

### შეცდომა

| | | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 115 | 6.8 |
| 2 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 25 | 113 | 4.5 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 25 | 109 | 4.4 |
| 4 | ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 5 | გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 24 | 90 | 3.8 |
| 6 | ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 25 | 91 | 3.6 |
| 7 | ნოდარ ბერაია | სტუ | 21 | 75 | 3.6 |
| 8 | გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 11 | 36 | 3.3 |
| 9 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 25 | 78 | 3.1 |
| 10 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 21 | 65 | 3.1 |
| 11 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 25 | 75 | 3.0 |
| 12 | დავით მაისურაძე | სტუ | 21 | 63 | 3.0 |
| 13 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 24 | 71 | 3.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ვერიდან პეკინამდე

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა ახლახან წლის მეორე ტურნირი მოილია და ზედიზედ მეორე რეკორდი დაამყარა მოპოვებული მედლების რაოდენობით. ამან გულშემატკივარსაც და ნაკრების ხელმძღვანელობასაც გაუჩინა იმედი, რომ ყალიბდება გუნდი, რომელიც ახლო მომავალში მსოფლიო გრანდებში გაერევა. იმედი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ერთია იმედი და მეორე რეალობა. მოდით, ერთად გადავხედოთ, რამდენად რეალურია ჩვენი ოპტიმიზმი.



## ზოგადი სურათი

ორიოდე წელიწადია, რაც საქართველოს კრივის ფედერაციაში ცნობილი მოკრივის, **გიორგი კანდელაკის** პრეზიდენტობის ხანა დასრულდა. იგი ხელისუფლების წარმომადგენელმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა **პეტრე ცისკარიშვილმა** შეცვალა. როგორც წესი, ამა თუ იმ ფედერაციის სათავეში მთავრობის წარმომადგენლის მოსვლა ფინანსური კეთილდღეობის პირდაპირპროპორციულია და ამ შემთხვევაშიც იგივე სურათი ვიხილეთ. წინა წლებისგან განსხვავებით, სოლიდური და სტაბილური გახდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერთა ხელფასი, ნორმალური გასამრჯელო დაენიშნათ მწვრთნელებსაც, სრულიად მოიხსნა ეკიპირების საკითხი, მეტ-ნაკლებად მოგვარდა დარბაზების პრობლემა, უფრო მეტი ყურადღება ექცევა ასაკობრივ ნაკრებებს, გუნდები დადიან საერთაშორისო ტურნირებზე. მოკლედ, თუკი ზოგადად გადავხედავთ საერთო სურათს, აღმოვაჩენთ, რომ ქართულ კრივში ახალი, წინსვლის ეტაპი დაიწყო.

## პრობლემები

თუმცა, ასე მხოლოდ გარედან ჩანს. ვინც საქმეში უფრო ღრმადაა ჩახედული, პრობლემებსაც დაინახავს. სანაკრებო თვალსაზრისით, ამჟამად, ყველაზე დიდ პრობლემად დაბალი კონკურენცია მიგვაჩნია. ეს კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა წლის დასაწყისში გამართულ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. ზოგ წონით კატეგორიაში იმდენი მოკრივეც ვერ მოგროვდა, რომ მეოთხედფინალები ჩატარებულიყო. შესაბამისად, იყო შემთხვევები, როდესაც მოკრივეები ერთადერთი ბრძოლის მოგების, ან საერთოდ გაუმარჯვებლად ხდებოდნენ პრიზიორები. ზოგ წონაში კი ერთი მოკრივე იმდენად ჯობდა დანარჩენ კონკურენტებს, რომ სუსტები საერთოდ თავს არიდებდნენ მასთან შეხვედრას, ზოგიც პირველ-მეორე რაუნდშივე ნებდებოდა. აგერ, ახლაც, კიევის ტურნირზე 91 კილოგრამში, **იაგო კილაძემ** ნოკაუტი მიიღო, რის გამოც 6 თვე ვერ ივარჯიშებს. ნაკრების თავკაცმა სინანულით აღნიშნა, რომ ამ წონაში, კილაძის ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს და შემოდგომით, მსოფლიო ჩემპიონატზე 91 კილოგრამში ალბათ ალარავის წაიყვანს.

როგორ გინდა ასეთ ვითარებაში ღირსეული კონკურენცია გაუწიო მსოფლიო გრანდებს, რუსეთსა და კუბას, რომელთაც მინიმუმ, ორ-ორი თანაბარი სიძლიერის გუნდის გამოყვანა შეუძლიათ. მით უმეტეს, რომ მოკრივეთა სიძლიერის გარდა, მათ მსაჯების მხარდაჭერაც გარანტირებული აქვთ - ანუ თუკი მათზე ერთი თავით მაღლა არ დგახარ, თანაბარ ბრძოლაში ძალიან ბევრ სუფთა დარტყმას არ ჩაგითვლიან, ხოლო ლიდერი ქვეყნის მოკრივის თითოეულ შეხებას ქულად შეაფასებენ – ასეთ სიტუაციაში ჩვენი მოკრივეები ხშირად ჩავარდნილან.

ამიტომაც ხდება, რომ ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ძირითადად, წილისყრაზე ვართ დამოკიდებული, რათა ასეთი ქვეყნების წარმომადგენლებს ადრეულ ეტაპზე არ შევხვდეთ. და როცა 11-დან ხუთ წონაში მაინც წილისყრის აღარ შეგვეშინდება, მაშინ უკვე შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდი მსოფლიო გრანდთა რიგებშია.

საქართველოს ჩემპიონატმა არანაკლებ მწვავედ წარმოაჩინა სამსაჯო პრობლემაც. კრივის ფედერაცია ბევრს კი ეცადა, მაგრამ მსაჯებმა მაინც დაუშვეს ორი ისეთი შეცდომა, მთელი შეჯიბრების ნორმალურ მსაჯობას რომ გადაუსვა ხაზი. სწორედ ამის შემდეგ ხდება, რომ ეროვნული ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრი, ევროპის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი **კონსტანტინე კუპატაძე** სათოფეზე აღარ ეკარება ნაკრებს და კაცმა არ იცის, რას აპირებს სამომავლოდ. და როცა ზემოთ ნახსენებ კონკურენციაზე ვლაპარაკობთ, მე მგონი, არ გვაქვს იმის უფლება, რომ ასეთი დონის მოკრივეებს ვკარგავდეთ. ჩვენს მსაჯებს კი აუცილებლად სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება, რათა შინაური პირველობების ობიექტურად განსჯის გარდა, უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებზეც მაქსიმალურად ბევრი რეფერი გვყავდეს. ეს ერთ-ერთი უებრო მექანიზმია იმისათვის, რომ ქართველი მოკრივეები ნაკლებად დაიჩაგრონ უცხოელი არბიტრებისაგან.

## ბაზები

სათანადო ბაზების ნაკლებობა მხოლოდ კრივის კი არა, მთელი ქართული სპორტის პრობლემაა. ორჯერ ორივით ნათელია, რომ ამა თუ იმ სახეობაში, რაც უფრო მეტი ბაზა გაქვს და რაც უფრო მეტ რეგიონს მოიცავ, მით უფრო დიდი წარმატებები გექნება. სადღეისოდ, ჩვენი კრივის ძირითადი კერებია თბილისი, ქუთაისი, გარდაბანი, გორი და ფოთი. მეტნაკლებად ნორმალური ვითარებაა გურჯაანსა და თელავში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში კატასტროფულად თუ არა, არც ისე დალხენილად გვაქვს საქმე.

შესაძლოა, არც ჩამოთვლილი ქალაქებია ცოტა, მაგრამ თუკი კრივის მასობრიობაზე, განვითარებასა და მძაფრ კონკურენციაზეა საქმე, გაცილებით დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩასატარებელი. სხვა ქალაქებს თუ ვერ მიხედავ, მინიმუმ, სადაც განვითარებულია, იქ მაინც უნდა გქონდეს კრივის საქმე აწყობილი ფრიადზე...

ამავე კონტექსტში შეიძლება მოვიხსენიოთ ინვენტარიც. აქ მთავარი პრობლემა თანამედროვე რინგის არქონაა. ზემოთ ხსენებული საქართველოს ჩემპიონატი სულაც პროფესიული კრივის ფედერაციისგან ნათხოვარ რინგზე ჩატარდა, რომელიც ნორმალურია, მაგრამ ბოლომდე არც ის შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

## ურთიერთობები

კრივის ფედერაციის ახალმა ხელძღვანელობამ ასე თუ ისე, დაარეგულირა ურთიერთობები ევროპისა და მსოფლიო ფედერაციებთან. მაგალითად, ევროპის ფედერაციამ ულტრათანამედროვე ტაბლოები გვაჩუქა, ხოლო მსოფლიო ფედერაციამ ჩვენი წინადადება მიიღო მსოფლიო ჩემპიონატზე ლიცენზიების კვოტის განსაზღვრის საკითხზე. თუმცა, საქმეს ის გვირთულებს, რომ ევროპისა და მსოფლიო ფედერაციებს შორის გვარიანად დაძაბული ურეთიერთობაა. ამის გამო ახლახან მოსკოვს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს. მოკლედ, მთელ ამ დავიდარაბაში ისე უნდა გამოვიდეთ, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური. ამ შემოდგომით, მრავალწლიანი ნავსის გატეხვასა და დიდი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დაფუძნებას აპირებენ ჩვენი კრივის მამები. თუკი ეს გეგმა განხორციელდა, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპისა და მსოფლიო ფედერაციებში ინტეგრაციის გზაზე.

## ახალი მწვრთნელი

საქართველოს ნაკრებს სულ რაღაც ორი თვეა, რაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **ავთანდილ შოშიაშვილი**. ამ ხნის განმავლობაში, მან ორ დიდ ტურნირზე წაიყვანა გუნდი და ერთთვიან შუალედში მოახერხა ის, რასაც მისი წინამორბედები წლების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ – ბაქოში 8 მედალი მოვიპოვეთ, კიევში კი ორით გავაუმჯობესეთ ბაქოში დამყარებული რეკორდი. ამით კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ პერსპექტივა გვაქვს, ხოლო როგორ გამოვიყენებთ მას, ეს თავად კრივში დაბრძენებულ შოშიაშვილსა და მის შეგირდებზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, 18 მედალი ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ მოდით, მაინც ნუ გადავაჭარბებთ და ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას. აკი თავად შოშიაშვილიც ამბობს, რომ სამუშაო კიდევ ბევრია და მთავარი წინაა. მთავარი კი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც თეთრი და შავი ყველაზე ნათლად გამოჩნდება.

**კობა ხატისაშვილი**

## ქარქაშაძე თუ ბენიძე?

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია დღეს მორიგ სარეიტინგო ბრძოლებს გამართავს. სამკვირიანი პაუზის შემდეგ, დღესვე შედგება საქართველოს მორიგი, რიგით მეხუთე ქამრის გათამაშება. ამჯერად, საქამრე ჩხუბი შედგება 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში. აქ ყველაზე მაღალრეიტინგიანები არიან **კობა ქარქაშაძე** და **ალექსანდრე ბენიძე**, შესაბამისად, ათრაუნდიან დაპირისპირებაში სწორედ ისინი შეეცილებიან ერთმანეთს ქამარს. დანარჩენი ოთხი შეხვედრა კი ჩვეულებრივი, სარეიტინგო იქნება. ბრძოლები ვერის ბაღში, კრივის ფედერაციის დარბაზში 17 საათიდან დაიწყება.



## ფოტოსპორტი კოპალაში

გალერეა "კოპალაში" გუშინ, დასრულდა მეტად საინტერესო ფოტოკონკურსი, რომელშიც ჩვენი ცნობილი ფოტოკორესპონდენტები მონაწილეობდნენ. "კოპალას" დარბაზში გამოიფინა ყველა წამყვანი სპორტული ფოტოგრაფის ნამუშევარი ძველი ფოტოებით დაწყებული და თანამედროვეთი დასრულებული. კონკურსის გამარჯვებულები საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს. საღამოს ესწრებოდა თითქმის მთელი ქართული სპორტის ელიტა. მათ შორის ბრძანდებოდნენ ის სახელოვანი სპორტსმენებიც, რომლებიც ფოტოხელოვანთა "მუზები" აღმოჩნდნენ. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურის** წინადადებით, ასეთ სპორტსმენებს გამარჯვებულებმა საკონკურსო ნამუშევრები აჩუქეს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ კონკურსი სპორტის დეპარტამენტისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი იყო. სულ კონკურსის ორგანიზება 6000 ლარამდე დაჯდა, საპრიზო ფონდი კი 2000 ლარი იყო. დაჯილდოების საღამოს აფორმებდა დავით ილურიძის ბენდი.

საბოლოოდ, ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის მთავარი პრიზი დაიმსახურა "სარბიელის" ფოტოკორესპონდენტმა **ბადრი კეთილაძემ**. მას გამარჯვება მოუტანა რამაზ ნოზაძის ლამაზ ფანდზე აგებულმა ფოტოსერიამ. მეორე ადგილი ერგო კეთილაძის ოლიმპელ კოლეგას, **ზურაბ გენგიურს** საფეხბურთო თემაზე გადაღებული ფოტოსთვის. მესამე ადგილზე კი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი **ნუგზარ სურამიძე** გავიდა, რომლის ნამუშევარიც იყო მეტოქეზე ნამომჯდარი **ზაზა კედელაშვილი**.

ამას გარდა, გაიცა ორი დამატებითი ჯილდოც. ძველი ფოტოებიდან, საუკეთესოდ აღიარეს "ლელოს" მეორე ფოტოგრაფის, **ალექსანდრე კოტორაშვილის** ცნობილი "საფეხბურთო ბალეტი". სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ კი თავისი დაწესებული პრიზი გადასცა კონკურსში მონაწილე ერთადერთ მანდილოსანს, "მსოფლიო სპორტის" ფოტოჟურნალისტ **ეკა ელოშვილს**.

**კობა ხატისაშვილი**



## ზურაბ რეხვიაშვილი

ავტოკატასტროფამ - ჩვენი ცხოვრების ამ თანამდევმა უბედურებამ, კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა - დაიღუპა ვეტერანი მორაგბე და ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკი, ზურაბ რეხვიაშვილი. 5 წელიწადი "დინამოს" მორაგბეთა გუნდში ითამაშა, შემდეგ "ლოკომოტივში" გადავიდა, ამ კლუბში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ოთხი სეზონი გაატარა "ივერიაში", რომლის შემადგენლობაში მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. 1973-1974 წლებში თამაშობდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ინჟინერი იყო და ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა მშენებლობის სამინისტროს ტრესტ "ორგტექმშენში", რაგბისთვის თავი სარბიელიდან წასვლის შემდეგაც არ გაუნებებია - 1976 წლიდან საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩებს მსაჯობდა. 1980 წელს სსრ კავშირიდან პირველს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება, რაც თავისთავად დიდი პატივი და აღიარება იყო. მსაჯობდა ევროპის ჩემპიონატის მატჩებს. დიდია წვლილი, რომელიც ზ. რეხვიაშვილმა ქართული რაგბისთვის საერთაშორისო სარბიელზე გასვლისა და აღიარების საქმეში შეიტანა. 1990-1995 წლებში იყო რაგბის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი. 1998 წელს საქართველოში დააფუძნა სუმო და გახდა ამავე ფედერაციის გენერალური მდივანი. სუმოს ქართველი ოსტატების წარმატებებიც იაპონიის პროფესიულ ლიგაში, მის სახელს უკავშირდება. 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე შპს "სპორტმშენსერვისის" დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

59 წლის ასაკში შეწყდა სულიერად და ფიზიკურად ამ ლამაზი ადამიანის, შესანიშნავი სპეციალისტის, მეგობრის, მეოჯახის სიცოცხლე.

ზურაბ რეხვიაშვილის ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,**
**საქართველოს სუმოს ეროვნული ფედერაცია**



## რაისა ზაალიშვილი-კოგანი

89 წლისა გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი სპორტულ ტანვარჯიშში, ღირსების მედლის კავალერი რაისა ზაალიშვილი-კოგანი.

ქალბატონი რაისა გახლდათ მრავალმხრივი ტანმოვარჯიშე. თანაბარი ძალით ასპარეზობდა ცალკეულ იარაღებზე. აკი გახდა კიდეც სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი მრავალჭიდში. ამასთან იყო პროფკავშირის საკავშირო საბჭოს, ამიერკავკასიისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თასის მფლობელი. წარმატებით იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე. შემდეგ თავის მდიდარ გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ტანმოვარჯიშეთა ახალგაზრდა თაობებს. უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში ქალთა ტანვარჯიშის განვითარების საქმეში.

საქართველოს სატანვარჯიშო სამყარო ღრმა მწუხარებით ემშვიდობება თავის ღირსეულ წარმომადგენელს და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს სპორტისა და**
**ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,**
**საქართველოს ტანვარჯიშის**
**სახეობათა ეროვნული ფედერაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# თვალსა და ფარს შორის დაბერებული



ცეკვა ფინიქსური: ნეში და უოლტონი

**მაიამი:** უეიდი (21 ქ. 7 პ), შ. ონილი (17 ქ. 8 მ), პოუსი (11 ქ. 8 მ. 5 ჩ), ა. უოკერი (11 ქ), კაპონო (11 ქ).

**სერია 2:0**

ბებერი **შაკი** მასზე სულ მცირედით ახალგაზრდა **ბენ უოლასმა** თვალსა და ფარს შორის დააბერა. "ბულზის" წლევანდელი 60-მილიონიანი შენაძენი ერთხელაც ცდილობს აღიდგინოს ფლეი ოფში აუცილებელი მკვლელის ინსტინქტი და ილინოისელებს წარსულის დიდება დაუბრუნოს. "ბულზს" ასე კარგად მას შემდეგ არ უთამაშია, რაც ამ გუნდის ღირსებას **ჯორდან-პიპენ-როდმანის** მაგიური სამეული იცავდა. ჩემპიონობის პრეტენდენტებში შეყვანილი "ჩიკაგო" მატჩიდან მატჩამდე უმატებს და სერიის მეორე ჯახში მოქმედ ჩემპიონს იოტისოდენა შანსს უტოვებს.

შაკმა და **დუეინ უეიდმა** 7-7 შეცდომა დაუშვეს და ეს, პირველ რიგში, ბენისა და **კირკ ჰაინრიხის** დამსახურებაა. პირველმა ონილი შემუსრა, სამწამიანიდან დევკაცი პერიმეტრზე ამოაგდო, ჰაინრიხმა კი პირველი შეხვედრის ჩაგდების შემდეგ, უეიდს ლასო რომ შემოარტყა, მატჩის ბოლომდე არ გაუშვა.

შაკმა 31 წუთში 14-დან 8 ტყორცნა გააფუჭა, საქმეს კი ვერც იმან უშველა, რომ ონილმა პირველად ბოლო 21 მატჩის განმავლობაში, ხუთი და მეტი საჯარიმოს შესრულებისას ყველა გამოიყენა. "მაიამის" ცენტრმა ამჯერად მხოლოდ სამი პერსონალური მიიღო და ამ მხრივ მთლიანად "ჰიტიც" კარგად გამოიყურებოდა (14 ფოლი), მაგრამ დაცვაში ზანტი და დაბერებული ჩემპიონები მოტივირებულ "ბულზსს" უბრალოდ ვერ ედევნებოდნენ.

სერია ზუსტად ისეთი სცენარით ვითარდება, როგორც შარშან, ანუ ფავორიტმა პირველი ორი მატჩი მოიგო. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინა ფლეი ოფში გრანდებში "მაიამი" შედიოდა, "ჩიკაგო" კი აღმოსავლეთის 8 საუკეთესოში ბოლო ორ დღეში გაძვრა და ისიც, "ფილადელფიის" დახმარებით.

*"დიდი რამე, 0:2 ჩამოვრჩით... ჩემპიონები ჯერაც ჩვენ ვართ და აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჩვენს მხარესაა. "ჩიკაგომ" გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, ანუ საკუთარი მოედნის უპირატესობა შეინარჩუნა, მომდევნო დარტყმა კი ჩვენი იქნება. ანგარიშს გავათანაბრებთ და სერიაც ახლიდან დაიწყება"*, - ამბობს **ანტუან უოკერი**. ისე, რომელ ფსიქოლოგიურ უპირატესობაზე საუბრობს ფლორიდელთა რეზერვისტი?

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ტორონტო (3)–ნიუ ჯერსი (6) | 89:83 |
|---|---|

14:12, 19:24, 25:27, 31:20

**ტორონტო:** ე. პარკერი (26 ქ. 8 მ. 4 ჩ), ბოში (25 ქ. 13 მ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (13 ქ. 6 პ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (19 ქ. 11 მ. 5 პ. 3 ჩ), ნახბარი (17 ქ), კიდი (14 ქ. 11 მ. 7 პ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (13 ქ. 7 მ. 3 პ).

**სერია 1:1**

"ტორონტოსთვის" აღნიშნული მატჩის მოგების რამდენიმე განსაკუთრებული მიზეზი არსებობდა. ჯერ ერთი, პირველი შეხვედრის დათმობის მერე, კანადელებს ფეხის კიდევ ერთხელ დაცდენა იქნებ ფლეი ოფიდან გამობუნძულებად დაჯდომოდათ. გარდა ამისა, მატჩის დაწყებამდე გაცხადდა, რომ "ტორონტოს" მთავარი მწვრთნელი **სემ მიტჩელი** სეზონის საუკეთესო თავკაცად დაასახელეს და მოსაგებ მოტივაციას ესეც აორმაგებდა. კიდევ ის იყო, რომ **ვინს კარტერს** ეს მატჩიც უნდა ჩაეგდო, რათა გაბოროტებულ ფანებს მისი მიწასთან გასწორების მეორე საბაბიც მისცემოდათ.

კარტერმა ამჯერადაც შეირცხვინა თავი და 24 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ 8 გამოიყენა, 7 სამქულიანის შესრულებისას კი ერთადერთხელ ივარგა. **ჯეისონ კიდის** უნივერსალიზმი და ბოლო დეკადის უდიდესი გამთამაშებლის საფლეიოფო გამოცდილება კი მეორე გამარჯვების მოსაპარად საკმარისი აღარ გამოდგა.

ბოლო მეოთხედში **ენტონი პარკერმა** 9 ქულა დააგროვა, მას გუნდის სული და გული, **კრის ბოშიც** შეეშველა და "ტორონტომ" 2002 წლის 27 აპრილის შემდეგ პირველი საფლეიოფო გამარჯვება მოიპოვა. მაშინ კანადელებმა 94:84 "დეტროიტს" მოუგეს. ანგარიში გათანაბრდა და გუნდები ისტ რუზერფორდში მიემგზავრებიან. იქ კი კარტერს აღარ უნდა უსტვინონ.

| ჩიკაგო (5)–მაიამი (4) | 107:89 |
|---|---|

31:21, 24:31, 30:19, 22:18

**ჩიკაგო:** გორდონი (27 ქ. 7 მ. 5 პ), დენგი (26 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), ჰაინრიხი (14 ქ. 8 პ), პი. ჯეი. ბრაუნი (10 ქ. 4 მ. 4 ჩ), ნოჩიონი (10 ქ. 5 მ), ბ. უოლასი (9 ქ. 6 მ. 3 დ. 2 ჩ).

**დასავლეთის კონფერენცია**

| ფინიქსი (2)–ლეიკერსი (7) | 126:98 |
|---|---|

31:25, 37:22, 27:23, 31:28

**ფინიქსი:** ბარბოსა (26 ქ. 3 პ), ა. სტაუდმაიერი (20 ქ. 9 მ. 4 დ), მერიონი (18 ქ. 10 მ. 4 პ), ნეში (16 ქ. 14 პ. 5 მ), ჯ. ჯოუნსი (12 ქ. 2 დ), რ. ბელი (11 ქ. 2 ჩ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (15 ქ. 5 პ. 4 მ), ოდომი (10 ქ. 10 მ), მ. ევანსი (10 ქ), ბინუმი (9 ქ. 12 მ).

**სერია 2:0**

დაშვრა ამ სერიაში მარტოკაცი, შველა კი არსაიდან ჩანს. "ლეიკერსის" მეგავარსკვლავი **კობი ბრაიანტი** უკვე სულს ლაფავს, **ფილ ჯექსონის** გუნდში კი სხვა არავინაა ისეთი, ვინც ლიდერის დაუძლურებისას ორმაგ ქულა-მოხსნას მოიხვეჭს.

არიზონელი "მზეები" მეტოქეს, პირველ რიგში, სისწრაფისა და მეტად ჯანმრთელი შემადგენლობის ხარჯზე არ ახარებენ. სერიაში, სადაც სპეციალისტთა დიდი ნაწილი ბრაიანტის დომინაციას ელოდა, კობის ენერგია მხოლოდ პირველ შეხვედრაზე ეყო, მერე კი **რაჯა ბელისა** და **ჯეიმს ჯოუნსის** მარწუხებში მოქცეულმა ბრაიანტმა თავისი საშუალო მონაგრის ზუსტად ნახევარი დააგროვა.

მეორე მეოთხედში "ფინიქსის" უპირატესობა 21 ქულა იყო, მესამის შუაწელს მასპინძლებმა მოწინააღმდეგე 28 ქულით ჩამოიტოვეს, რის შემდეგაც ჯექსონს არც ბრაიანტი უთამაშებია და არც **ლამარ ოდომი** (12-დან 4 ზუსტი სროლა).

"ფინიქსი" კი ცალი ფეხით უკვე კონფერენციის ნახევარფინალშია, სადაც ალბათ, თავის სავარაუდო ოპონენტზე ადრე გავა და ძალების აღდგენასაც უპრობლემოდ შეძლებს. შეგახსენებთ, რომ ამ წყვილში გამარჯვებულს "სან ანტონიოსა" და "დენვერში" ილბლიან-უძლიერესი დაუპირისპირდება.

სხვათა შორის, წინა საფლეიოფო სერიიდან "ფინიქსს" "ლეიკერსის" წინააღმდეგ 2:0 ერთხელაც არ წაუყვანია. პირველ ნახევარში მასპინძლებმა ერთადერთი შეცდომა დაუშვეს.

**ზურაბ თალაკვაძე**



ინტერვიუ შაკილ ონილთან

# სამიდან ერთს მაინც მოვიგებთ

**მოქმედი ჩემპიონი "მაიამი ჰიტი" მასზე მშიერ და ჯანზე მყოფ "ჩიკაგოსთან" მეორედაც დამარცხდა, ფლორიდელთა სუპერვარსკვლავები შაკილ ონილი და დუეინ უეიდი კი საუკეთესო კონდიციებისგან ჯერაც შორს არიან. იქნებ, მთლად შორს არც იყვნენ, მაგრამ "ჩიკაგოს" არაჩვეულებრივი დაცვიდან გამომდინარე, ასე მოჩანს. შაკი პირველ მატჩში 6 ფოლით გავარდა, მეორეში ოდნავ აკურატულად ითამაშა, მაგრამ შედეგი არ შეცვლილა - "ბულზმა" მოიგო და პირველ მატჩთან შედარებით, ეს ლაღად და ერთი ამოსუნთქვით გააკეთა. გთავაზობთ ინტერვიუს "დიზელთან", რომელიც ჩვენმა საინფორმაციო პარტნიორმა "სლემმა" მოგვაწოდა.**

**- ჩემპიონებს პრობლემები გაქვთ. ბოლო წლებში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოქმედ ჩემპიონს ტიტულის დაცვა ზედიზედ ორი ნაგებით დაეწყო.**

- ჩვენი შანსები ახლაც მომწონს და იქამდე, სანამ "ჩიკაგო" არ გამოგვაგდებს, სერიის ფავორიტი "მაიამია". ორი მატჩის ნაგება სასიამოვნო არ იყო, მაგრამ "ჩიკაგოს" მაიამიში ორი ურთულესი შეხვედრა ელის და ჩვენს საუბარს მეოთხე მატჩის შემდეგ თუ გავაგრძელებთ, სულ სხვა განწყობისა და შინაარსის ინტერვიუს გამოქვეყნება მოგიწევთ.

**- რაშია "მაიამის" მთავარი პრობლემა?**

- არანაირი პრობლემა არ არსებობს. უბრალოდ, ზოგ ეპიზოდში ბოლომდე არ დავიხარჯეთ, რითაც "ბულზმა" ისარგებლა და გაქცევა მოახერხა. გაქცეულსაც დავაბრუნებთ და შემდეგ წრეშიც გავალთ.

**- საიდან ასეთი თავდაჯერებულობა?**

- საიდან და ჩემპიონის ოთხი ბეჭდიდან.

**- დუეინი ძალიან ცუდ ფორმაშია. ამაში მაინც დაგვეთანხმეთ.**

- იმ ფორმაში არ არის, როგორშიც შარშანდელი ფლეი ოფისას იყო, მაგრამ იმაზე ბევრად უკეთ გამოიყურება, ვიდრე ველოდით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დუეინმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. ექიმებმა მას მომდევნო სეზონამ- [illegible] ყენა. ჩემი პატარა ძმა ნელ-ნელა შევა ფორმაში და იმედი მაქვს, მეორე წრეში ის მონსტრი იქნება, რომელმაც შარშან "დალასს" მარტომ მოუგო.

**- წლევანდელ მეორე წრეში?**

- დიახ.

**- რთულია თუ არა, სამწამიანში კვლავ ბენ უოლასის წინააღმდეგ თამაში?**

- ბენი კარგი ბიჭია და ცენტრებში ყველაზე ნაკლებად სიმულიანტიც, მაგრამ ვინ თქვა, რომ შაკს ოდესმე მის წინააღმდეგ თამაში უჭირდა? ეს თქვენს მიერ გამოგონილი ჭორია. უოლასზე გაცილებით ძლიერი დამცველები სხვა გუნდებში არიან. ბენი უბრალოდ, კოლორიტული პიროვნებაა და ამის გამო მის ვარცხნილობას, სვირინგებს, გამონათქვამებსა და კიდევ ბევრ სხვა უაზრობას, დიდ ყურადღებას აქცევენ. გაცილებით სოლიდურად თამაშობენ დაცვაში ის ცენტრები, ვისზეც თქვენ თითქმის არ საუბრობთ ან უოლასს ჩრდილში აყენებთ.

**- მაგალითად?**

- იგივე მარკუს კემბი. ჩემი აზრით, მარკუსი ბოლო სამი წლის უძლიერესი დამცველი ცენტრია.

**- ტიმ დანკანი?**

- ტიმი ცენტრი არ არის.

**- ედი ჯოუნსი აშკარად ვერ ასწრებს ბენ გორდონის გადაკეტვას.**

- ედიმ ფლეი ოფში იმდენი მატჩი ჩაატარა, რომ მშვენივრად იცის, როდის უნდა "აფეთქდეს". იგივეს თქმა შემიძლია ანტუან უოკერზე, ჯეისონ უილიამსზე. გარი პეიტონს კი გუნდში მოთამაშედ მხოლოდ პატ რაილი თუ მიიჩნევს. ჩვენთვის იგი უფრო მოთამაშე-მწვრთნელია. გარი ნამდვილი საფლეიოფო ალმანახია.

**- ზოს ცოტა თამაში უწევს.**

- ზო თამაშობს იმდენს, რამდენიც შეუძლია და რამდენსაც მწვრთნელი ათამაშებს. პატარა ბიჭი არ არის და ხვდება, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეა საჭირო.

**- ფლეი ოფი რამდენიმე სენსაციით დაიწყო. როგორ ფიქრობთ, მომდევნო წრეში გასვლა "დალასს" უფრო გაუჭირდება თუ "სან ანტონიოს"?**

- "დალასი" მომდევნო წრეში ასი პროცენტით გავა. ეს ისეთივე რეალობაა, როგორც ის, რომ შაკის მომდევნო ალბომი პლატინას მოიპოვებს. "სან ანტონიოს" კი მაგრად გაუჭირდება. "სპურსი" დაბერდა, აივერსონს და ენტონის კი აწყობილი და სწორი თამაშის [illegible] "სპურსს" გადათელავენ კიდეც.

**ზურაბ თალაკვაძე**

სეზონის ლაურეატები. საუკეთესო მწვრთნელი

# კოლანჯელოს ჩრდილში

"იუტა ჯაზის" უცვლელი სკიპერი **ჯერი სლოუნი** კვლავ სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზის გარეშე დარჩა. გადის წლები, ჩვენი ამერიკელი კოლეგები კი პერმანენტულად სლოუნზე მჯობნს არჩევენ და ამჯერადაც ასე მოხდა.

რეგულარულის საუკეთესო მწვრთნელად კანადური "რეპტორზის" ყოფილი მოთამაშე, დღეს კი "ტირანოზავრების" მთავარი მწვრთნელი **სემ მიტჩელი** დაასახელეს, რომელმაც გამოკითხვაში 394 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ სლოუნს 93-ით გაასწრო.

ისე, მიტჩელის აღიარებას ხელი ყველაზე მეტად კანადელთა ახალი ბოსის, თავის დროზე "ფინიქსში" **სტივ ნეშისა** და **ამარე სტაუდმაიერის** მიმყვანის, მისტერ **კოლანჯელოს** დამსახურებაა, რომელმაც მიტჩელს საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა შეუკრიბა.

კოლანჯელოს ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკით "ტორონტოში" დრაფტის პირველი ნომერი **ანდრეა ბარნიანი**, თელ-ავივის "მაკაბის" ექს-გუნდელი **ენტონი პარკერი**, კიდევ ერთი ევროპელი ბოშოლა **ხორხე გარბახოსა**, "სან ანტონიო სპურსიდან" ცენტრი **რაშო ნესტეროვიჩი** და **ჩარლი ვილიანოვას** სანაცვლოდ "მილუოკიდან" წამოყვანილი ძალიან ძლიერი გამთამაშებელი **ტი. ჯეი. ფორდი** გადავიდნენ. ამათ გუნდში კრის ბოში დახვდა და საქმეც აეწყო.

ცხადია, ნიჭიერ ხალხს გაძღოლაც სჭირდება და მიტჩელმა ეს ფრიადზე გააკეთა. კაცი, რომელიც "ტორონტოს" უკვე მესამე სეზონია უდგას სათავეში, მანამდე მხდალ ვინმედ ითვლებოდა, დღეს კი საკუთარ თავზე აზრი ყველას შეაცვლევინა და მიტჩელსაც სამწვრთნელო ელიტის წარმომადგენელთა შორის მოიაზრებენ.

მიტჩელი პირველი რეპტორზელია, რომელმაც ეს აღიარება მოიპოვა. მან გუნდს რეკორდული, 47 გამარჯვება მოაპოვებინა. ამდენი მატჩი "ტორონტოს" მაშინაც არ მოუგია, როდესაც გუნდში ტრეისი მაკგრედი და ვინს კარტერი ირიცხებოდნენ. წინა სეზონთან შედარებით, "რეპტორზებმა" 20 გამარჯვებით მეტი მოიპოვა.

**ზურაბ თალაკვაძე**



სემ მიტჩელი

**საბოლოო შედეგები**

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სემ მიტჩელი (ტორონტო) | 49 | 43 | 20 | 394 |
| 2. ჯერი სლოუნი (იუტა) | 39 | 28 | 22 | 301 |
| 3. ევერი ჯონსონი (დალასი) | 28 | 31 | 35 | 258 |
| 4. გრეგ პოპოვიჩი (სან-ანტონიო) | 10 | 19 | 27 | 134 |
| 5. მაიკ დანტონი (ფინიქსი) | 3 | 5 | 3 | 22 |

# ველოსპორტი

პრო ტური

# ხელშეუხებელი არავინაა

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული პრო ტურის გუნდების საგანგებო შეკრებაზე, რომელზეც გადაწყდა, რომ ისინი ტურ დე ფრანსზე მონაწილეობის მიღების უფლებას არ მისცემენ იმ ველომრბოლებს, რომლებიც დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოს საქმეში იყვნენ მოხსენიებულნი და ვერ შეძლებენ თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებას.

*"თაღლითებს ტურზე ველარ დავუშვებთ. ამით ჩვენ გვინდა, ყველას გავაგებინოთ, რომ დიდ სპორტში იმ სპორტსმენებს ვერ ავიტანთ, რომლებიც აკრძალული ხერხებით ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას. მაქსიმალურად ვეცდებით, პუერტოს საქმეში გარეული ველომრბოლები ვაკონტროლოთ და თუ ისინი ვერ დაგვიმტკიცებენ, რომ მართლები არიან, მაშინ ჩვენს რბოლებში მონაწილეობის უფლებას არ მივცემთ"*, - განაცხადა ტურის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა**.

ტურის ორგანიზატორმა ASO-მ (სამოყვარულო სპორტის ორგანიზაცია) და პრო ტურის 19 გუნდის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ შეიმუშაონ ახალი მოთხოვნები, რომლებიც მომავალში განსაზღვრავს დოპინგთან ბრძოლის მეთოდებს.

*"ამ საკითხებზე წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩამოვაყალიბოთ საქმისადმი ჩვენი მიდგომა და როცა ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის რბოლის წინ კვლავ შევიკრიბებით, საბოლოოდ უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიციები"*, - დასძენს პრიუდომი.

პრო ტურის გუნდებს შორის ერთ-ერთი პირველი, რომელმაც უკვე გადადგა რეალური ნაბიჯი, ამერიკული "დისქავერი ჩენელია", რომელმაც თავის იტალიელ ლიდერ **ივან ბასოს** დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოსთხოვა. უფრო მეტიც, მას თავისი წევრობა შეუჩერა მანამ, სანამ ბასო დაამტკიცებდეს, რომ ოპერასიონ პუერტოში ის ტყუილადაა მოხსენიებული.

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ განაახლებს ბასოს საქმის გამოძიებას. პირველი მოქმედება, რაც ამ გამოძიებამ უნდა ჩაატაროს, ველომრბოლის დნმ-ის შემოწმებაა და თუ შედეგი აჩვენებს, რომ პუერტოში არსებული სისხლის პაკეტებიდან რომელიმე ბასოს ეკუთვნოდა, მაშინ ჯიროს შარშანდელ ჩემპიონს სერიოზული უსიამოვნებანი ელის.

შეგახსენებთ, რომ შარშან ანალოგიური ტესტი ტურის ყოფილ ჩემპიონს, გერმანელ **იან ულრიხსაც** ჩაუტარდა, რომლის შედეგებმაც ცხადჰყო, რომ მადრიდის ლაბორატორიიდან აღებული სისხლის პაკეტებიდან ერთ-ერთი ულრიხის სისხლი იყო. ულრიხმა სპორტიდან წასვლა მანამ გადაწყვიტა, სანამ ტესტების პასუხს გაიგებდა. თუმცა, ახლაც მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა.

ესპანური ჟურნალი "ინტერვიუ" გვატყობინებს, რომ ოპერასიონ პუერტოს საქმეში არსებული ერთ-ერთი პაკეტი, რომელშიც სავარაუდოდ, ბასოს სისხლი უნდა ინახებოდეს, უკვე გამოითხოვა იტალიის მართლმსაჯულებამ. იმ პაკეტებს, რომლებიც სავარაუდოდ ბასოს უნდა ეკუთვნოდეს, სახელის ნაცვლად აწერია "No.2" და "ბირილიო".

სხვათა შორის, მეტსახელი "ბირილიო" დოქტორ **ეუფემიანო ფუენტესის** მიერ შედგენილ იმ სამუშაო სიაშიც ფიგურირებს, რომელშიც მითითებულია, სისხლის აღებისა და გადასხმის თარიღები.



შარშან რომ ჯირო მოიგო, ბასომ ის გამარჯვება ახალშობილ პირმშოს მიუძღვნა

შეგახსენებთ, რომ შარშან იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ბასოს წინააღმდეგ დოპინგთან დაკავშირებული ყოველგვარი ბრალდება მოხსნა, რის შემდეგაც იტალიელს კონტრაქტი გაუფორმა "დისქავერი ჩენელმა". ახლა იგივე კომიტეტი ბასოსგან მოითხოვს, რომ ის დოპინგსაწინააღმდეგო გამოძიების წინაშე წარსდგეს და მისი მოთხოვნით, დნმ-ის ტესტის ჩასატარებლად სისხლის სინჯი გასცეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ოლიმპიზმი

## პიკეტი ოლიმპიადის წინააღმდეგ

ევერესტზე ოთხი აქტივისტი დააპატიმრეს, რომლებმაც ტიბეტის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერი და პეკინის ოლიმპიადის საწინააღმდეგო აქცია მოაწყვეს.

სააგენტო AP-ის ცნობით, ამერიკის სამმა მოქალაქემ ერთ-ერთ ბანაკთან გამოფინა ლოზუნგი - "ერთი სამყარო, ერთი ოცნება, თავისუფალი ტიბეტი 2008 წელს". მეოთხე აქტივისტი, აქციას ვიდეოკამერაზე იღებდა. სხვათა შორის, "ერთი სამყარო, ერთი ოცნება", 2008 წლის ოლიმპიადის ლოზუნგია.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დღეს უნდა გამოაცხადოს ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტი. საორგანიზაციო კომიტეტის ჩანაფიქრით, ესტაფეტის ერთ-ერთი ეტაპი ევერესტის უმაღლესი მწვერვალი უნდა გახდეს. გუშინდელი აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: *"ჩინეთის მთავრობას სურს, საგაისო ოლიმპიადა ტიბეტის ოკუპაციის მიჩქმალვისთვის გამოიყენოს"*.

ფორმულა 1

## თურქეთის გრან-პრი 2021 წლამდე

ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა - **ბერნი ექლსტოუნმა** BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთის გრან-პრი ხანგრძლივი ვადით, კერძოდ კი, 2021 წლამდე დარჩება მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში. როგორც იცით, ცოტა ხნის წინათ, ამ ფუნქციონერმა "მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ტრასის" მართვის ექსკლუზიური უფლება მიიღო.

როგორც ექლსტოუნი ამბობს, მას ამ ხელშეკრულებიდან არანაირი მოგება არ ექნება. *"ეს ყველაზე უარესი გარიგება იყო ჩემს ცხოვრებაში"*, - თქვა ბერნიმ.

სამთო თხილამურები

## ვის დარჩება მსოფლიო ჩემპიონატი?

შვეიცარიის კურორტ სანკტ-მორიტცის მთავრობა 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. შვეიცარიელებმა ავსტრიული შლადმინგის შემდეგ შეიტანეს შესაბამისი განაცხადი სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციაში.

სავარაუდოდ, ცოტა ხანში თავიანთ განაცხადებს წარმოადგენენ იტალია და ამერიკის შეერთებული შტატები.

კალათბურთი

## რუდი ფერნანდესი საუკეთესო ახალგაზრდა

ULEB-მა ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელების გამოვლენა დაიწყო. ორი დღის წინათ, პირველი პრიზი "ტაუგრესის" მცველმა **იგორ რაკოჩევიჩმა** დაიმსახურა. მან, როგორც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა, ალფონსო ფორდის სახელობის თასი მიიღო.

გუშინ კი, ევროლიგის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელის (1984 წლის 1 ივლისამდე დაბადებულები) გამოვლენის ჯერი დადგა. ამ ნომინაციაში ესპანეთის "ხუვენტუდის" 22 წლის მცველმა **რუდი ფერნანდესმა** გაიმარჯვა. მან წლევანდელ გათამაშებაში 19 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ ერთ შეხვედრაში 15.8 ქულას, 3.8 მოხსნას, 2.1 ჩაჭრასა და 1.7 შედეგიან პასს აგროვებდა.

ამ პრიზისთვის ბრძოლაში ფერნანდესის კონკურენტები იყვნენ - მისი თანაგუნდელი, 16 წლის ვუნდერკინდი **რიკი რუბიო, ტიაგო სპლიტერი** ("ტაუგრესი") და **კოსტა პეროვიჩი** ("პარტიზანი").

## უკრაინა 2013 წლის ევრობასკეტს უმიზნებს

მას შემდეგ, რაც უკრაინამ 2012 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიიღო, ახლა ამ ქვეყანამ გადაწყვიტა 2013 წელს, კონტინენტის საკალათბურთო პირველობის მასპინძლობასაც გამოკრას ხელი. ამის შესახებ, ჟურნალისტებს FIBA-ს აღმასკომის წევრმა, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა ალექსანდრ ვოლკოვმა აცნობა.

*"უკრაინას ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება რომ არ მიეღო, შეიძლება საკალათბურთო პირველობის ორგანიზებაზე არც კი წამოგვეყენებინა პრეტენზიები. ახლა კი, აქტიურად ვაპირებთ ბრძოლას. ინფრასტრუქტურა, რომელიც საფეხბურთო ფორუმისას შეიქმნება, ჩვენც დიდ სამსახურს გაგვიწევს"*, - ამბობს ვოლკოვი.

# TV სპორტი

**26 აპრილი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**14:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. რივერ პლეიტი (არგენტინა)-კოლო კოლო (ჩილე).
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:25** ტოქ-შოუ - 90 წუთი.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:25** უიქენდის მატჩების ანონსი.
**19:35** ტოქ-შოუ - 2:1.
**20:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. რივერ პლეიტი (არგენტინა)-კოლო კოლო (ჩილე).
**22:10** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**00:10** სასტვენი.
**00:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:55** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**07:31** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**08:02** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**09:00** სპორტის ისტორია.
**09:12** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:06** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**10:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**12:33** სპორტის სამყარო.
**13:06** ფეხბურთი. შოტლანდიის თასი. 1/2 ფინალი. ჰიბერნიანი-დანფერმლაინი.
**14:51** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერი-მილანი.
**16:54** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**17:21** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სან პაულუ (ბრაზილია)-იტალიანო (ჩილე).
**19:04** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:45** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**21:33** ფეხბურთი. Barca-TV.
**21:40** სპორტინფორმი.
**21:50** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**22:10** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალის წინ.
**22:40** სპორტის ისტორია.
**22:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ვერდერი (LIVE).
**00:45** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**01:10** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
**01:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**03:50** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**04:23** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**06:13** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**06:37** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**09:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**10:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ალკმაარი.
**11:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ოსასუნა-ლევერკუზენი.
**12:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ალკმაარი.
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-სევილია.
**16:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:30** მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. დინამო (რუსეთი)-შარლერუა (ბელგია) (LIVE).
**21:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** პროფესიული კრივი. ს. მერდოვი (უკრაინა)-დ. კოჯო სასუ (ტოგო). დონეცკი. უკრაინა.
**01:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.

**EUROSPORT-2**

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** სუმო.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**13:00** ახალი ამბები.
**15:30** მულტისპორტი.
**15:15** სუმო.
**16:45** მულტისპორტი.
**18:00** სუმო.
**19:00** ახალი ამბები.
**19:30** ექსტრემალური სპორტი.
**20:30** ახალი ამბები.
**21:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**22:00** მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მურსია (ესპანეთი)-ბუმერანგი (ესპანეთი) (LIVE).
**23:30** პრო-რესტლინგი.
**00:15** ახალი ამბები.
**00:30** სუმო.
**02:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| გერმანია (U21)-შვეიცარია (U21) | 4:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ნორთვიჩი-სტივენეიჯი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| დენ ჰააგი-გრონინგენი | 1:3 |
| **დანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ლუნგბიუ-კოპენჰაგენი | 2:3 |
| ოდენსე-ვიბორგი | 1:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ერჩიესი-ბეშიქთაში | 0:1 პენ. 5:4 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ბუდეიოვიცე-სლოვაცკო | 2:0 |
| ქლინი-ბოლესლავი | 2:1 |
| პლზენი-იაბლონეცი | 0:3 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| შენეცი-რუჟომბეროკი II | 0:0 პენ. 6:5 |
| მორავცე-არტმედია | 4:2 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| პლოცკი-კორონა | 1:1 |
| **სლოვენიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| გორიცა-მარიბორი | 2:4 |
| პებლიქემი-კოპერი | 1:3 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| დებრეცენი-დიოშდიორი | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| პაკ-პაოკ | 97:92 |
| არისი-პანელინიოსი | 79:64 |
| მაკედონიკოსი-პანათინაიკოსი | 44:106 |
| ოლიმპიადა-ლარისა | 69:73 |
| ოლიმპიაკოსი-ეგალეო | 82:77 |
| ოლიმპია-აპოლონი | 81:64 |
| პანიონიოსი-მარუსი | 69:67 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-ხირონა | 78:68 |
| რეალი-ტაუგრესი | 80:68 |
| უნიკახა-მურსია | 93:76 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-მილანი | 80:59 |
| ბიელა-ვირტუსი | 90:98 |
| კანტუ-აველინო | 83:49 |
| დორლანდო-მონტეგრანარო | 75:84 |
| ნაპოლი-სნაიდერო | 88:96 |
| რომა-ვარეზე | 82:81 |
| სკაფატი-ლივორნო | 110:83 |
| კლიმამიო-ბენეტონი | 66:81 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| შვედეთი-აშშ | 3:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| ალმაგრო-ვოლანდრი | 7:6, 4:6, 1:6 |
| სტარაჩე-ბოლელი | 6:4, 6:3 |
| ნიემინენი-სეპი | 6:4, 7:5 |
| მოია-მანტიია | 3:6, 6:3, 6:4 |
| პაველი-პაშანსკი | 3:6, 6:4, 2:6 |
| ერნანდესი-ბეკერი | 6:1, 7:6 |
| ფერერი-გოლდსტეინი | 6:0, 6:0 |
| კანიასი-ვანეკი | 6:1, 6:1 |
| ნადალი-ვლიეგენი | 6:1, 6:2 |
| სიოდერლინგი-ტ. იოჰანსონი | 6:7, 6:7 |
| ფერერო-ანდუხარი | 1:6, 0:6 |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| ჟიკელი-მაუ | 6:2, 6:4 |
| რამირეს იდალგო-ასკიონე' | 6:4, 7:6 |
| რასელი-ბენეტო | 3:6, 3:6 |
| გროსჟანი-კლემანი | 4:6, 7:5, 6:1 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ლიხოვცევა-ჟავაი | 4:6, 1:6 |
| დულკო-პირონკოვა | 6:2, 6:2 |
| დანილიდუ-არნი | 6:1, 4:6, 7:5 |
| კრემერი-ბრიანტი | 6:4, 6:1 |

## სხვადასხვა

### ჰოკეი

## შვედეთმა ჰუსელიუსი დაიმატა

ხვალ, მოსკოვში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში და მასში მონაწილე გუნდები ასრულებენ შემადგენლობების დაკომპლექტებას.

სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს შვედეთის ნაკრების გულშემატკივრებმა. გუშინ, გუნდს შეუერთდა "კალგარი ფლეიმზის" ფორვარდი **კრისტიან ჰუსელიუსი**.

28 წლის თავდამსხმელმა წლევანდელ რეგულარულში კარიერის რეკორდი დაამყარა - 77 ქულა (34 გოლი+43 შედეგიანი პასი) დააგროვა.

დღეს, მოქმედ მსოფლიო ჩემპიონთა რიგებში შესაძლოა NHL-ის კიდევ ერთი ლეგიონერი, "ჩიკაგო ბლექჰოქსის" ცენტრალური ფორვარდი **მიკაელ ჰოლმკვისტიც** ჩაირიცხოს.

## ჩეხეთს ჟიდლიცკი დაეხმარება

ჩეხეთის ნაკრების გენერალური მენეჯერის - **ზბინეკ კუსის** ინფორმაციით, დღეს ამ ქვეყნის ნაკრების რიგებს შეავსებს "ნეშვილ პრედატორზის" მცველი **მარეკ ჟიდლიცკი**.

სავარაუდოდ, ეს არ იქნება უკანასკნელი შევსება, რომელსაც ჩეხები ოკეანისგაღმიდან მიიღებენ. ფლეი ოფიდან "ტამპა ბეის" გავარდნის შემდეგ, გათავისუფლდნენ მცველი **ფილიპ კუბა** და ფორვარდი **ვაცლავ პროსპალი**. ორივემ, ჯერ კიდევ თებერვალში გამოთქვეს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის სურვილი.

## რუსეთს ზუბოვი დააკლდება

გაირკვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს რუსული ჰოკეის ერთ-ერთი წამყვანი მცველი - **სერგეი ზუბოვი**. დალასელმა "ვანკუვერთან" სერიის მეექვსე მატჩში მიიღო ტრავმა და მეშვიდე შეხვედრაში აღარ უთამაშია.

როგორც ირკვევა, ზუბოვის დაზიანება სერიოზული ყოფილა და ჰოკეისტს ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება.

## მოროუმ და ტურკომ უარი განაცხადეს

"დალას სტარზის" კიდევ ორმა ჰოკეისტმა იუარა მოსკოვში თამაში. ეს ეხება კანადელებს - **ბრენდან მოროუსა და მარტი ტურკოს**.

ფორვარდ მოროუს მარცხენა ფეხის ტრავმა აწუხებს და ამის გამო ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე. *"ძალიან მინდოდა, ჩემს ქვეყანას დავხმარებოდი, მაგრამ ახლა სათამაშოდ მზად არ ვარ"*, - აცხადებს "დალასის" კაპიტანი.

რაც შეეხება ფლეი ოფის პირველი წრის ერთ-ერთ გმირს - მეკარე მარტი ტურკოს, ის ისე მოქანცა "ვანკუვერთან" 7-მატჩიანმა სერიამ, რომ გეგმებშიც არ ჰქონია მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში.

## ნუმელინი ლეგენდებში შევა

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, ფინეთის ნაკრებში ჩაირიცხა "მინესოტას" ვეტერანი მცველი **პეტერი ნუმელინი**.

თუ ეს ჰოკეისტი "სოუმის" საბოლოო განაცხადში მოხვდება, მაშინ ეს ნუმელინისთვის მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი იქნება და ის ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ რუს **ვლადისლავ ტრეტიაკს, რონალდ პეტერსონსა და ლასე ოკსანენს** დაეწევა.

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მხრივ, რეკორდსმენები არიან - **ირჟი ჰოლიკი** (ჩეხოსლოვაკია) და **სვენ "ტუმბა" იოჰანსონი** (შვედეთი). მათ 14-14-ჯერ ითამაშეს პლანეტის პირველობაზე.

### კალათბურთი

## არგენტინა დასუსტდა

ზაფხულში, ლას ვეგასი კალათბურთში ამერიკის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირზე მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი - არგენტინა შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს. გუშინ, ამ ქვეყნის ერთბაშად სამმა წამყვანმა კალათბურთელმა თქვა უარი კონტინენტის პირველობაში მონაწილეობაზე.

არგენტინელთა მთავარი დანაკლისი, "სან ანტონიო სპურზის" მცველი **მანუ ჯინობილი** იქნება. ეს უკანასკნელი არ ასახელებს მიზეზს, თუ რატომ ვერ ითამაშებს ნაკრებში. ჯინობილის თქმით, არგენტინა მის გარეშეც მოიპოვებს პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურს, ხოლო ის უკვე გაისად, ოლიმპიადაზე შეუერთდება გუნდს.

ასევე ვერ ვიხილავთ არგენტინელთა რიგებში ჯინობილის თანაგუნდელს - **ფაბრიციო ობერტოსა** და "შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდ **ვალტერ ერმანს**. ამ უკანასკნელმა ტრავმის მიღების შიშის გამო თქვა უარი ამერიკის ჩემპიონატში თამაშზე.

*"NBA-ში თამაშს დიდი ენერგია სჭირდება და მე აქედანვე უნდა ვიზრუნო საკუთარ მომავალზე"*, - ამბობს ერმანი.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ NBA-ში მოთამაშე სხვა არგენტინელი ლეგიონერები - **ანდრეას ნოჩიონი** ("ჩიკაგო") და **კარლოს დელფინო** ("დეტროიტი").

ამერიკის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ორი საგზური გათამაშდება. ხოლო ის გუნდები, რომლებიც 3-5 ადგილებს დაიკავებენ, დამატებით საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

ჩემპიონატი ლას ვეგასში 22 აგვისტოს დაიწყება და 2 სექტემბერს დასრულდება. არგენტინის გარდა, მასში მონაწილეობას მიიღებენ - ურუგვაი, პუერტო რიკო, მექსიკა, პანამა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, კანადა და ვირჯინიის კუნძულები.

## სიეტლმა მწვრთნელი და მენეჯერი დაითხოვა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კარდინალური ცვლილებები მოხდა "სიეტლ სუპერსონიქსის" რიგებში. კერძოდ, კლუბის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი **ბობ ჰილი** და გენერალური მენეჯერი - **რიკ სანდი**. "სიეტლის" შეფობის ეს ნაბიჯი არავის გაკვირვებია, რადგან "სონიქსმა" ბოლო 22 წლის განმავლობაში, ყველაზე უარესი სეზონი ჩაატარა.

*"ბობ ჰილი და რიკ სანდი შესანიშნავი ადამიანები არიან და კალათბურთი ძალიან უყვართ. გასულ სეზონში მათ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენთვის, მაგრამ ამ ეტაპზე, მათი გათავისუფლებით, ალბათ, სწორი ნაბიჯი გადავდგით"*, - განაცხადა "სიეტლის" მფლობელმა **კლეი ბენეტმა**.

## სკოლის მოსწავლე დრაფტში

სკოლის საკალათბურთო გუნდ "ჯორჯია ტეკის" თავდამსხმელმა - **ტედეუს იანგმა** NBA-ის მომავალ დრაფტში თავისი გვარი შეიტანა. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს.

გუნდის მთავარი მწვრთნელის - **პოლ ჰიუიტის** თქმით, იანგმა ეს ნაბიჯი სტრატეგიული თვალსაზრისით გადადგა. მას აინტერესებს, რამდენად დაინტერესებულნი არიან მისი პიროვნებით NBA-ის კლუბები.

*"ბევრმა მოთამაშემ შეიტანა თავისი სახელი დრაფტის სიაში, რათა ინფორმაცია შეაგროვოს და შემდეგ, სკოლაში დაბრუნდეს"*, - ამბობს ჰიუიტი.

## ჩოგბურთი



### უიმბლდონი 2007

## სარეკორდო საპრიზო ფონდი და მახვილი თვალი

მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის - უიმბლდონის ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს და მასმედიასთან წლევანდელი ჩემპიონატის რამდენიმე სიახლეზე ისაუბრეს.

პირველი სიახლე ის გახლავთ, რომ წელს, უიმბლდონზე სარეკორდო საპრიზო ფონდი დაფიქსირდება. ქალთა და მამაკაცთა ტურნირის გამარჯვებულები, თითოზე 700 ათას ფუნტს, ანუ 1.4 მილიონ დოლარს მიიღებენ. ასე რომ, გასულ წელთან შედარებით, კაცებს შორის ჩემპიონი 6.9 პროცენტით გაზრდილ ჰონორარს მიიღებს, ქალი გამარჯვებული კი, 12 პროცენტით მეტს.

მთლიანად ტურნირის საპრიზო ფონდი 11.2 მილიონი იქნება, რაც 8.7 პროცენტით მეტია 2006 წლის ანალოგიურ თანხაზე.

"არცერთ საჩოგბურთო ტურნირს არ შეუთავაზებია მოთამაშეებისთვის ასეთი დიდი ჰონორარები, - ამბობს ინგლისის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბის თავმჯდომარე **ტიმ ფილიპსი**. - *ჩვენ გვინდა ჩოგბურთელები იმ ნიჭისთვის, გართობისა და დრამისთვის დავაჯილდოვოთ, რითაც ისინი უიმბლდონის ტურნირს ამდიდრებენ. ორი-სამი კრიტიკული წერილის გარდა, საპრიზო ფონდის გაზრდამ პოზიტიური რეაქცია გამოიწვია"*.

ახლა მეორე სიახლის შესახებ. უიმბლდონის კორტებზე დამონტაჟდება სისტემა - HawkEye ("მახვილი თვალი"), რომელსაც ჩოგბურთელები საკამათო ეპიზოდებში გამოიყენებენ. ამ სისტემამ წარმატებით გაიარა გამოცდა ავსტრალიის ღია პირველობაზე და მთელ რიგ ტურნირებზე. HawkEye - ეს არის მულტიკამერის სწრაფადმოქმედი ტექნოლოგია, რომელიც ბურთის ტრაექტორიას ადევნებს თვალს და მის კორტზე დაცემას ზუსტად აფიქსირებს.

*"ბალახის კორტებზე HawkEye-ის საბოლოო გამოცდას მაისში ჩავატარებთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის ბალახზეც გამართულად მუშაობს. ეს სისტემა ცენტრალურ და პირველ კორტებზე დამონტაჟდება"*, - აცხადებს ტიმ ფილიპსი.

ადრე, უიმბლდონზე ხმის სისტემა - Cyclop-ს იყენებდნენ. ის ახლაც დარჩება ხმარებაში, ოღონდ არა ცენტრალურ და პირველ კორტზე.

### ვარსკვლავი

## ნადალი თავს იზღვევს

როგორც იცით, გასულ კვირას დასრულდა მონაკოს მასტერსის სერიის ტურნირი. სწორედ ამ შეჯიბრებით დაიწყო თიხნარის სერიის ტურნირები, რომელიც წინ უძღვის საფრანგეთის ჩემპიონატს. "დიდი სლემის" სერიის რიგით მეორე ჩემპიონატი მაისის ბოლოს აიღებს სტარტს.

მონაკოს მასტერსი ზედიზედ მესამედ ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** მოიგო. ეს იყო ამ ახალგაზრდა ჩოგბურთელის ზედიზედ 67-ე გამარჯვება გრუნტისსაფარიან კორტებზე. შეგახსენებთ, რომ ნადალმა ფინალში საკმაოდ იოლად, ორ სეტში მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგან, **როჯერ ფედერერს**.

გუშინ, ესპანური "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში ნადალმა განაცხადა, რომ მისი წაუგებელი სერია ძალიან მალე დასრულდება. შესაძლოა, ეს ბარსელონაშიც კი მოხდეს, სადაც ამ კვირას დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს.

*"ადრე თუ გვიან, თიხნარზე მაინც წავაგებ. ერთხელ ეს უნდა მოხდეს და შესაძლოა, ჩემი სერია სწორედ ბარსელონაში შეწყდეს, რადგან აქ თიხნარის უძლიერესი ოსტატები არიან შეკრებილნი"*, - ასე დაამშვიდა თავისი თაყვანისმცემლები მსოფლიოს მეორე ჩოგანმა.

### ტურნირები

**WTA**

**ბუდაპეშტის გრან-პრი**

ბუდაპეშტი (უნგრეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 ევრო

**I წრე**

**ენ კრემერი** (ლუქ)-მარია კირილენკო (რუს, 3) 6:3, 6:4; **ანდრეია კლეპაჩი** (სლოვენ)-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:2, 6:4; **იულია ბეიგელციმერი** (უკრ)-ტატიანა პუჩეკი (ბლრ) 7:6 (4), 6:4; **კრისტინა ბაროისი** (გერ)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:6 (6), 5:7, 7:6 (5); **ოლგა სავჩუკი** (უკრ)-ლუსი ჰრადეჩკა (ჩეხ) 6:0, 6:3; **მარტინა სუხა** (სლოვაკ)-ჰანა სრომოვა (ჩეხ) 6:7 (5), 6:4, 6:4; *დანარჩენი მატჩები წვიმის გამო გადაიდო.*

**ATP**

**Open SEAT 2007**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 850 500 ევრო

**I წრე**

**სიმონე ბოლელი** (იტა)-მარატ საფინი (რუს, 11) 6:4, 7:6 (5); **გილერმო კანიასი** (არგ, 12)-მაქსი მირნი (ბლრ) 6:2, 7:6 (4); **რობინ სიოდერლინგი** (შვედ, 13)-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 6:0; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპ, 14)-ფაბიო ფონინი (იტა) 6:3, 6:2; **კარლოს მოია** (ესპ, 16)-მარსელ გრანოლერს პუიოლი (ესპ) 6:2, 6:4; **ირჟი ვანეკი** (ჩეხ)-ხუან ანტონიო მარინი (ესპ) 6:0, 3:2 მარინის უარი; **პოლ გოლდსტეინი** (აშშ)-ფერნანდო ვისენტე (ესპ) 6:3, 6:7 (6), 6:3; **კრისტოფ ვლიეგენი** (ბელ)-დავიდე სანგინეტი (იტა) 6:2, 6:4; **ბორის პაშანსკი** (სერ)-კარლოს ბერლოკი (არგ) 4:0 ბერლოკის უარი; **პოტიტო სტარაჩე** (იტა)-სემ კერი (აშშ) 6:4, 6:4.

**II წრე**

**ტომი რობრედო** (ესპ, 3)-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (არგ, 4)-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:2, 6:0; **აგუსტინ კალერი** (არგ, 15)-პაბლო ლორენცი (იტა) 6:2, 6:2.

**Grand Prix Hassan II**

კასაბლანკა (მაროკო). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**I წრე**

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკ, 1)-ალექსანდრ პეია (ავსტრია) 7:6 (7), 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგ, 2)-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 6:4; **ჟულიენ ბენეტო** (საფ, 3)-ფედერიკო ჟილი (პორ) 7:6 (2), 3:6, 7:6 (5); **ნიკოლას მასუ** (ჩილ, 7)-სერხიო როიტმანი (არგ) 6:2, 6:3; **პოლ ანრი მატიო** (საფ, 8)-კრისტიან პლესი (დან) 6:3, 6:1; **ედუარდ როჟევასელინი** (საფ)-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:2, 6:2; **სლიმან საუდი** (ალჟ)-რაბი ჩაკი (მარ) 6:2, 6:1; **სებასტიან გროსჟანი** (საფ)-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 7:6 (4), 6:4; **ტიერი ასკიონე** (საფ)-იუნეს ეს აინაუი (მარ) 6:4, 6:3; **ალბერტ მონტანიესი** (ესპ)-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 1:6, 6:3, 7:5.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**